

1939.29/XI

# ମେଦିଆ ଟ୍ୱାର୍ଡ୍ସ

ପିଲାଗ୍ରୀ  
ମୁଦ୍ରଣ କରାଯାଇଥାଏ  
ଶତବରୀ ୫୨୫  
ଓ. ୩୨.

9

୩୭୦୩୦୮୦

1939

# ჩვენი თაობა

საქართველოს საბჭოთა მწერლების  
კავშირის ცოველთვითი ღრანტო

12 485

9



სახელმწიფო გამოცემლობა

ტფილისი

1939 წელი. სექტემბერი

## შ ი ნ ა ა რ ს ი:

### მხატვრული ლიტერატურა

|   |     |
|---|-----|
|   | 83. |
| ალექსანდრე საჯარი — ქუხილი . . . . .            | 3   |
| ჩევაზ მარგარიტა — რამდენიმე ლექსი . . . . .     | 4   |
| კოტე ხიშიაშვილი — ჯიბის საჩურე . . . . .        | 6   |
| ლადო ასათიანი — ვაკა-ფუშველას ნამბობი . . . . . | 14  |
| მირზა გელოვანი — უბის წიგნიდან . . . . .        | 16  |
| ლადო ავალიანი — უკვდავი ჰიმნი . . . . .         | 18  |
| ალეკო შენგელია—ნიუარაზე ამოქითხული . . . . .    | 24  |
| იოსებ ნონეშვილი — მოდინახე . . . . .            | 26  |
| გიორგი ნაცერტვაშვილი — ორი ლექსი . . . . .      | 28  |

### კლასიკური მემკვიდრეობა

|  |     |
|--|-----|
|  | 29. |
| მ. ლერმონტოვი — დემონი, თარგმანი გიორგი<br>ძიგვაშვილისა . . . . .            | 29. |
| მ. ლერმონტოვი — პიტალი, თარგმანი შიქელ<br>პატარიძისა . . . . .               | 45  |
| მ. ლერმონტოვი — გლადიატორი, თარგმანი<br>ი. შეკელლაშვილისა . . . . .          | 46  |
| ბრუნანბურგის ბრძოლა — თარგმანი ინგლისუ-<br>რიდან გივი გაქერილაძისა . . . . . | 47  |

### კრიტიკა

|   |    |
|---|----|
| ვანო შადური — ლერმონტოვის ცხოვრება კავ-<br>კიშაში . . . . . | 51 |
| ჭ. შექუევე — კასტრა ხეთაგულოვი . . . . .                    | 61 |

### გიგანტურიაფია

|   |    |
|---|----|
| მკითხველი — იონა მეუნარეგია: „სამეგრელო<br>დავით დადიანის დროს“ . . . . . | 64 |
|---|----|

პასუხისმგებელი რედაქტორის მოვალეობის აღმსაჩულებელი დიმიტრი გენაზოლი  
პასუხისმგებელი მდივანი ნიკოლაზ აგიაზილი

წარმოებას გაზარდა 21/X — 39 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 31/X — 39 წ. ქალალის  
ზომა 72 X 105, ფურნ. ზომა. 7 X 11 ½, ფ. 4. შეკვეთის № 2340 მთავლის რწმ. № 6—3856.  
ტირაჟი 3500.

# ბეპვრული ცოტკრატერი

ალექსანდრე საჭარა

## ჭ უ ხ ი ლ ი

სიზმარში ღელავს ყვავილი წყვილი;  
მზე სხივებს ვარდთა ცრემლებში აქსოვს.  
მე მახსოვს ტბაში ღერწამის ჩრდილი,  
მე ერთადერთი ზღაპარი მახსოვს.  
დღეს იმ გაზაფხულს რას არ ვადარებ,  
იმ სიყვარულს და ცრემლიან თვალბეს;  
ჩვენ ყვავილები ვესურდა პატარებს  
და წასული თვის პატარა მთვარე.  
ჩვენ ვესურდა ქარიც მსუბუქადმქროლი,  
ღამით რომ წეწლა მოქანცულ იფნებს;  
ჩამოლიოდა სკეტავი თოვლი  
და თეთრ ვარდებით გვიგსებდა ფიქრებს.  
გვინძლავდა ტყეში წყაროს ხმაური,  
ვატრფოდით ვერხვის ცქრიალა ფურცლებს,  
მაგრამ ქუხილის ხმა უცნაური  
შეათროთოლებდა გოგონას უცებ.  
მე ხომ ცრემლებიც მინახავს მისი,  
ახლა იმ ცრემლებს რას არ ვადარებ.  
იყო ქუხილი, იყო მაისი  
და სიყვარული ვესურდა პატარებს.  
მე გული მქონდა.. გული ძვირფასი  
გადაქცეულა ლექსების მონად;  
მაინც სიმლერა ჩურჩულის მგზავსი  
ქვეუნად ვერავინ ვერ გაიგონა.  
სხვა — მთებში დაჰქრის და ბაძავს არწივს,  
ვინ, — ლექსია და მარტო გრიგალი...  
ქუხილად მოვა ჩემი ხმაც აწი,  
მაგრამ — ვაი თუ შეშინდეს ქალი!

## რამლენიშვილის ლექსი

ძირის აღმი

ო, იმ ბავშვობას ვიგონებ ხშირად —  
ეს გახსენება ბედმა მარგუნა, —  
შენ მაგონდები და ცეცხლისპირას  
რაც შთამინერგა შენმა ჩანგურმა!..

შენ მაგონდები... სიმების თრთოლვა  
ჩემმა გულისთვის კვლავ გამახსენა;  
მე შენზე ფიჭრმა დამიმარტოვა  
და შენზე ფიჭრმა არ მომასვენა!

შენ მას მღეროდი... რაც ჩვენს წინაპარი  
ყელში ამოხდათ გულდათუთქულებს,  
შენ მიამბობდი უძველესს ზღაპარს  
და ჩანგურივით წაიჩურჩულე.

შენ შთამინერგე დელური ენით  
ჟართული სიტყვა და თავდაბლობა,  
შენი ჩანგურის მთრთოლვარ სიმების  
და სიმღერების ვნახე ლამპრობა.

ვნახე ლამპრობა, და გახსენება  
იმ ტკბილი ხმების ბედმა მარგუნა  
ო, ვინ წამართმევს ბედნიერებას,  
რაც შთამინერგა შენმა ჩანგურმა!..

ამ ჩემს მაგიდას ფორთოხლები კვლავ ამშვენებენ.  
ისე კარგია... შესაკმელად ვერ შეველვევ;  
რა ვიცი... იქნებ შენ მოკრიფე სათუთ ხელებით  
და ფორთოხლები შენს ხატებას გამახსენებენ!.

\* \* \*

ბაღში ჩავედი. ყვავილები იღიმებოდნენ —  
ფოთლები თჩორცნენ დილის ცვარით ნამტირალევა,  
მე მოვიგონე სათისფერი შენი თვალები  
და ფორთოხლებიც, ფორთოხლებიც მაგონდებოდნენ!

\* \* \*

რა მშვიდი იყო იმ სალამოს ზღვა და ხმელეთი:  
სიმშვიდე კრთოდა ქლიავისფერ შენს თვალებშიაც,  
მსურდა მემლერა, მაგრამ გულით რას ვიმლერებდი?  
აშლი შენ გქონდა — მე უგულოდ ყოფნა მერჩია!

### შენ და ტყემლის ხე

შენს ეზოში დგას ტყემალი —  
თეთრია და ერთადერთი;  
მიკვირს ასე შავგვრემანი  
თეთრთან როგორ ანათებდი:

შენს ეზოში დგას ტყემალი,  
ცაში მისი ხელებია,  
შენნაირად დასაწვავი  
ყელი მოულერებია.

შენს ეზოში დგას ტყემალი —  
თეთრი ფერი შვენის განა?  
შენ სჯობიხარ შავგვრემანი,  
ას ვერ არის შენისთანა!

## ჯ ი ბ ი ს ს ე რ ქ ე

ამ ბორანს ალაზანზე ბევრჯერ გადაუყვანია მაყრიონი. ბევრჯერ თოფის სიმღლით, ატოტებული ცენტრითა და სიმღლის გუგუნით მისდგომია შეორენაპირს წყალში ლრმაღამჯდარი, შავს ღვინოში და ცხენის შარდში ამოვლებული ბორანი. მაგრამ ასეთი მაყრიონი, დღეს რომ მიჰყავდა, აროდეს უნახავთ არც მოხუც მებორინეს და არც ალაზანს.

ჯერ ერთი, ამდენი მაყარი თავის დროზე ჭავჭავაძეებსაც არ ჰყოლიათ. გეგონება წყალი მოვარდინილა საკვირაო ბაზრობაზე და ხალხმა ბორანს მიაშურა თავის გადასარჩენად. მერე კიდევ, რაც მთავარია ნეფე-ბატონი დარახტული ულაყის მაგივრად, საკუთარი, მსუბუქი ავტო-მანქანით მობრძანდებოდა. შავი ფერის, გრძელი, ლაპლაპა „ზის“ ისე იდგა ბორანის ნაპირას, თითქო მწევარი აწურულა და მდინარეში გადახტომას აპირებს. ჰაერმკვეთი ტანძ ზურგში მოხრილივით ჰქონდა ნახტომის გასაკეთებლად მომზადებული და დიდირონი თვალებით მიშტერებოდა მომწვანო ტალღებს. არც თუ დიდი ხანი იყო, რაც ნეფე, როგორც კოლმეურნეობის საუკეთესო თავმჯდომარე, მთავრობას ამ ავტოთ დაუჯილდოებია. პრიალა ჩემებში და ფართო ქამრით შემოკერილ ზოლიან ხავერდის ხალათში გამოწყობილი ახოვანი ჭაბუკი ეტყობოდა ძლიურ უფრთხილდებოდა ძერფას საჩუქარს. ცალი თვალით გაღმა ნაპირს გახედავდა ხოლმე, საითაც თავის დედოფალი ეგულებოდა, და მეორეთი კი — მანქანის სანათურებს და რადიატორის ელოლიავებოდა. მაყრებიც დიდი ჰატივისცემით კაკრობოდნენ კრისალა „ზის“, ცხენები მოარიდეს, და თუ კი ცინმე დაკორძებული თითით ფრთხილად შეეხებოდა შავი ლაკით მოსარკულ ავტოს, წინასწარ ხელზე უთუოდ დათურთხებდა და გულმოღვინედ შეიწმენდა ფარაჯის კალთაზე. მაგრამ ასეთი აზიზი შეხებისას ლაკზე წუთით მაინც ჩემებოდა ორთქლის ბოლქვები და ერთმა იხუმრა: თავი გაანებეთ, ემანდ ქეცა ან შეჰვართოთ.

მთელი კოლმეურნეობა მაყრად წამოსულიყო, — ღაწუებული ბალის მოხუცი დარაჯით, რომელსაც მავთულით შეერული, შამილის-დროინდელი ფილთა თან წამოელო და შეზარხოშებული ბორანზე დაცლას აპირებდა, მაგრამ ფალია ღვინით დაუსველეს, — მარტი არ მოგვწიოს, — და გათავებული თეთრ ტილოს ქუდში და თეთრ ფეხსამუქლებში გამოწყობილი მოანგარიშეთი. ახალგაზრდები აუტყონენ მოანგარიშეს — ფეხები მაწონში ხომ არ ჩაგიკრავსო, და ახლა, ცოტა განაწყენებული, ქალებში ჩამდგარიყო და გარმონს აწრიპინებდა-

ერთიც ისეთი მაყარი მოსდევდა ჩვენ მეფეს, — ჭავჭავაძეებს კი არა, — უთუოდ თემუშაზესაც არა პყოლია, — ზოლებიან ბრიჯში და პანამაში ჩაც-მული, ჩიბუხიანი, ფოტოაპარატიანი, ნამდვილი, ცოცხალი ამერიკელი.

ეს კაცი — აგრანომ-ეკონომისტი, თურმე უკვე მეორე თვე იყო საბჭოთა ქავშირში მოგზაურობდა და ამ სოფელში მევენახეთა მოწინავე კოლმეურნეობის გასაცნობად მოსულიყო. რასაცვირველია, ქორწილში ისიც დაპეტიციელი. მან ნეფელი აუხსნა თავისი მოგზაურობის მიზანი, — სურდა საკუთარი თვალით ეხილა სოციალისტური სოფლის მეურნეობა და სამშობლოში დაბრუნებულს სქელტანიანი წიგნი დაეწერა. ნეფელ უურადღებით ექცეოდა სტუმარს და კველა-ფერს უხსნიდა, როგორც შეეძლო. ბიჭებმა მოილაპარაკეს — ქორწილში ერთი ისე დაეთროთ — ამერიკა კი არა, იქნებ პანამაც დავიწყონდა და თავზე ხალაში დაეხურა. ერთმანეთს არწმუნებდნენ: მაგათ ქვეყანაში ღვინოს ზიარებისას თუ შესვამენ ხოლმე კოვზით, თორებ ისე, ვინ იცის, ლიმონადით ჭირფობენო საწყლები.

როდესაც გადატვირთული ბორანი ჭრიალით დაიძრა, ამერიკელმა ექვება თვალით აპხედა ლითონის ღასძულ ბაზარს და იკითხა, ამოდენა სოფელს რა-ტომ ხიდი არა გაქვთო. თავმჯდომარებ მიუგო, რომ ხიდის მშენებლობა უკვე დაწყებულია, ზევით მდინარის მოსახვევს იქით.

მათი მილიონერი, კოლმეურნეობა საკუთარი თანხებით აგებდა საჩაირონ მნიშვნელობის ხიდს, რომელზედაც ღვინის კასრებით დატვირთულ სუთტონიან საბარევა ავტოების ქარავანს მთელი სისწრაფით შეექლებოდა გავლა. საღმმე-ნებლო მასალა უკვე მოზიდული იყო მღინარის ნაპირას, მშენებლობა მხოლოდ დიდმა წვიმებმა შეაფერა. კოლმეურნეებმა თითონ მოზიდეს ქვა და სილა, მთიდან ზოგ აღვილას ხის მოჩები მხრებით ჩამოიტანეს.

ნეფელ ხელისგულზე ბებერებს იშინჯავდა და ამაყად იღიმებოდა, ეტყო-ბოდა მასაც დიდი ჯაფა ჰქონდა გაწეული.

მოხუცები დაინტერესდნენ, რას ამბობდა უცხოელი და თავმჯდომარებ გადაუთარებნაც.

— ხიდი განა უწინ არა გვქონდა, გვქონდა... — სოჭეა ნეფეს მამამ, ყალი-ონი ააწკლაპუნა მოხუცმა და ეშმაკურად გადახედა თავისკბილა გლეხებს, წისქვილის უკან, ვიწროებში საყალფეხო წერელის ხიდი იყო გამშული, ფეხში-მე დედაკაცს ვერ გაატარებდი. სულ არარაბას მაინც ისევ ისა სჯობდა, მაგ-რამა, კასრკუჭაანთ თანდილამ ჩაგვიწყვიტა...

„კასრკუჭაანთ თანდილამო?“...

— ევ რომელია, ლოთი რომ იყო?...

— მავნებელი ყოფილა!... — სოჭეს ახალგაზრდებმა.

— მაშ, სწორედ ე მაგან. — განაგრძო მოხუცმა, — ერთხელ ჩვენ სოფელში მოსულიყო ნათლობაში, კარგა გამოიკიპა თურმე და აბა, ხომ იცით, ჩვენი ცელი, კახელი კაცი თუ დათვრა, რამდენს დალევს, და თანაც თანდილა კიდევ, კასრკუჭაანთი ტყუილად კი არ იყო — რამდენსაც ჩაასხამდი — ჩაუდოდა, თითონსაც ჩუმბას ჰვავდა, ჰოდა დამთერალიყო ეს თანდილა, შემდგარიყო იმ ჩვენ ბეწვის ხილზე და კი არ ჩაეწყვიტა!... ლამის დაიხრიო, ძლივს გამოათხიეს კავებით. მერე სოფელმა სასამართლოში უჩივლა ზარალის ასანაზღაურებლად,

მაგრამ თავი გაიძინოდა: რად დამიაფრეთ, თქვე დალოცილებო, ხომ იცოდით  
თქვენი ხიდის და ჩემი სტომაქის ამბავიო...

— გაზაფხულზე თუ გვესტუმრებით, — მიმართა ნეფექ ამერიკულს, —  
ახალ ზიდზე გვაგტარებო.

— დიალ, შეიძლება გაზაფხულზედაც საბჭოთა კავშირში ვიქწა — სთქვა  
ამერიკულმა, — ჩემთვის ბევრი რამ ჯერ კიდევ გაუგებარი დარჩა თქვენს  
ქვეყანაში.

— საკინოველია, — გაიღომა თავმჯდომარებმ, — მამაჩემი უსწავლელი კა-  
ცია, მარნისა და ვენახის მეტი არა უნახავს რა და მაინც ესმის ახალის ძველი-  
საგან განსხვავება, თქვენ კი, — სწავლული ხართ, მთელი ქვეყანა შემო-  
გვივლით...

ახალგაზრდამ ხელები გაშალა.

— დიალ, — ამერიკულმა პირიდან გამოიღო მოკლე ჩიბუხი, — შეიძლება  
უცნაური იყოს, მაგრამ ხშირად იქ, საღაც თქვენ ვეებერეთელა სხვაობას ხედავთ,  
მე იგივეობას აღმოვაჩენ ხოლმე. აი, მაგალითად, — მან ჩიბუხის ტარით მიუ-  
თითა ქრისტიანი ავტოზე, — რითი განსხვავდებით თქვენ, სოციალისტური მეურ-  
ნეობის მუშავი, ჩემულებრივი, ამერიკული საქმის კაცისგან, რომელსაც მუ-  
შაითობისთვის ჯილდოდ მიუღია მსუბუქი ავტო? განა სულერთი არ არის,  
გისგან მიიღოთ ჯილდო? თქვენ გიყვართ ეს ავტო და აღტაცებული ხართ,  
რადგან იგი „თქვენია“, „საკუთარი“, თქვენ ახლა უნებურად ამაყობთ საკუ-  
ლესთან იმით, რომ განსხვავდებით ათას სხვა ახალგაზრდა კაცისგან — საკუთა-  
რი განქანა გაქვთ. ვიცა, რა აჩვენებულებაც წამომიყენებთ — სოციალისტური  
სახელმწიფო, ხალხის ჯილდო... მაგრამ, ის, რაც ეკონომიკაში და პოლიტიკა-  
ში გრძელი ტრაქტატებით და მრავალტომიან თეორიებით არის ხოლმე გამარ-  
თლებული, ფსიქოლოგიაში ხშირად სულ უბრალო, მარტივი ფორმულით ახ-  
სნება, და ფსიქოლოგიური მომენტი, მეტწუნეთ, სრულიადაც არ არის მეო-  
რადი ჩვენთვის, ეკონომისტებისთვის.

ამერიკულმა ჩიბუხი მოსწრა და კოტანის სიჩუმის შემდეგ, თბილი ბოლო-  
შის ცონით, განაგრძო:

— დიალ, ჩემთვის ძრელია ასესბითი, ძირითადი სხვაობის მონახვა. იქნებ  
იმიტომ, რომ სხვა პრინციპებზე ვარ აღზრდილი, ყოველთვის სხვა თვალით  
კუყურებ... ამიტომაც არის, რომ ამდენს ვმოგზაურობ, მინდა ყველა კუნძულში  
ხავთხედო, ენახო მთელი ეს უზარმაზარი, ახალი ქვეყანა...

— რა მოგახსენოთ, — ჩაფიქრებით სთქვა თავმჯდომარებმ, — გუშინაც მე-  
ღადაპარაკეთ და ქარგად იციო, რაც შეიძლება ითქვას თქვენი მოსაზრებების სა-  
წინააღმდეგოდ. მე თუ მეტოხურ, ჩვენი სინამდვილის გასაგებად სულაც არ  
არის საჭირო მთელი ქვეყნის მოვლა და ყველა კოლმეურნეობისა და ქარხნის  
გადაქოთება. თვითეულ წვრილმანში, ყოველდღიურ ამბებში გამოიცნობა ის  
ახალი, რაც ჩვენ გვაქვს...

ახალგაზრდამ ჯიბიდან ამოიღო წითელყდიანი, პატარა ჯიბის სარკე და  
სავარტელი, ქოჩორი გარაიგარებენა და კახური თალფაქი შეისწორა. ბორიბი  
მძიმედ უხსლოვდებოდა მეორე ხაპის.

— აა პატარა ჯიბის სარკეში მშენივრად დავინახამ ხოლმე ჩემ სა-  
ხეს, — გაიღომა ნეფელ-ბიჭმა, — ორმეტრიანი კაცი ვარ, მაგრამ ჯიბის სარკეშიც

ეჩანება. ასევე შეიძლება ჩეენი სინამდვილის დანახვა, ერთის შეხედვით, უმნიშვნელო, პატარა ამბეგში.

ამერიკელსაც გაეღიმა.

— ვინ იცის, — სთქვა მაშინ, — იქნება სოციალისტური სისტემა ჩემთვის — ბენეფიციალ გასატეხი კავალი არის...

ნეფემ ამერიკელის ოქროს კბილებს შეხედა და გაიფიქრა:

— ჟე, მაგ კბილებით კავალს რა გაგატეხინებს, შეილოსან, თანაც კირკიტი თუ შეგხვდა!..

შეცრად ნაპირზე ატეხილმა ხმაურმა თოკზე ბორბლის ჭრიალი და გარშონის წრიპინი დაფარა.

ყველა მიაჩრდა მოახლოებულ ნაბირს. გაღმა, ბორანის მისაღვომ კოცოსთან შეეროვილი ხალხი ყაყნით იცქირებოდა მღინარის ზევით მოსახვევი. სკენ, საიდანაც ნაპირნაპირ ვიღაც კაცი მორბოდა და გაურკვევლად ყვიროდა ხელების ქნევით.

ბორანზე მყოფთაგან ყველაზე წინ ნეფის მოხუცი მამა მიხვდა, რაც სდებოდა.

— ვაიმე, ბიჭო! — ხმადაბლა დაიძახა მან, — ალაზანი მოვარდნილა...

ვარმონითა და მასლაათით გართულმა მაყრებმა მხოლოდ ახლა შენიშნეს, რომ წყალი ამღვრეულიყო და გაბერილი ტალღები ტინებზე ჯაგდებოდნენ.

— გაპხედე, დავლუპილვართ!... — მოხუცმა ხელი გაიშვირა ზევით, მღინარის მოსახვევისკენ.

ყველამ იქით გაიხედა.

მოსახვევთან, წნორებში ჩაწოლილი, მღვრიე ალაზანი მძიმედ მოსტივტიკებდა ხის ბორებს, გრძელ ფიცრებს, მორებს, ჯგუფ-ჯგუფად ერთმანეთზე გადახლართულ და ცალცალკე გაფანტულ ყოველგვარ ხის მასალას.

მაყრიონმა პირველად ვერ გაიგო მოხუცის შეშფოთება, ეგონათ: ბორანს მოელოდა რაიმე საფრთხე და ყველა სიტყვაწართმეული იდგა, მაგრამ, როდესაც შენიშნეს ალაზნის მიერ მოტაცებული მოჭრილი ხეები, ფიცრები და კოჭები უეცრად მოვიდნენ აზრზე და აყაყანდნენ:

— ვაკმე! რა ზარალია!..

— ხიდის მასალა წმოულია!..

— მთაში დოდი წვიმები იყო და მიტომ მოვარდა ეს სატიალე!

— ჯებირი გაურღვევა, ჯებირი, ხეტყის საწყობები თან მოაქვს....

წყალმა პირველი მორები უკვე ბორანთან მიიტანა და მოსახვევთან კასევ მოსურავდნენ დაუსრულებელ აზმიად მასალის ახალ-ახალი ჯგუფები.

— აფსუს, რა ჯაფა გაესწიეთ!...

— ათი-ათასობით ფული წყალში ჩავყარეთ...

— ისევ უხიდოდ დავრჩენილვართ, ხალხნო..

— დავიღუპეთ, მართლაც რომ დავიღუპეთ...

ხალხი გულამლერეული შესცემით თავის უბედურებას. ყოველ მათგანს აფული დაეღვარა ამ მორების მოზიდვაში. დახეთქილი ხელები ეწოდათ უნებურად და ბებერები ექვებოდათ, როდესაც ხედავდნენ წყალწლებულ, გატიალებულ სიკუთარ ნაშრომს.

ალაზანი თითქმ დასცინოდა მათ, — ბორნის ახლო ჩაუქროლებდა მოტაცებულ, უზარმაზარ ბოძს, ორასწლიან ფიჭვს; ერთი სოფლის ხიდად რომ გაშოდგებოდა, იჩქითად გაჟერავდა ბორანს, შეატრიალებდა წყალში და თეთრი ქაფით შემოვლებულს გააყოლებდა აჩქარებულ მდინარებას. გლეხები მოაჯირს ეგადმოიხრებოდნენ და გულჩათხრობილ გმინვა აღმოხდებოდათ, თითქმ დამზრჩალი შვილის ჭუდი შეენიშნოთ მორევში.

თავმჯდომარე გარინ დული იდგა მანქანასთან. მას უთუოდ ელვის სისწრაფით უტრიალებდა თავში ხიდის გადარჩენის ათასგვარი ღონისძიება, მაგრამ კინც კი შეხედავდა მდინარის მთელ სიგანეზე მოტიუტივე, გაფარტულ და ერთმანეთშე შეხორცლილ ხეებს, მოდიდებული ალაზნის მძინვარებას, — ყოშელგვარ იმედს დაკარგავდა.

წყალის სისწრაფემ არაჩეულებრივ იმატა და ბორანი, ნაპირს რომ არ მისდგომოდა, ალაზნს იქნებ ისიც მორებისოვის გაეყოლებინა. გაშმაგებულმა ზეირთებმა ერთი ბოძი პირდაპირ ფერდში დატაკეს ბორანს, ხალხი ერთმანეთს მოეჭიდა და ქალებმა შეჰკივლეს. თავმჯდომარე თითქმ გამოაფხიზლა ამ შერყევამ.

— მამი, — ჩახლეჩილი ხმით მიუბრუნდა მოხუცს, — ვერაფერს ვიღონებთ?..

— აბა, რა უნდა ვიღონოთ, შვილო, ამ გველეშაპს ახლა ვინ მიუდგება. წყალი რომ დაბალი იყოს, მასალას კავებით გამოვზიდავდით, მაგრამ ახლა... თანაც, სანამ ხალხი სამუშაოდ გაემზადება, ჩვენმა ხეტყემ ლამის მტკვარში ამოჰყოს თავი, და მერე ბედაურითაც სითო ვეღია დაჲჭერ.

მოხუცმა შუბლი დაიჩრდილა და ალაზნს ქვევითკენ გახედა.

— აი, იმ ტინებთან რომ შეგვეძლოს დახვედრა, ხედავ?.. წყალს ხეტყე სწორედ იმ ტინებს შუა მიაქვეს. იქ სილიანია, წყალი ღრმა არ არის და ერთო რაზი ბოძი თუ გაიჭედა მერე მთელი მასალა მანდ მოიყრის თავს. მაგრამ, აბა, ამ აღიდებულ წყალში საით მიუდგება კაცი...

ქვევით, ალაზნის შუაგულში, სათოეენაც მოხუცი უთითებდა ორი მოზრდილი ტინი იყო ამოჩრილი. ისინი ახლა წყალს დაეფარა და მხოლოდ მათზე ამოსული ბუჩქებილა მოჩანდა. ტინები ურთმანეთისგან მეტრნასევრით თუ იყვნენ დაშორებული. მდინარის კალაპოტი ამ ადგილას ვიწროვდებოდა და უჟუმულ ტალღებს სწორედ ტინებისკენ მიჰქონდათ მთელი ხის მასალა. მორები გროვდებოდნენ; წყლიდან ამოწეულ ბუჩქებთან და შემდეგ რიგრიგობით მისრიალებდნენ ტინებს შუა, პატარა სრუტეში.

ბორანი უკვე მიადგა კოფოს. ახლა ალაზავის ახსოვდა, რომ ქორწილში მიღიოდნენ. მაყრები უხალისოდ გადავიდნენ მიწაზე, ხმას არავინ იღებდა, მხოლოდ ცხენებს თუ უჯავრდებოდნენ.

— გზა მომეცით გზა... — დაიძახა უეცრად თავმჯდომარემ, ავტოში ჩაჯდა და მანქანა აამუშავა. ცხენებმა თავაწევით დაიხიეს უკან, ხალხი მოერიდა და ქრიალა „ზისი“ სწრაფად გადავიდა ნაპირზე.

— საით, შვილო?.. — მიაძახა მოხუცმა.

ახალგაზრდას ხმა არ გაუცია, მანქანა ქვევითკენ მიაბრუნა და მოკენჭილ ნაპირს გაჟყვა ჩქარი სკლით.

შემდეგ ყოველივე ელვის სისწრფით მოხდა, როგორც იტყვიან ხოლმე-ხალხის ნახევარი ისევ ბორანზე იდგა და ისე შეცყურებდა მათ თვალწინ და-ტრიალებულ ამბავს. შავი „ზისი“ ტინებს ცოტა ზევით, საღაც ნაპირი დაბალი იყო, გაქანებული შეიჭრა ალაზანში. რამდენიმე წუთს ეტყობოდა, ბორბლებით მისღევდა მდინარის ფსკერს შუაგულისკენ. შემდეგ წყალმა აატივტივა მსუ-ბუქი ავტო და ტინებისკენ აუჩქარებლად წაილო მანქანა წყალზე ფრთხით ტივტივებდა და შორიდან ალაზანში შესული კამები გეგონებოდათ.

თავმჯდომარე ამ მდინარესთან იყო გაზრდილი, ბაჟშობისას და შემდევაც ბევრი უთევზავნია აქ და უცურავნია, დაწვრილებით იცოდა წყლის რომელ ძარღეზე უნდა გაწოლილიყავ ზურგით, რომ დალლილი თითონვე მიეტანა მდინარებას ნაპირთან; სად იყო ფსკერი სილიანი, ტირიფის ფესვებში ან ლოდებქვეშ თევზის ბუღები, ფეხმოუკიდებელი სისი ტინებთან და ხალიჩასა-ვით რბილი, ასწლიანი ხავის ზურმუხტის ფერისა. მას ზუსტად შეეძლო ეთქვა წყალში ჩაგდებულ ნაფოტს სად გარიყავლნენ ზეირთები. თვალის ერთი გაღავ-ლებით ატყობდა წყალქვეშა და ზევითა მდინარების განშტოებას და დონეს. ახლა იგი ისე მშევიდად იჯდა ავტოში, თითქო ნავით შეცურებულიყო ბადის სასროლად. მდინარემ რამდენიმეჯერ შემოაბრუნა ატივტივებული მანქანა და ფოველი მომდევნო წრით თანდათან დაუახლოვდა ტინებს. გარშემო გამაყრუე-ბელი შხუილი იღგა და ბუჟუყი. წყლის შხეფებით უკვე მთელი მანქანა სველი იყო. ახალგაზრდამ მიატოვა საჭე, მოტორი უკვე გამორთული ჰქონდა, ტანჯაუ-ხდელი, ჩემებითვე გადახტა მდინარეში, ცალი ხელით მოეციდა ავტოს ზურგზე მიკრულ სათადარივო თვალს და მანქანას ცურვით გაჰყეა.

მღვრიე ზეირთებმა „ზისი“ ტინებისკენ წაილეს. პირდაპირ ტინიდან გად-მოხრილი, ნახევრად ჩაძრული მაყვლის სველი ტოტები თითქო თავის გადასაჩ-ჩენად მოჟეიიდნენ მანქანას და უკლებით დაკაწრეს. ორიოდე წუთის შემდეგ რაღიატორი ბუჩქებთან წყალქვეშ დამალულ ტინს დაუჯახა, ავტო ნახერად შებრუნდა და ზურგით შეცურდა სრუტეში.

წყალი ცოტახანს აწვალებდა მანქანას ვიწრო გასაყალთან, შემდეგ რაღია-ტორი თანდათან ზევით ასწრა, თითქმის აყირავა და ავტომობილი მაღლა-აშვერილი წინა თვლებით ტინებს შუა, სილაზე გაჩირა. დაბალი ფსკერიდან ლამი წამოშალა და ისეც ამღვრეული წყალი სულმთლად მტუტედ აქვია.

კაცი ამ ღროს ბუჩქებს მოჟიდებული იდგა წყალში. ზეირთები მუხლებში სცემდნენ და წაქცევას ლამობდნენ, მაგრამ იგი კიბორჩხალიერით მიჰკეროდა ტინს და გაფარცუტით შესუქრიდა მანქანის მოძრაობას.

მდინარემ პირველი ბოძი მოიტანა და დააჯახა გაჩირულ მანქანას. ბოძმა სარკმლის მინები შელეწა და მანქანაზე მიყრდნობილი ირიბად შესღვა ტინებ-თან. ქეევიდან ამოტივტივებული დამპალი ფოთლებისა და ხავსისგან გამა-ბრუებელი შმორის სუნი გაფრცელდა. პირველ ბოძს მოჟყა მეორე, მესამე და ორიოდე წუთში მანქანასთან ათობით დაგროვდა ტალახში ამოსერილი და წყლით გაჟღენითილი ხის მასალა...

თავმჯდომარემ ხელის გულით ჩამოწმინდა სახიდან მღვრიე წვეთები, სველი თალბაჟი ჯიბეში ჩაიდო, მოსცილდა ბუჩქებს, გაღმოხტა და ცურვით წამოვიდა ნაპირისკენ.

კოფისთან გარინდებული ხალხი მხოლოდ ახლა მოვიდა გონს. ბორიდან მაყრებმა იხუვლეს, მიატოვეს ცხენები და ნაპირ-ნაპირ ტინებისკენ გამოიჭ-ცნენ ფარავების ფრიალით.

ცოტანის შემდეგ გლეხებით გარშემორტყმული თავმჯდომარე იდგა წელამდე გაშიშვლებული და ღონიერი ხელებით ხალათსა სწურავდა. საიდლა-ნაც გაჩენილიყო თეთრებაბაში გამოწყობილ შავვერემანი ვოგონა. მას თან სცვენიდა პერანგახახლილ საქმრისთვის შეეხედნა, და თანაც, ასეთ უჩვეულო მომენტში მორცებობის გამოჩენისა ერთდებოდა, შორისახლო დამდგარიყო და ცხვირსახოცის ჭმუჭვნით შესცეკროდა უცნაურ ნეფეს.

ახალგაზრდას სცელი თმა შებლზე მიჰყეროდა, წყალი გასდიოდა ფეხებში, შხრების მძლავრი მოძრაობით ჰერებდა ხავერდს და განკარგულებებს იძლეოდა:

— კავები და თოჯები მოამზადეთ... გამოღმელებს შეატყობინეთ, დაგვეხ-მარონ... ურმები გამოიყვანეთ, აბა, სწრაფად, სანამ მასალა ბევრი არ დაგრო-ვილა, თორემ მერე ტინებზე შემოატარებს წყალი და ნახევარს სევ წამლებს...

გლეხები გარშემო ჩოჩქოლებდნენ.

— ახლა ჯავრი ნუ გაქვს, ნაფოტსაც ველარ წაგვართმევს...

— ვაი დედასა, რა ავტონობილი გააფუქე!

— როგორ გაწუწულხარ, ნეფე-ბატონი მაინც არ იყო...

ახალგაზრდა კაცი გულლიად იღიმებოდა და მალიმალ გადახედავდა ხოლმე საცოლეს.

— ავტო ჯაზდაბას, — სოქვა თავმჯდომარებ, — გამოვიტანთ ქალაქში შეაუეთებენ და სევ კარგი იქნება. ეს მასალა რომ წყალს წაელო, ორმოც ავ-ტოდ დაგვიჯდებოდა... ქორწილსაც ცოტანით გადავდებთ...

გლეხების ჯაფი თეთრებულიანმა მოანგარიშებ გაარღესა. მას მხარილივ გადეკიდნა გარმონი და შემჭიდროებულ ხალში მუჯლუგუნებით გზას უკაფავდა ამერიკელ სტუმარს, რომლის ასებობა, ეტყობოდა, ყველას გადავიწყდა.

— რა უნდა, ძმა, ამ კაცს, — მიმართა მოანგარიშებ თავმჯდომარეს, — წელები დამამტვრია... ვერ გაუგე, რას ბუტბუტებს, საღაური მოდა, პერნიათ, ლამის მკლავი ხმოიგდო...

— შენც საჩამა გამოჲია კახურად, ნუ დაუჩაგვრინები... — დაუძახეს უკან რიგებითან.

ამერიკელი ახალგაზრდა კაცთან მიუიდა და მაგრად, ძლიერ მაგრად ჩა-მოართვა სცელი ხელი.

— ეს ამბავი არ დამავიწყდება, — სოქვა ამერიკელმა. იგი აღელვებული ჩანდა, — თქვენ მართალი იყავით... ძლიერ კმაყოფილი ვარ, რომ ამ ამბის მოწმე გავხდი, ძლიერ კმაყოფილი...

ამერიკელი თოთქო ცოლობდა ხელის მტევნი მჯაში მოწყვიტა ახალ-გაზრდა კაცისთვის.

— თქვენ მართალი სთქვით, — განაგრძობდა იგი, — პატარა, ერთი შეხედ-ცით უმნიშვნელო ფაქტებშიც შეიძლება დიდი, ძალიან დიდი ამბის დანახვა, ასევე როგორც კაცი ხელისულის ოდენა სარკეში ხედავს თავისთვის. ვთხოვთ ამ დღის სახსრებიდ ეს ჯიბის ხარჯე მაჩუქოთ ჩემი კოლექსისთვის, — ამერი-

ჭელმა ჯიბიღან ამოიღო პატარა, წითელყდანი სარკე, — ბორანზე დავივია-  
ღათ მანქანაში ჩაჯდომის ღრუს და ავილე..

ნეფემ ლიმილით აიჩეხა მხრები:

— დიდი სიამოვენებით, ფუშქეშ!..

და შემდეგ გარშემორტყმულ გლეხებს თვალი ჩაუკრა:

— დღეს რა ზარალში ვარ, ხალხნო!..

შხუილით მოდიოდა ადიდებული ალაზანი. გლეხები იღიმებოდნენ.

## 331-ფეხულას ნეამპი

ვინ დამიბედა გზები პოეტის,  
 ვინ გამამზადა საბედისწეროდ;  
 ნუთუ ამქვეყნად მისთვის მოვედი,  
 რომ უნდა მხოლოდ ლექსები ვწერო?  
 ნუთუ სხვა რამე, სიმღერის გარდა,  
 ვერ უშველიდა ტკივილებს ჩემსას?  
 ან რატომ არის, რომ ყოველ ქალთან  
 გამიჯნურება მჩვევია ლექსად?  
 უმეგობრობა არ მიგლოვია  
 და არც მოლექსე მყავს წინაპარი,  
 მე ზღაპარი თუ გამიგონია,  
 ბაბუაჩემის თქმული ზღაპარი,  
 და მხოლოდ ჯიში მიმაგრებს სტრიქონს,  
 ჯიში გმირული, ჯიში ქართული,  
 ბაბუაჩემი ვაჟკაცი იყო,  
 სატევარით და ცხენით განთქმულ,  
 მან დიდ მუხნარში მოჰკლა ტხები  
 და მათი ხორცია მზრდიდა ნიადაგ,  
 მიტომ არ მიყვარს მე არტახები  
 და მიტომ ვარგვარ აღამიანად!  
 მან ერთხელ განგებ დამკოდა მხარში  
 და უცოდველი სისხლი მაღინა,  
 სველ ბალახებში დამტოვა ბავშვა  
 და მწვერვალები გაღინადირა.  
 მას შემდეგ ბევრის მკლავი ავცელა,  
 შეებაც ვიგემე და გაქირვებაც  
 და ვიდრე ლექსად არ გადავწერე,  
 მანამდე მკლავდა მე ეს ჭრილობა.  
 მანვე გამილო ბუნებისკარი  
 დიღის სიტრატხილით და სიმძიმილით.  
 და შთამაგონა, რომ ლექსი არის  
 კატის და ქვეყნის გულისტყივილი.

მან შემაყვარა სამშობლო ჩემი,  
რომლისთვის ბევრმა სისხლი დაღვარა,  
მან შემაყვარა ბუნების ცრემლი,  
და სალამურიც მან შემაყვარა.  
სამშობლოს ტროფობით გული დატერე;  
მათრობდა, როგორც ლვინო ყვრული  
და ვიზრე ლექსად არ გადავწერე,  
მანამდე მქლავდა ეგ სიყვარული.  
ლექსმა კი შეჰქრა ჭრილობა ცივი  
და გაანათა ჩემი კაცობა,  
და ჩემი გულის ყოველგვარ ტკივილს  
მხოლოდამხოლოდ ლექსმა აჯობა,  
ვერც დედის ხელმა, ვერც სატრფოს ეშხმა  
ვერ გამიყუჩა ჭაბუქს იარა  
და ჩემი გულის გმირული კვნესა  
მარტოდენ ლექსმა გაიზიარა.  
მეც მიტომ ვძედავ არწივულ ყივილს,  
როცა გულს გაჰქრავს ცივი ნიავი,  
რომ ლექსი შველის ყოველგვარ ტკივილს  
და ლექსი თვითონ ტკივილი არი.  
და რადგან მერგო ვიყო პოეტი  
ჩემი ცხრილების საბეღისწეროდ,  
რადგან ამქვეყნად მისთვის მოვედრი,  
რომ უნდა მხოლოდ ლექსები ვწერო,  
რადგან სხეა რამე სიმღერის გარდა  
ახლაც ვერ შველის ტკივილებს ჩემსას,  
მჯერა, ამ დიად ბუნების კართან  
მე თვით სიკვდილსაც გარდავჭმი ლექსად!

## უბის ნიგნილან

ცხრაკარა

ჩემს ბავშვობაში ცხრა მთათა კალთას  
ციხე რომ იღვა მთაზე მაღალი.  
ცხრაკარა ერქვა და თითო კართან  
ცხრა ლოდი იწვა ცხრა ძმისმაგვარი.  
ციხეს მდუმარე დარბაზი ჰქონდა,—  
დამხობილი და უენო ზარი  
და ლამლამობით ცხრა პირად ქროდა  
ცხრაკარებიდან ამღვარი ქარი.  
მე ყოველდღიულით ავდევდი აღმართს  
მოწყებილი და უმიზხოდ ჩუმი.  
ჩამოვჯდებოდი დანგრეულ თალთან  
და ყურს ვუგდებდი წარსულის ღუმილს.  
შეგონა, ქარი უშორეს ზღაპრად  
მომახარებდა რამე საოცარს.  
მიმასწავლიდა თამარის საფლავს  
და დაუწერეულ ვეფხისტყაოსანს.  
მაგრამ ნელნელა შევიგენ, თითქოს  
ძნელია უხმო აჩრდილებს მიჰყე.  
ყოველდღე ლოდი ცვიოდა თითო  
და მტკიინეულად ოხრავდა ციხე.  
ასე დაინგრენ ცხრაკარას ბჟენი,  
მაგრამ ნანგრევთან როცა გავიყლო,  
დამხვდება თალთან ბავშვია ჩემი,  
როგორც ლამაზი თეთრი ყვავილი.  
დამსვდება ქარიც, და როგორც ლრუბელს  
გამაქანებს და წარსულში მიხვევს.  
კედლები დგება და ჩემს ვრცელ უბეს  
შეეფრება მდუმარე ციხე.

დაიძინე, ქალავ, თორო  
შავი ღამე ფრთვინავს.  
დაიძინე, დედის თოლო,  
დაიძინე, შვილავ!..  
ახლა გარედ ოჩოპენტრე დადის,  
ნისლის ჭუდი პატარა ჩქებს მალავს.  
მძივს აგისხამ სამძიმარას დარდო—  
დაიძინე, ქალავ!  
ღმერა და უღამურო ღამე,  
არც გარსკვლავი ბზინავს,  
დავიღლალე!..  
დაიძინე, ძილავ!  
დაიძინე, დედის თოლო.  
ძილს სიმშვიდე მოჰყავს.  
დაიძინე, ქალავ, თორო  
გაბაცდება ლოყა.  
მამაშენი ქარაფებში ათევს.  
ჯიხვის მწვადებს ჩამოვიტანს მამა.  
იქნებ ახლაც ლეკურ ხანჯალს უართეს.  
წმინდა სისხლი კალმახივით ნამავს.  
ჭრაქის შუქი ფართვატობს და ლანდობს,  
კერას უკვე სძინავს...  
დაიძინე, სამძიმარას დარდო,  
დაიძინე, ძილავ!..

გ ა ნ შ ო რ ე ბ ა

უველა მოქლე და ქერა თმის ნახვით, გამახსენდება თმები-შოლტები.  
როგორ არ მინდა, როგორ არ მინდა... მაინც მივდივარ, მაინც გშორდები!  
ასე სთიშავდნენ ძველი ზღაპრები ასფურცელის და ოქროსთმებიანს...  
ქარმა დაგლიჯა უველა აფრები და შენზე დარდში დამთენებია!  
მგზავრი ვარ, შენზე ფიქრები ეუნდები და აჩრდილებთან თამაშს უვნებელს.  
მე დავბრუნდები, ჰო, დავბრუნდები!..

მე შენი თმები დამაბრუნებენ.



## ეკვდავი პიმი

ლამის პირველი საათის შესრულებას ათი წუთი რომ დააკლდება, აფთიაქის საწყობის მოლარე გვაგვალია — კედელზე მწყრივად მისობილი ლურს-მეცის საკიდიდან შლიაპას ჩამოიღებს, ხელის გულზე ფრთხილად გაბერტ-ჭავს — აქაქ წკისურტსაც გაჰკრავს — შემდევ ოთახს მოათვალიერებს, წუთით კარის მოპირდაპირე კედელზე ჩამოკიდებულ, შუშიან ჩარჩოში ჩასმულ პორტრეტებს დაკვირდება და სახემომლიმარი ვიწრო, ჩაბნელებულ დერეფანში გამოვა.

დერეფნის ორივე მხარეს უამრავი ნავთქურებია ჩამწყრივებული; ზოგი გაცემილ, უზურგო ხის სკამზე დგას, ზოვი იატაკზე; ამათ, კარის მხრიდან ქარმა რომ არ დაუბეროს — ფანერის მოზრდილი ნავერი ან ძველის-ძველი, უშველებელი წიგნის მტვრითა და მჭვარტლით მოსკრილი ყდა აქვს მოვარებული. სამზარეულოს უქონლობის გამ — ეამგადასული სახლის პირველი სართულის მდგმურები იძულებულნი არიან შეძლებისდაგვარად გამოიჟერნებ ეს ვიწრო და მუდამ ბნელით მოცული დერეფნიც კი. მაგრამ უმთავრეს საზრუნავს და საფრთხესაც კი — მდგმურებისვის ის ათიოდე ნავთქურა წარმოადგენს, დერეფნის ორივე მხარეს რომ არის ჩამწყრივებული და თავისუფლად გავლას აძნელებს. ამ მხრივ განსაკუთრებით სახაფათოა დერეფნის შესასვლელ კართან — მოლრეცილ სკამზე მდგარი ნავთქურის ახლოს გავლა. იგი ფეხებდასიებულ და საოცრად შეკრდსაც ქალს ეკუთვნის, რომელსაც მეზობლებში შეუპოვრის სახელი აქვს მოხვეჭილი. საკმარისია ოდნავ — უნებურად შეეხოს ვინმე მის ნავთქურას ან ზედ მდგარი ქვების ნაპირს, რომ სკამი უმალვე შექანდება და საცოდავი ჭრიალით უმალვე პატრონის ყურადღებას მიიქცევს; პატრონი ოთახში ყოველთვის კარებთან ზის ყერდაცემებილი ამ „უსიამოვნობის“, როგორც თვითონ იტყვის ხოლმე, მოლოდინში. დამნაშავე, ვინც არ უნდა იყოს იგი, ისე ეერ წავა, თუ პასუხი არ აგო მკერძავსე ქალის წინაშე, მისი ნავთქურის უხეშად შეხებისათვის.

ეს სხიფათო დერეფნანი ხუთ ოჯახს აერთიანებს; ამ ოჯახების წევრთა რიცხვი ოცამდე აღწევს, რომელთაგან მხოლოდ ერთი სარგებლობს განსაკუთრებული უფლებით და შეღავათით. მხოლოდ ის ერთი შეიძლება დაუსჯელი დარჩეს, თუ სალმე აჩქონდით მიმავალი უნებურად რომელიმე ნავთქურას და სხვა საღვახო ნივთს წამოედება. და ამით დერეფნის მფლობელთა მყუდ-

როებას დაარღვევს. მიუწედავად ამგვარი შედავათისა — გვავვალია მაინც დღის სიფრთხილით გაიღლის ხოლმე, რადგან არ უნდა მისაღმი მეზობლების გულკეთილობით ისარებლოს, ან ბოროტად გამოიყენოს მათგან მინიჭებული უფლება. ყველას უკვირდა, როთ უნდა მოეგო ამ ხმელი, დაბალი ტანის კაცს მეზობლების გული, როცა არც მისი გარევნობით, არც სიარულით, არც ლაპარაკით არ შეიძლებოდა ვინმე მოხიბლულიყო; მაგრამ ის თვისება, რაც მეზობლების თვალში მის გარევნობასც აკეთილშობილებდა, სიარულს ტანსაცმელს და ხმასაც კი მიმზიდველს ხდიდა, თვისება ყველა გაჭირვებულისადმი — იქნებოდა ნაცნობი თუ უცნობი, ოღონდ ღირსეული კი ყოფილიყო გულწრფელი თანაგრძობისა და გულშემატკიცრობისა, რაღაც განსაკუთრებული სიმპატიით და ნათელით მოსავდა სხვაფრივ ესოდენ ნაკლებად საყურადღებო, უწყინარი მოლაპის პიროვნებას.

ახლო მეზობლები განსაკუთრებით დავალებულნი იყვნენ მისგან, როცა, რომელიმე მათგანს, ავადმყოფობა ლოგინად ჩააგდებდა და ვინმე ახორებული ექიმის მიერ გამოწერილი წამლის ერთი შემადგენელი ნაწილი იმ დროისათვის აფთიაქებში არ აღმოჩნდებოდა, გვაგვალია უსათუოდ წამლის იმ ნაწილს ან სხვა საწყობში იპოვნიდა, ან საღმე ნაცნობს დაესესხებოდა და მაშინ ჩეეულებრივზე უფრო მკვირცხლად მოეშურებოდა სახლისკენ იმ რწმენით აღფრთოვანებული, რომ ავადმყოფი მეზობლის ჯანმრთელობას საფრთხე აღარ მოელოდა... .

მაშინ მეზობლებისა და განსაკუთრებით ავადმყოფის სიხარულიც განუსაზღვრელი იყო და მგონი ეს სიხარული და იმედი უფრო უკეთესად მოქმედებდა, ვიღრე თვით წამალი.

გვაგვალიას კი, რადგან იგი გასამრჯელოდ მაღლობის მეტს არაფერს ახლოს არ იკარებდა, ამ მაღლობის გაუთავებელი მოსმენით ხშირად უურებიც კი სტკიოდა.

— ხალხო, რა საჭიროა მაღლობა, როცა გამიჭირდება, მაშინ ვნახოთ! — იტყოდა ხოლმე მოთმინებიდან გამოსული მოლაპე. მაგრამ არ იქნა და არაფერი გაუჭირდა, რომ მეზობლებს მისდამი უსაზღვრო მზრუნველობა და ჯრთგულება ერთხელ მაინც დაემტებიცებიათ. რომ გასჭირებოდა, მაშინ კი არავინ იცოდა მეზობლებიდან ვინ ვის დაასწრებდა, თუმც ამ თემაზე საუბრის ღრის ღოინჯშემოყრილი მკერდისასე ქალის უშველებელ მკლავებს რომ შეხედავდნენ, უკმციფლოდ გაიფიქრებინენ — პირველობა უსათუოდ მას დარჩებათ. ეს მართებულიც იქნებოდა, რადგან იმდენი ამაგი გვაგვალიას შიმართ არავის არ მიუძღვდა, რამდენიც ამ მეღვარი შეხედულების მეზობელს; თუნდაც ის რატ ღირდა, რომ დერეფნის კარის ერთადერთ გასაღებს, რომელიც მას ებარა, ღამის პირველ საათზე „საღლაც მიმავალ მოლაპეს ატანდა და თუ მის დაბრუნებამდე ვინმე მოვიდოდა ან წავიდოდა, შემოსელაც და გასელაც ერთ-ერთი მეზობლის ფანჯრიდან უნდა მომხდარიყო... ამ ახირებული ჩეეულების შესახებ მითქმა-მოთქმა და ჭორები თანდათან ძლიერდებოდა, მაგრამ — მეზობლიდან ვერცერთი თვალთვალს და შემოწმებას ვერ ბედავდა. თითონ იცისო, იტყოდნენ ხოლმე, პატიოსანი უწყინარი კაცია, და საღაც უნდა შავიდეს, ასეთივე დარჩებათ... .

მეზობლების უმრავლესობა ფიქრობდა, რომ მისი ასეთი თავდავიშვებული სეირნობა უთუოდ ვინმე ხნიერი ქვრივის ბრალი იყო, რომელმაც შეიძლი

ლება ბინა დაუდო თავის თბილ კალთაში მოლარეს. გვაგვალიას კი, მიუხედავად მის ყურამდე მიღწეული მრავალფეროვანი მითქმა-მოთქმისა; ჩვეულებრივ ყოველ სალამოს. როცა პირველ საათს ცხრა წუთი აკლდა, უკვე ეზო ჰქონდა დავლილი და ქვემოთ—მიყრუებულ ჩიხში ნელი ნაბიჯით ლანდივით მიიღლებოდა. ჩიხიდან მარცხნივ—მშვილდივით მოხრილი ქუჩის ბოლომდე, როცა მივიღოდა, ცოტა ნაბიჯს აუჩქარებდა, რაღაც მისი ვარაუდით პირველს უთუოდ ეჭვის წუთისა აკლდა. მოსახვევიდან პატარა — სამიოდე წლის წინათ გაშენებულ ბაღს რომ მოჰკრავდა თვალს, სახეზე კმეყოფილების გამომხატველი იქრი მოეფინებოდა, ნელნელა ნაბიჯსაც მოუკლებდა, ქუდსაც მოიხდიდა, თითქო ძველი მლოცველივით ეკლესიაში შესვლას აპირებდა; მოკეცილი შლიაბის ნაპირს ულვაშებზე გადაისვამდა, ქუჩის მეორე მხერეზე ბალისკენ გადავიდოდა და მწვანედ შეღებილი, დაბალ ბოძებზე გაშენული მავთულის ღობესთან შეჩერებული — ბუჩქებისა და ხეების ძირს დახრილ ტოტებს შეა გასაჭრეტს მოსქებნიდა...

ბაღის შუა გულში პატარა აუზია, აუზის შუა გულში ქვების ხელოვნურ გორგაზე ამოყვანილი ონკანის მოძრავი ბურტიდან ირგვლივ ციციციმით იფრქვევა ანკარა წყლის შეფეხი. აუზიდან რამდენიმე ნაბიჯის დაშორებით შალალი ბოძი დგას; ბოძზე გრძელი — რაღიო-რუპორია მიმაგრებული, რომელსაც ზემოდან ლამ-ლამძიც მერთალი შუქით ანათებს პატარა ელნათური. ელნათურის გარშემო კი დაუსრულებლივ დაპქრიან და ფუსტუსებენ ლამის პეპლები. დილას მოვარდნილი ქარისა და წვიმის შემდეგ ბაღში ჩვეულებრივზე უფრო გრილა, მაგრამ აზავინ არ ნებივრობს ახლა ამ სივრილეში და მყუდროებაში. დაღამებამდე აქ დედებთან და ძიქებთან ერთდა პატარა ბავშვები თამაშობდნენ და ურიაშულით ალოცელებდნენ ხეიკუნებს.

ახლა კი ყველაფერი სოვლებს. და ამ თვლებაში რაღაც უცნაურად გაშეულილი ეჩვენება ბაღი გვაგვალიას...

აღარც ბავშვები სჩანან, აღარც მებაღე, აღარც ნიავი ჰქრის და აღარც...

გვაგვალია მოჩენებასავით — განმარტოებული დგას ბოძის აბლოს და სტენად გადაჭცეული გაკვირვებით აცეცებს თვალებს; მისთვის ყველაზე უფრო საკვირველი და მოულოდნელი ამ ლამის უკვეულო მყუდროებაში შხოლოდის იყო, რომ აღარც რაღიოს ხმა გაისმოდა...

წამის ექვებმა შეიძურო მოლარე; მაღალ ბოძზე მიმაგრებულ რაღიო-რუპორს რამდენჯერმე ახედა. გარეგნულად ყველაფერი რიგზე იყო; პატარა ელნათური წინანდებურად მერთალ შუქს ჰფენდა მტვრით დაფარულ მის ზედაპირს; ელნათურის გარშემო კი ჩვეულებრივ მოუსვენრად ფუსტუსებდნენ ლამის პარაზინა უფერული პეპლები.

გვაგვალია ნელი ნაბიჯით მიღი-მოდის ბოძის ახლოს. ლოდინში უაზ-როდ აცეცებს თვალებს, აკვირდება ხეებს, ტოტების მოყვანილობას, მიმართულებას; აკვირდება ფოთლებს, მორწყვის შემდეგ ნათურის შუქზე ჯერ კიდევ სველი ზედაპირი რომ ულაპლაპებთ. აკვირდება აუზის რკალიდან ოთხი მიმართულებით გაჭიმული, დანაყილი აგურით მოფენილი და მოტკეპნილი ფართო გზის მოწითალო ზოლებს. აქანქ მრგვლად მერთალი შუქი რომ ეფუნდება — მაღლად შუაზე — გზის გასწერივ გავიმულ მავთულზე გამშკრივებული ელნათურებიდან. მასი ვარაუდით პირველს, აღბათ, რამდენიმე წუთი უკვე გადასცილდა. იქნებ საათმაც მოატყუა; მაგრამ, როდის იყო, რომ

თორმეტმანეთიან კედლის საათს, რომელიც უქვე ხუთი წელია კაյანებს შე-  
უსვენებლივ. შეცდომაში შეეყვანა გვაგვალია. იქნებ ქარის ბრალიც იყო...  
ჩადიო-რუპორი კი არა, სახლების სახურავები შესძრა დილით...

გაოცებული მოლარე ბოძთან მივა, ეჭვით ერთხელ კიდევ ახედავს რუ-  
პორს, ერთხანს უყურებს, შემდეგ ორივე ხელს მოსჭიდებს ბოძს, უმწეოდ  
თავს მიაყრინობს; გაინაბება... მაგრამ ფიქრებში გართულს, თითქო რამე მო-  
ესმაო, შეკრთება, არგვილვ მიმოიხედავს, ვიღაც — ქუჩაზე მიმავალ უცნობს  
მოჰკერავს თვალს. სახლში წასელა ვერ გადაუწყვეტია. თუ ის არ მოისმინა,  
თუ რადიოს ხმა არ გაიგონა, დარღვთ ვერ მოისვენებს — ვერც დაიძინებს,  
ფეხს ვერ მოიცვლის...

გვაგვალია ბალის კარებამდე მივა, ცემენტის ბოძს მეცყრილობა და გაი-  
ფიქრებს: — სახლში არ წავა, სანამდე ღრის არ გაიგებს. ერთი ან ორი დაგვი-  
ანებული მგზავრი კიდევ გაივლის უთუოდ, იქნებ საათიც აღმოაჩნდეთ, ჰეით-  
ხავს.

მართლაც, დიღხანს არ ალოდინა დაგვიანებულმა მგზავრმა. ქუჩის ბო-  
ლოში, მოსახვევთან ვიღაც შუა ხნის ქალი გამოჩნდება; ქალი წუთით შეჩრა-  
დება მოსახვევთან, შეისვენებს და მერე ნელი ნაბჯით წამოვა. გვაგვალია  
ძელი დარღიმანდივით ულვაშებზე მოკეცილ შლიაბის ნაპირებს გადაისვამს.  
ჩუმად რამდენჯერმე ჩაახველებს, მიმართვის ღრის ხმა რომ უფრო გარევეუ-  
ლად და ნაზად ბერდეს.

რა წამს უცნობი ქალი გაუსწორდება. ბალის კარებთან მდგარი მოლარე  
მოულოდნელად მისკენ დაიხრება და უმალვე ბოძიშს მოიხდის. სანამ ქალი  
გონს მოვიდოდეს და ენას დასძრავდეს, ვგავგალია კიდევ უფრო თავაზიანი  
კილოთი ჰეითხავს: — რომელი საათია, ქალბატონო?... ქალი კიდევ უფრო შე-  
კრთება, საათის გაგონებაზე მარცხენა ხელს მკერლში ჩაიკრავს. და ნაბიჯს გა-  
დასდგამს, აუქეარებს... აღარც უპასუხებს, აღარც მოიხედავს...

ნაშუალამეეს უცხო კაცის დახვედრა ქუჩაში და მისი შეეკითხვა საეჭვოდ  
გრეჩენება; მწარე გამოცდილებაც აიძულებს მალე გაეცალოს უცხოს. თუმცა  
დასუსტებული მუხლები ძლივსლა უძლებებს მისი ტანის გვარიან სიმძიმეს.

ორი წლის წინ სწორედ ასე დაუხვდა უცნობი, ასევე თავაზიანად ჰეითხა  
საათი; გულუბრყვილო ქალი სანამ პასუხს და უცნობის მოულოდნელ ძალა-  
დობაზე დაყვრებას მოასწრებდა, აღარც საათი ჰერნდა მაჯაზე, აღარც ვინმე  
სჩანდა მის გვერდით.

მოლარე შეურაცხყოფილად იგრძნობს თავს; კარგად დაუნახა ქალს მაჯა-  
ზე საათი, ქალმა ისე უზრდელად უჩვენა ზურგი. დღევანდელი საღამოთი  
უზომო უქმაყოფილო და უცხო ქალის საქციელით დამტკიცებული მოლარე  
ვერც კი გაიგებს, როგორ დაბრუნდება შინ; მხოლოდ მაშინ მოვა გონს, როცა  
დერეფანში კარებთან რაღაც ნიერს წამოედება. ის რაღაც გადმოვარდება და  
ხმაურით დაგორდება იატაქზე.

კიდევ ერთი მარცხით გონებადაბნეული — ბნელ დერეფანში კედელზე  
ხელების ფათურით თავისი ოთხის კარებს მიაწყდება, გააღებს და იქვე ტახტ-  
ზე დაეშვება. მიწყნარებულ დერეფანში იატაქზე იმ ნიერის გაგორება ქუხი-  
ლივით ჩაესმება ყუჩაში მოვლემარე მეზობლებს. მალე რომელილაც კარი გა-  
იჭრიალებს, რომელილაც მეზობელი ჩაახველებს და ნამდინარევი ხმით არეუ-  
ლად ჩაღავს იკითხავს თავისითვის.

პირველს მეორე კარის ჭრიალი და მეორე შეზობლის კითხვა მოჰყვება; მალე ხუთივე მეზობელი ქალი თავს მოიყრის დერეფანში და ხმამაღლა აყა- ყანდება. როგორც კი გვაგვალია ბოდიშის მოსახდელად და მათ დასაშოშმი- ნებლად კარს გამოალებს — ლამის პერანგის ამარა დერეფანში შეკრებილი ხუ- თი ქალი ერთხმად შეპკივლებს ხმადაბლა; წამში ყველანი მოჩვენებასაკით გა- ჰქმებიან; მაგრამ მალე ხუთივე კარი რიგრიგობით ისევ გაიღება და ხუთივე ქალი მორცხვად გამოჰყოფს თავს დერეფანში.

— რა ამბავი დაგვაწიეტ, ბექა!

— რაზე მეკითხებით, ქალბატონო? — მორიდებით იკითხავს გვაგვალია.

— რაზე და ჩემი „ტიპ-ტოპისთვის“ თავი რომ წაგიცლიათ, ეგვრ კუთხე- ში მიგდებული ვიპოვე. — და იღლიამდე გაშიშვლებულ მკლავს მკერდსაც მეზობელი დერეფანის კუთხისაკენ გაიშვერს.

— ამასაც შევესწარი... მარცხია, მარცხი... სწორეთ იმიტომ გეახელით, — ბოდიში მომეხადა... თუ ვიკმარებთ!

მკერდსაც ქალი თავს გადასწევს, გთდაიკისკისებს.

— როგორ გეკალრებათ „ტიპ-ტოპი“ კი არა... — და შეზობლებს გადა- ჭხედას სათითაოდ, — „ტიპ-ტოპი“ ეშმაქსაც წაულია. — ოლონდ თქვენ გვყავ- დე კარგად... — დანარჩენებიც დაეთხმებიან. წუთიერი დუმილის შემდეგ ერთ ერთი მეზობელი თანაგრძნობის კილოზე ჰყითხავს გვაგვალიას:

— დღეს მგონი ბევრი გალოდინათ, არა?

— ბევრი — დაუფიქრებლად და ერთგვარი შეშფოთებით მიუგებს მო- ლარე.

— ასე გვიან ჯერ არ დაბრუნებულხართ.

— გვიან დაბრუნებას და ლოდინს არა უშავდა, სულაც არ ყოფილან!..

— რა მესმის!.. — თითქოს ერთხმად აღმოხდება გულიდან ხუთივე ქალს.

გვაგვალიას გული აუზუა მეზობლების ასეთმა ყურადღებამ და თანა- გრძნობამ.

ქალებმა ერთმანეთს გადახედეს მრავალმნიშვნელოვნად.

გვაგვალია პირზე ხელაფარებული მორიდებით ამთქნარებდა; დუმილი ჩა- მოვარდა; გათამამებული ქალები პერანგების ამარა იღგნენ ლია კარებში და თანაგრძნობით უცქერდნენ გაწმილებულ მოლარეს. მთქნარება რომ აღარ მოასვენებს, გვაგვალია მშვიდობის ძილს უსურევებს მეზობლებს — პირზე ხელ- აფარებული ერთხელ კიდევ დაამთქნარებს და ოთახში შევა; კარს მოხურავს.

ხუთივე მეზობელი უმალვე მის კარებს მიაშტერდება. რომელიმაც იტყვის:

— ასე იცის გვიან მოსულმა სიყვარულმა.

რასაც ხმადაბალი, წამიერი სიცილი მოჰყვება და შემდეგ დილამდე დე- რეფანის მყურდოებას აღარაფერი შეხება.

გვაგვალია კარებს გადაჰკეტავს, ერთხელ კიდევ დაამთქნარებს, გალელილ, მალნიან გულს მოიფხანს და მოკლე, ქალარა თმიან თავს კმაყოფილებით გა- იქნევს; რაღაც მკერდსაც მეზობელს ასე ადვილად შეურიგდა, თუმცა ეს მო- სალოდნელიც იყო, დანარჩენსაც ადვილად მოაგვარებს; რადიოს შესახებ ხვა- ლვე შეატყობინებს სადაც ჯერ არს და სალამოდე წესრიგში მოჰყვანენ.

უთუოდ ქარის ბრალი იქნება...

მაშ, ხეალ საღმოს, ლამის პირველ საათზე, ჩვენებურად და თორმეტს მდგრავს დროით ათი წუთი რომ დააკლდება, გვაგვალია ჩვეულებრივ გაუ-

მართება იქით... სრულ პირელზე ბაღში შევა, აუზთან შეჩერდება და სიხა-  
რულით, მღელვარებით, სიამაყით მოისმენს საათის რეკვას კრემლის კოშკი-  
დან და ძლევა-მოსილ ჰიმნს ინტერნაციონალს, რომლის უკვდავ იეტორთა  
პორტრეტებს ძილის წინ უსათუოდ შეავლებს ხოლმე თვალს, მოპირდაპირე  
პედელზე შუშიან ჩარჩოში ჩასმული რომ ჰკიდია...

\* \* \*

ოცდაათი წელი გავიდა, რაც ერთი საგაფიცვო დემონსტრაციის დროს, იმ  
ადგილას ახლა ბალი რომ გააშენეს, უანდარმების მიერ მოკლულ იქმნა გვაგვა-  
ლიას უფროსი ძმა, დროშით ხელში და ინტერნაციონალის სიმღერით ამანა-  
გებს რომ მიუძლოდა.

არც სისხლი დაკარგულა, არც სიმღერა შემწყდარა.

## ნიუარაზე კმოქითხელი

წინ ნისლიანი ზღვა იყო ვრცელი,  
გაპტერა მთებს და ამოიგმინა,  
სევდიან თვალებს აწეიმა ცრემლი,  
და ცრემლმა ვერსად ვერ ჰპოვა ჩენდ.

შემდეგ, ზღვის ტალღამ ნაპირებს უთხრა,  
ქალწულის მოთქმა უკანასკნელი,  
მოვიდა ვილაც, მიისაუთხა,  
და მარგალიტად გაპყიდა ცრემლი.

ღამეა. ფიქრებს მიფანტავს ქარი,  
და შორეული ტირილი მესმის.  
...პარამხანაში მღეროდა ქალი,  
ქართულ ჩონგურზე სტიროდა ლექსი.

\* \* \*

როგორც ქოლხეთის უმთვარო ღამე,  
ციდან თვალებზე ჩამობინდული,  
შავი დალალი გადამაშალე,  
და უბოდიშოდ წამართეო გული.

ციცინათელებს ჩაგიცრენ მრავალს,  
რომ ვარსკელავებით აგენოს თმები.  
შემდეგ მას, ალბათ, ვერვინ მომპარავს,  
და გულით გულთან გაგურითმები.

შენ რა იცოდი, რას მიხედებოდი,  
როგორ მიყვარდა ღამე უმთვარო,  
ვის, ეს მხრები ვერ გასწვდა, თორემ...  
რამდენჯერ მსურდა ჩავხუტებოდი.

მე მივდიოდი და გიგონებდი,  
შორი ჩურჩული მოქმედა ნიავს,  
შენ შთამაგონე უს სტრიქონები,  
და ლექსსაც შენი სახელი ჰქვია.

ისევ გამეხსნა ძველი იარა,  
კვლავ სიყვარულში მინდა ვკვდებოდე.  
ლაუვარიდში მტრედმა შეიფრთხიალა,  
ნეტავი ზენსკენ გაურინდებოდეს!

---

## მ რ ღ ი ნ ა ხ ე

მოათქარუნებს ტალღებს ყვირილა,  
მთების სიღრმეში ჩაუჭედელი.  
შესჩერებია სივრცეს ირიბად,  
ჩამონგრეული ციხის კედელი.  
ირგვლივ ყვავილი თვალებს ნაბავენ,  
და რომ დაწვება მთებზე საღამო,  
გაიშრიალებს, როგორც ზღაპარი,  
წარსულზე ფიქრი დაუსაბამო.  
თავად წერეთელს ჩაუქრიბელი  
ტრაფიალი სწვავდა ერთი ასულის,  
მაგრამ ლამაზი ქალის მშობელი  
კაცი ყოფლა გულდანაგესული.  
უთქვაშს: „არა გაქვს ციხე—სიმაგრე,  
სად გინდა გყავდეს ჩემი ცისკარი?!...  
მტერთან ბრძოლაში როგორ ივარგებ,  
აგაოხრებენ ყოველ ცისმარე!...  
მაშინ თავადმა სოფლილან სოფლით  
მორევა ყმები, როგორც ენება,  
და მათი სისხლით და მათი ოფლით  
დაიწყო მთაზე ციხის შენება.  
როცა სიმაგრემ მთების კალთიდან  
აშალა მხერები მოლურჯო ცისკენ;  
მოდი, ნახეო, კაცი აფრინა,  
და „მოდინახე“ დაჯიქვა ცახეს.  
ახლა სიბერით წელვალუნული  
დგას ციხე ათას ბრძოლიანახული  
და ძლიერ იმაგრებს მუხლებს უღონოს  
დრო გადასული და ძელებდახრული.  
მეგობრიად შეკრია მოვარე კეთილი,  
უკრძალეული ძლიერ რომ ანათებს,  
ყოველ საღამოს ჯდება კედელზე  
და ჩურჩულებენ განთიადამდე.

სან, როცა ლაუგარდს მეზი გაზარავს,  
გაელავს ცა და დგება უკუნი,  
ამხედრდებიან ჩოხჩნი საზარლად  
და მთელი ლამე გააქვთ გუგუნი.  
ზოგი ტყვე არის ისარნაკრავი,  
ზოგი მონაა, ზოგი მსახური,  
მათ ლრიანცელზე ციხე კანკალებს  
ღროგადასული და ძვლებდახრული.  
ძირს გადახედავს ხეობას, მაგრამ  
შეუშინდება ახლა სხვა სურათს;  
ხედავს, სოფლები იწვება დაბლა  
და შუქი თთქმის ცამდე ასულა.  
საით წასულან მეციხოვნენი?!.  
მშვილდკაპარქები საით დამალეს?!..  
ფიქრობს, მოადგა მტერი ოხერი  
ალბად ქართლოსის შთამომავალებს.  
ასე გაიკლის ცდუნება ლამის,  
ყველა სინათლე ჩაქრება ისევ.  
ასე ინათებს და მზის წამწამი,  
როგორც ისარი მოხვდება ციხეს.  
ათიათისი ჭადრის შრიალში  
აღულუნდება სიმღერა ტკბილი  
და ამოიტანს დილის ნიავი  
ჭიათურიდან იჩმების ყვირილს.  
ქვევით კი დაფდაფს დაჰკრავს ყვირილაც  
მთების სილრმეში ჩაუჭედელი,  
და გადმოდგება მთაზე ირიბად  
ჩამონგრეული ციხის კედელი.

## ორი ლექსი

ვენახი

შავ თვალებს შავად მოანათებენ,  
როგორც მგზავრები ნაგვიანევი...  
შემოჯარულან მთების კალთებზე  
ცხენოსნებივთ ნაბრიანები.  
თითო გიდელს ჰეგს თითო მტევანი,  
ჯერ თვალზე ცვარი არ შეშრობიათ.  
მაჭარი, ქვევრში ჩაუტევარი,  
დუღს და დუღუნებს გულჩათხრობილად.  
დგას ქოლმეურნე — ვაზის სარდალი,  
კალარა ულვაშს ისწორებს დინჯად,  
ლოკავს სიცოცხლეს გულით მართალი  
და პოეტს ლიმით დაულევს ფინჯანს!...

### ბარათი

ჭაბუკობის უამს მივიღე წიგნი,  
გავშალე ბავშურ მოუთმენლობით.  
სატრფოს ბარათი არ იყო იგი —,  
(მე რომ ველოდი)...  
არც დედაჩემის თხოვნა დედური:  
„წერილი მაინც მომწერე, ბიქო!“  
ჭაბუკი ვინმე ამხედრებული  
ეხატა ქვემოთ დალარულ ფიქვთან...  
ეს იყო მშობელ მიწის ძახილი,  
ჩემს ფესვებს სისხლს რომ აძლევდა უმალ  
ფემთხვიე მიწას მე თავდახრილი  
და საზღვრისაკენ გამწია გულმა!...

# კეასიაური მამავილობა

ა. ლერმონთი

## დ ე მ თ ნ ი

აღმოსავლური ამბავი

### ნაწილი I

I.

მჭმუნვარე დემონს, სულს განდევნისას,  
მსრბოლს ცოდვილ მიწის ზემოთ;  
ეთვრში,  
მოგონებებად ამგვარ ფრენისას  
წინ ის დრო ედგა, დრო უკეთესი,  
როცა ქერუბიმთ ნათელ მხარეში  
მასაც შმინდანის ბედი რგებოდა,  
როცა კომეტა შსწრაფლმოთარეშე  
კოურ ლიმილის სინარნარეში  
მასაც ალერსით ესალმებოდა.  
ცოდნისმწყურველი, მარად ნისლს იქით,  
როცა ეძებდა იქ. ჩაც კი ჰვიტს:  
ქარაუნებივათ ნელი ციგლივით •  
ლაუვარდ სივრცეში გაბნეულ მჰიებს,  
როცა გაჩენის ჭირმშოს ბელნიერს  
ჰქონდა რწმენისა და ტრფობის ნიკი,  
აკონდებოდა არც საღმე იჭვი,  
არც ბოროტება არ იყო საღმე  
და არც ფუჭ ლომითა მწუხარე რიგი...  
და ბევრია ბევრი სხვაც მაგრამ  
ამდენს  
ვერც ძვონებდა ურთბაშად იგი!

II

პას შემდეგ ბევრი გამოქხდა უძი,  
ის კი, სიურცეში ეულადმფრენი,  
ცხოვრიბდა ასე: როგორც წამს წამი  
ურთმანეთს სცელიდნენ საუჯუნენი

ქრითმარივე წესით და რიგით.  
და ციირე ქვეყნის მშერობელი იგიც  
უსიხარულოდ სოესდა გოდებას,  
მაგრამ ვერ ნახა ვინმე — ებრძოლოს,  
წინააღმდეგს მის ბოროტებას —  
— და ბოროტებაც მობეზრდა ბოლოს.

III

და კავკასიის თეთრ მწვერვალებთან  
გამოჩნდა ქრიხელ იგი ლტოლვილი:  
ალმას კლდესავით ქვეშ ელვარებდა  
მყინვარი, მარად ჩამოთვლილი,  
და, როგორც გველის ხერელი ტიალი,  
იყლავნებოდა ძირს დარიალი,  
ბნელ უფსერულებში ღრმად ჩაქსოვილი  
და თერგიც ხტოდა, როგორც ძე  
ლომი,  
მხრებზე დატენილ ფაფრის შეენებოთ,  
ლმურდა ის — და ტყიურთა ტომი  
უსმენდა ლმუილს და ურინველებიც  
კაში კამარებს ჰქონებინა ზედიზედ,  
შორს კი ოქროსფერ ღრუბლის ფარები,  
სამხრეთის მხრიდან ანაქარები,  
თერგს აცილებდნენ ჩრდილოეთისკენ;  
და კლდეთა ჯარიც, მიჯრილ

ბწყორებად,  
ჩაღაც იღუმალ ზელუშით აღსავსე,  
გაღმოხრილიყო მდინარის თავზე  
და ჩაჰყურებდა წყლის ელვარებას.

შორს კი ციხეთა ტყვე მღვლვარებდა —  
ნისლში კოშკები, რისხვით სავსენი,  
გავეკასიონის კლდოვან კარებთან  
დარაჯად მღვარი ბუშბერაზები! —  
და ზღაპარს გავდა ლეთითქურთხეულა  
ეს მხარე. — მაგრამ ამაყი სული  
ზიზღიან თვალით შეჩერდა უცებ  
მისი ლეთის შექმნილ სინატიფესთან,  
მაგრამ მის ზეიად და მაღალ შუბლზე  
სულ ასაფერი არ აღიბეჭდა.

#### IV

და ახლა მის წინ სხვა სურათები  
ცოცხალ ფერებად გადაიშალნენ:  
აქ საქართველოს ველი ნათელნი  
წოხს გვანან, გაშვდილს ჰორიზონზე  
გარე, —

სუებედნიერი, წარმტაცი მხარე!  
სკეტჩებად დგანან აქ ალვისხენი  
და სწრაფ წეარუნით წყარო ფრცხელი  
ფერად ქვის ფსკერზე ტალღებს  
ატბორებს,  
და ვარდის ტყეში გრძნობებით სავსე  
ბულბულნიც ნაზი მღუმარ სატრაფებს  
შესტურჩულებენ ტრიფობის ტკბილ  
ხმაზე.

აქ ჩინარების გაშლილა ჩრდილო  
სუროთა ხაესი და გრილი ნეშო,  
მღვიმენი, საღაც სიცხიან დღეში  
იმაღებიან ირმები ფრთხილი;  
ფოთოლთა ბრწყინვა და ნელი ქანი,  
უამრავ სულთა ხმა ათასგარი  
ათასი სუნთქვა ერთად შეზრდილი  
და ვნებაც შუაღლის ნელ-თბილ  
ქარისა,

და ლამეც, ცვარმა რომ ახალისა  
და სურნელვან ნესტით შექფერი,  
და ვარსკვლავებიც მწველი ვით  
მზერა,

ვით მზერა ნორჩი ქართველ ქალისა..  
მაგრამ მას მაინც ფლავ შეჩინა.  
ძუნებამ, თვალწინ რომ გაღიშალა,  
ვერ გააღვიძა დევნილის მკურდში

ვერც გრძნობა უცხო, ვერც უცხო  
ძალა.

მას ყველაფერმა, რაც სჩანდა წინა,  
გმობა შექმატა, ზიზღი შესძინა!

#### V

მაღალი სახლი, გაშლილი ეზო  
აქ აუგია ჭალარა გუდალს...  
ბევრი შესწირა მან ამ საყუდარს  
მორჩილ მონების ცრემლი და კვნესა.  
ზა ღილიდანვე მეზობელ კლდესაც  
ოლეს ამ კედლიდან ეცემა ჩრდილი,  
და კლდეშივეა კიბე გაჭრილი;  
ამ კიბით, კოშქსაც რომ დასწევია,  
ძირს კი მღინარის რომ ჰბანს კამარა,  
პირზე თოვლისფერ ჩაღრ-მონახვევი  
თავაღის ქალი, ნორჩი თამარი  
არაგვს წყალისთვის ბევრჯერ სწვევია.

#### VI

მუდარ მღუმარე, მუდამ ულხინო  
გასცერდა ჭალებს კლდიდან ეს სახლი,  
მაგრამ იქ ღიღი ლხინია ახლა —  
ლრიალებს ზურნა, ისხმება ლვინო —  
სავსეა სახლი დღეს, ქუში მუდამ:  
ასულს ათხოვებს მოხუცი გუდალ. —  
და ბანზე ნოხით მორთულზე ახლა  
ზის ტოლებს შორის საცოლე სათნო.  
მღერიან ირგვლივ, ცეკვავენ და ლრზ  
გადის. — შორეულ ქედებს გადაღმა  
ნახევრად ჩაწვა უკვე მზის ბაღრო.  
კვლავ ისმის ტაშის მწყობრი ზანზარი,  
მღერიან ქალნი — და ლხენით სავსე  
დაირას იღებს მყის პატარძალი  
და ცალი ხელით აღმართავს თავზე  
თან ატრიალებს, აულერებს ასე,  
ხან თითქო ჩიტს ჰგავს — ჰქონის  
უმალესად,  
ჩერდება — ირგვლივ თვალს ავლებს  
ჯერა,

და მისი მწველი, წყლიანი მზერა  
კრთის წამწმოთავან უტკბეს ალერსად.  
ხანაც მოშვილდავს ყორნისფერ  
წარბებს,

ძირს დაიხრება ოღნავ ხალისით,  
და ცურუეით დაჭრის, ხალის არბევს,  
კრთის ღვთაებრივი ფეხები მისი.

და თანაც მთვარის ნათელიც იმის  
ბავშურ სილალით ასაგეს ღიმილს  
ძლივს თუ ეღრება, ძლივს თუ ჰგავს  
ისიც —

შუქი ტალღებზე მთაროლავი წყარად,  
იმ ნორჩ, იმ ცხოველ, ჯადოსნურ  
სიკილს,  
სიცოცხლესავით დაუჭირნბს მარად.

## VII

სხივებს დასავლეთ-აღმოსავლეთის,  
ვარსკვლავს, შუალამეს რომ  
აციალებს,  
ვფიცავ — ხელმწიფე თითონ სპარსეთის  
ცისქევშ მფლობელი ქვეყნის არცერთის  
ჯერ არ ჰკოცნიდა ამნაირ თვალებს.  
მსგავსი ნაკვეთები — თუმც ამ გარემოს  
სიცხე, ქალები ახსოეს აღრევაც —  
არ დაუთხოთვილავს არცერთ ჰარემის  
მარგალიტებად მფეთქავ შადრევანს!  
ღირსი ვერ გახდა ხელი ვერცერთი,  
თუმც ბევრი იგრძნო ტანი წერწეტია.  
ამგვარ დალალში ეწყო თარეში,  
ვფიცავ — სამოთხეს, რაც აქ არ არი,  
არ ანთებულა ვარდი ამგვარი  
სამხრეთის მზის ქვეშ გაშლილ  
მხარეში!

## VIII

უკანასკნელად ცეკვავდა იგი.  
ეაგლახ! დილითვე ამ ზემს იქით  
მასაც, გუდალის მემკვიდრეს რიგათ,  
თავისუფლების ნებიერ პირმშოს, —  
ელოდა მონის ბედი მწუხარე,  
უცნობი ხალხი, უცნობი მხარე,  
და უცხო ჰერი, უცხო გზები შორს!..  
და იქვე, გულში რომ იმაჩხება,  
ხშირად ჩრდილავდა მის თვალს  
ტროებით,

და სჩანდა მისი ყველა გარევა  
ისე მეცყველად. მწყობრად, სალხენად,  
ასასესედ იმგვარ უბრალოებით, —

რომ თვით დემონიც იმ ნაზ სინათლეს  
რომ შესწორობდა წუთით მაღლიდან,  
მოიგონებდა ყოფნას წინანდელს  
და ამოოხვრით თავს ძირს დახრიდა...

## IX

და ის ხედავდა... წუთის უმალეს  
ფუმნის გულიც უიღუმალეს  
ღელვას მიენდო გაძლიერებით  
და მისი მუნჯი სულის წყვდიადი  
ისევ აივსო სათნო ბეერებით,  
და კვლავ შეიცნო მან სიდიადე  
ტრიფობის, სიკეთის, მშვენიერების!..  
დიდხანს ტკბებოდა ის ამ სურათით  
და ძველ ყოფნაზე ფიქრთა ჩქერებიც  
უწყვეტ ჯაჭვებად თვალშინ მცურავნი —  
სდევლენ ერთმანეთს ნელი საესავით,  
როგორც ლავეარდში ვარსკვლავს  
ვაჩსკვლავი.

თითქოს შეკრული უხილავ ხელით  
ის ახალ სევდას გაეცნო ქვეყნად  
და ოდესლანდელ მშობლიურ ენით  
აუმეტყველდენენ გრძნობები ეხლაც;  
და ბჟობდა იგი — ეს ღელვა იქნებ  
ძველ ბედს უხმობდა? გაპერა სხვა  
ფერი

გადაივიწყოს? — არ ეყო ნება,  
და თუმც არ მისცა ცამ დავიწყება, —  
არც მოითხოვდა ამ გრძნობას იგი!..

## X

ლხინზე, ერთგული ცხენის წვალებით  
დღის დასავლისთვის მეტ გამალებით  
ჩქარობდა სიძე მოუთმენელი. —  
არავიც, მწვანე მთებშიმდენელი  
მის წინ გამოჩნდა უკვე ციმციმით.  
იქ კი, ძვირების ტეირთის სიმძიმით  
მთის ორწოხებში ნელა მავალი,  
ვიწრო მწერივებად, უწყვეტ დინებით  
აქლემთა გუნდი სჩანდა მრავალი  
და ზრიალებდნენ ზარაზინები.  
იგი, მფლობელი წინენდალისა,  
მდიდარ ქარევანს თვითე სარდლობდა  
ტანზე თასმები შემოსალტოდა

და ქარქაშს ხმლისას და ხანჯალისას  
 მხეზე გაპქონდა ელვა-ბრჭყვიალი,  
 მხარხე თოფიც სჩანს ზარნიშიანი;  
 და ურთმაჯების ათამაშებით  
 ჩოხას შლის ქარი. ჩოხა სრულიად  
 ძვირფას სიჩრებით მოქარეულია,  
 თვით უნაგირსაც უცხო ფარჩები  
 კაზმაც. ოლვირიც — განგებ ნარჩევი,  
 და მერანი კი სულ გაქაფული,  
 ჩაუქი კვიცი ყარაბახული,  
 პატრიონის განძი და სითამამე —  
 აცქეტავს ურს და, თუ იგრძნო რამე,  
 სხლტება და ირიბ შეხედვით აღვევს  
 სწრაფმომდინარე ქაფიან ტალღებს.  
 ვიწროა ძნელი ეს გზა, ეს მხარე!  
 მარცხნივ კლდეებს-ლა ხედავენ  
 მაღლებს,  
 მარჯვნივ კი ხევი წყალს  
 ამღელვარებს. —  
 ღმმდება ჭრდეც. — და თეთრ  
 მწვერვალებს  
 ედება შეუტჩზე ნისლი მოქუფრო...  
 და ქარავანი აჩქოდა უფრო.  
**XI**  
 და აგერ ნიშიც შემოხვდათ  
 გზაჭრებს...  
 დიდიხანია, რაც ღვთის სიმძლავრეს  
 აქ მინდობია თავადი ერთი —  
 შტერმა რომ შურით გაუპა მკერდი.  
 და იმ დროიდან მუდამ აქამდის,  
 ბრძოლათა ზარში თუ ლხინის დროსაც,  
 უველა გამვლელი იმ წმინდა ადგილს  
 სწრავდა თავის გულითად ლოცვას,  
 და ლოცვა იგი ყველას იცავდა  
 მუსულმანების ხანჯალისაგან.  
 მაგრამ მამაკანი სიძემ შებინწა  
 ადათი თავის წინაპრებისა:  
 აემა ფუქრებმა ის აქ გაბანგეს  
 და თვალი დემონის ბნელ შთაგონებით  
 ძვირფას საცოლეს ბინდის საფარქვეშ  
 უცხე ჰკოცნიდა იგი გონებით.  
 და შეის თვალისწინ თჩმა იელვა  
 და შესძრა სივრცე სროლამ ძლიერმა...  
 ის კი მშეელელსაც არ დაუძახებს  
 ჩვება, აეღწეობს დაბლა უზანვებს,

ფაფუახს დაბლა სწევს, გზას ზვერავს  
 მყისვე  
 და თან მათრახის მძაფრი წივილით  
 და თათრულ თოფით, მძლავრ  
 არწივივით  
 დაქანება... ისვრიან ისევ!  
 და მძაფრი ლრჭენა, კენესა და ძრწოლა  
 მოედო ირგვლივ სივრცეს გათელილ...  
 არც ისე დიდხან გარგძელდა  
 ბრძოლა. —  
 უკვე გარბოდნენ ფრთხილნი  
 ქართველნი!  
**XII.**  
 იქ ყველაფერი მიღუდა წამსვე,  
 და აქლემები პატრიონის გვამზე  
 გარინდულიყვნენ შეტ მძულვარებით  
 და არღვეოდა შიშით აღსავსე  
 დუმილი მათი მეღდრი ზარებით.  
 მოისრნა ასე ეს ქარავანი!  
 ახლა გვამებზე მხოლოდ მრავალი  
 ფრინველი ქროდა, ცადმოკამარე!  
 არ ერგოთ მოკლულთ მყუდრო სამარე,  
 არ ერგოთ იგი ბინა ამათაც,  
 სადაც მიხრწნილან ნეშთნი მამათა,  
 დებსაც, დედებსაც სვემ აარიდათ  
 ჩადრ-მოხვეულნი, შორი მხარიდან  
 აქ მოსულიყვნენ და სიმწარილან  
 ექმიათ ცრემლი, ლოცვა ნეტარი,  
 მაგრამ მათ ნაცვლად, ბეკით ხელებით,  
 ამ კლდეზე, ხსოვნის ამეტყველებით  
 ალიმართება მაღალი ჯვარი.  
 და გაზაფხულზე ცერით ნასველები  
 მოეგა სუროც, ჯვარობან რომ იყვეს,  
 ვით ზურმუხტოვან ბადის სინახე,  
 და დაქანული შორეულ გზაზე  
 ბეკი ქვეითი შედგება იქვე,  
 და მოისვენებს ღვთაებრივ  
 ჩრდილქვეშ...

### XIII.

მიგელავს. ცხენი ირემზე ჩქარა,  
 ბობოქრობს, თოთქო ბრძოლის წინ არი,  
 ხო შექრდება, შეკრთება წყნარად,  
 ქარის ხმას უსმენს ყალყზე შემდგარი

და ფართოდ აღებს თანაც ნესტოებს.  
ხან კი მალიმალ ნაკვალებს სტოვებს,  
მუღერავ ლურმნებით მიწას შლის  
ქვევით,

შეაშრიალებს გაფოფრილ ფაფარს  
და მიპერის, მიპერის თაგბურახვევით.  
მაგრამ მის მხედარს, მდუმარეს  
მძაფრად,

თითქო ზედ ჯლომის ძალაც არ  
შესწევს,  
ისე უღონოდ დახრილა ცხენზე.  
ის არც აღვიჩის აღებას ლამობს,  
და შეპყინვია ფეხები მისი  
უზანგებს ცივად, მხოლოდ მის სამოსა  
ირგვლივ ზოლ-ზოლად ატყვია  
სისხლი.

მერანო, პატრიონს შენ, როგორც ისახს  
მოაქანებდი, არ გჭონდა შიში,  
მაგრამ მუხთალი ტყვია ოსისა  
მას მაინც მისწვდა ლამეულ ბინდში.

#### XIV

და შესძრა ხალხმა წუთილით სავსე  
მოხუც გუდალის ეზო და ბინა:  
ეს ვისი ცხენი მოვარდა ასე  
და ქვებს დაეცა კიშარის წინა?  
ან ეს მხედარი ვინ არის ნეტავ?  
ბრძოლის ნიშნები ატყვია მეტად  
მის შავგვრემან შუბლს, სისხლს.

გაუქაფავს

მისი სამოსი, ხმალიც ოხერი;  
შემოჰყინვია ხელები ფაფარს.  
უკანასკნელი მძაფრი მოხვევით.  
— არა, ასულო, საქმარომ დოდხანს  
შენ არ დაგქანცა ლოდინით.

თრთოლეთ,

ის არ გადუდგა თავაღურ სიტყვას  
და თავის ღრმაზე მოვარდა ქროლები...  
მოვარდა! მაგრამ კვლავ ვერასოდეს  
ვერ შესძლებს თავის მერანით

ჰქონდეს!..

#### XV.

და დაპერია ასე. და როგორც მეხმა  
ლვთის ნებამ ღხენა დაასძმარა!

3. „ჩევნი თაობა“, № 9.

თავის საწოლზე დაეცა ეხლა,  
სტირის ბეღმავი ქალი თამარი.  
თვალთაგან ცრემლი მოჩქეფს ულევად,  
უბორგავს მკერდი, სურთქეული

შემცირდა,

მაგრამ ეს რაა? თითქო ზეციდან  
ვიღაც ჯადო ხმით ეჩურჩულება:  
„ნუ სტირი, ბავშვო! ნუ სტირი

ფუჭად!

შენი ცრემლები მქვდარს ახად უჩანი,  
ცოცხალ ცვარებად მასთან ვერ აღწევს:  
ის მხოლოდ შენსაც თვალს ფურავს

ლურჯად;

ის მხოლოდ შენვე გიფერთლავს  
ლაწვებს:

შორსაა საქმრო. ის არ დაეძებს,  
ის ცერც გაიგებს შენეულ წუბილს,  
შუქი, რომელიც მას უალესებს,  
შუქი ზეცისა — კველაფრად ულირს.  
მას სამოთხის ხმა ულვივებს ხალის...  
და რა ძალა ქვეყნიურ სიზრის?  
რა არი ცრემლი საბრალო ქალის  
მისოვის — ზეციურ მხარის

სტუმრისთვის?

ო არა, არა, სიკვდილის კერძი,  
ამქეუყნიურ წმინდანო ჩემო,  
მენდე, არ არის ღირსი, თუნდ ერთწამს  
შენი ძეირთასი სევდა აგემო”.

„პატრივან ოკიანეს

ჰკვეთენ გეზის გარეშე,

ჰკვეთენ ნისლებს მოკრიალეს  
მთიები მოთარეშე.

დაყაყრობელ, სწრაფ ლრუბლების  
აწეწილი ფარები

ისე სტევენ ციურ ზეფირს,  
არც სხანს მათი ნარები.

მათ არ აკრიობთ გაყრა მწარე,

შეყრაც არ ეხაჩებათ,

არც მომავლის გზა ახაჩებთ,  
ნამოც არ ენანებათ.

შენ მათ ხსოვნას მხოლოდ მწარე

კირის ღრმას შეეკედლე;

იყვ ცივი! და მათსავეთ

მიწას შორით შეხედე!

„როგორც კი კავკას ჩვეულ ფურუბით

მორთავს ღამეულ ჩრდილთა დინება,  
როგორც კი მიწას მისაურ ბერებით  
მოჯაროებულს ჩაეძინება.  
როგორც კი ქარი შესძრავს, დააჩხევს  
პიტალო კლდეზე შემხმარ ბალახებს  
და ჩიტაც ბინდში იქ მიმაღლული  
გამოვოდება სიმხრარულით.  
და დაჩრდილული რტოვნ ვაზებით,  
ციურ ცარ-ნამით ყელანავსები  
ლამის ყვავილიც გაშლას იჩქარის.  
როგორც კი მთიდან ოქროსულ  
მთვარის

შუჭი გადმოვა, სინაზით სავსე,  
და დაგადგება ჭურდულად თავზე;  
მაშინ მეც მოვალ შენთან ყოველთვის;  
გარიერავამდე სულ გიალერსებ  
და შენს წამწამებს, შენს რბილ

სარეცელს

ტკბილ ძილს მოვუვლენ, სიზმრებს  
მოვერუხლილს“...

## XVI

მინელდა უცებ შერი ვერება  
და მწყობრად ჩავდა ბერების ფეთქვა.  
ვარს შიშით ავლებს თვალს თამარ  
ერთხანს.

გამოუთქმელი ღელთა ედება  
მის მეტადს,—ნაღველი, სასოწარკვეთა,  
გზნება — იმ ვრმინბას ვერ შეედრება,  
ან კველს უდრის ის გრძნობა ქრთად!  
ასეთ დროს სული ბორკილებს ლახავს  
და ძარღვებშიაც მიპლელავს სითბო,  
და ქალიც იმ ხმას საოცრდ ახალს  
დართხას ისმენდა თქნებით თითქო.  
და ნანატუ ძილით, ფერგადსული  
თვალი ძლიერ ჩაჰქა მოვვიანებით,  
მაგრამ ბიწიერ. საშიშ ზმანებით  
ვერც ძილს მიენდო მშვიდად ასული.  
ყაჩიბი მუნჯი და ნასლიანი,  
არამეცვნიურ ეშის ცალით,  
გადმოხრილიყო ქალის ბალიშზე  
და თვალთა ცეცხლი და სიხალისე  
იმგვარ სიმერთალით სიანდა გარედან,  
თოთქო მის გარდას იზიარებდა.

არა, არ იყო ის ღვთის საზრანი,  
მფარველი ქალის, ცისბინაღარი,  
მისი ხუჭუჭი თმა არ ელავდ  
გვირგვინით სხვმფენ ცისარტყელათა;  
არც ჯოჯოხეთის აჩრდილი რუხი  
არ იყო იგი, მტანჯველი რამე,  
ტის სულ სხვა იყო: ნათელი მწუხრი,  
არც მზე, არც ჩრდილი, არც დღე,  
არც ღამე!..

## ნაწილი II

I

„მამავ, დამეხსენ... ნუ მტუქსავ, მამავ...  
გებრალებოდეს შენი თამარი,  
ხელავ მე? ვტირი... თვალს ცრემლით  
ვნამავ  
რამდენი ხენი... ნუ თუ არ კმარის?  
გუნდ-გუნდი ვაუნი შორეულ მხრიდან  
ჩემთვის ამაოდ ილტვიან აქეთ...  
სხვა სასძლოებიც ბევრი ჰყავთ  
ქართველთ!

მე კი... მე აწი არავინ მინდა...  
ნუ მტუქსავ, მამავ, ო, გევედრები!  
შენაც ხომ ხელავ—ღლითი ღლე ვკენები  
მსხევრპლი საშიში, ვერავი შხამის!  
ბოროტმა სულმა დაპგლიჯოს ლამის,  
ლამის წამართვას გონება მალე  
და დავილუპო... ო, შევიბრალე!  
მიეცი ტაბარს—ღლის წმინდა კარაცა  
განუკითხავი ასული შენი,  
იქ მე წმინდანის ფრთა დამიფარავს,  
იქ მე ჩემს ნაღველს გადმოვლვრი  
თმენით.

აქ გაჰქია ლხენა... და წავალ ბარებ  
წმინდა მირონის შუქს მივეცემი.  
დაე, მიღოს, როგორც სამარემ,  
ბნელმა საკამა სიცოცხლე ჩემი!”

## II.

და თვისტომებმა შორეულ მთაზე  
მონახეს მისოვის ტაბარი კენტი  
და მშვიდობიან, მონაზნურ ძაძებს  
ამოფარა ჭალწულის მკერდი.

შაგრამ გარედან თუმცა ებურა,  
უკვე მონაზონს ძაქები ქუში;  
ის უკანონო ფიქრები გულში  
მარც ფეოქავლნენ წინანდებურად.  
საკურთხეველთან, ლამპართა სხივზე  
და სახეობო გალობის დროსაც.  
მას ის ძეველი ხმა ურლვევდა ლოცვას,  
მას ის ძეველი ხმა ესმოდა ისევ.  
პირქუში ტაძრის მაღალ თალებთან  
ის შორი სახეც ჩნდებოდა მაშინ,  
მცურავი მსუბუქ გუნდრუკის

კვამლში, —

არც კვალს სტოვებდა, არც ხმას  
არხევდა,  
თან კი ელავდა ნაზ გარსკვლავსავით,  
და მიუხმობდა ქალს... შაგრამ საით?..

### III.

იმ წმინდა ტაძარს... განცალკევებით,  
ხევში შეხიზნულს კაცის თვალთაგან,  
მიჯრილ მწკრივებად ალვისხევი  
შემოჯაროდნენ გარს-და ხანდახან;  
როცა დანთქავდა ხევს ლამე მუქი,  
იყიაგებდა რტოებში შუქი  
ნორჩი ცოდვილის ფანჯარათაგან.  
გარს კი ჩრდილოეან ნუშების ძირში,  
სადაც მრავალი ჯვარი და ნიში  
დგას უტყვ დარაჯად საფლავში  
მყოფით, —  
ნაზ ჩიტუნების გუნდი გალობდა.  
და წყაროებიც, ცვრად რომ  
შსხრეულან,  
ქვებს რომ შებმიან წინწკლების  
ფრქვევით,  
შერე კი, მაღალ კლდების ჭვევთ,  
მეგობრებივით რომ ჩახვეულან,  
მიქქრილნენ დაბლა, ლამაზ მთა-გორის  
აყევვილებულ ბუქწარებს შორის. —

### IV.

ჩჩდილოეთისკენ სჩანლენ გორები  
აურორს შუქით ნაამბორებთ,  
როცა ლილისფრად კვამლდება ზევით  
ნისლი, კალებში ჩანაძინები:

და ლოცვისათვის მზისკენ შექცევით,  
ხალხს ეძახიან მუეძინები.  
როცა ზარების ქუხილი ფრთებს შლის,  
რომ გაახილოს ტაძარი, თვალი,  
იმ საზეიმო, იმ მშევიდ წუთებში,  
როს ახალგაზრდა ქართველი ქალი  
ყელმაღალ სურით წყლისკენ ისწრაფის  
და მთიდან ჩხევით არღვევს ციცაბოს. —  
მარად დათოვლილ მთათა ჯებირნი,  
ნათელ-ლილისფრი გალავნებივით,  
კრიალ კაზე იხატებოდნენ.

და მწუხრის უამაც ისევ ჩნდებოდნენ  
დამავალ შუქით მთლადშელებილნი.

და კავეასის მთებს, ნისლებშესეულს  
მყინვარი, მეფე ამ მიღამოსი, —  
თავს დადგომოდა... და მის თეთრ

სხეულს

ფარავდა ფაჩჩის ჩალმა, სამოსი.

### V.

მაგრამ ავ ფიქრით ამოვსებული  
აქაც ვერ სწრდება თამარის გული  
წრფელ აღტაცებას. — მიწასაც ლამის  
მისთების საშიში ჩრდილები ადეეს  
და მას ერთგვარად ტანჯვას უმზადებს  
დილის სხივიც და სიბნელეც ლამის.  
მოხდება მხოლოდ — მთვლემორე ბინდი,  
როცა გარემოს ნესტით დათვლავს,  
ლეთიურ ხატებთან მოსული როდით  
იგი ულომოდ ეცემა დაბლა.  
და სტირის, — და ბნელ სიჩუმეს ასე  
ედება ის ხმა წუხილით სავსე;  
და გამელელებსაც აშინებს გზაზე  
და ფიქრობს მგზავრი „ეს მთების  
სული,

კლდეზე მიკრული, კუნესის წვალებით!“

და საშიშ ხმაზე ყურვაბასრული  
ცხენს მიაქროლებს მეტ გამალებით...

### VI.

სევდით და ძრწოლით გარემოცული  
ზის, და ფანჯრიდან ხშირად ასელი  
სიცრუეს გაბურებს დაბეჯითებით  
და ელის, ელის ოხრით ფიქრებით...

უგრძენია ხშირად. როცა მარტოა  
შორი ჩურჩული ესმის: ის მოვა!  
მოვა! ნახული ძილში ზმანებით,  
განა ამაღდ სწვავდნენ ღამლამით  
ხმანი — სავსენი ნაზ ნეტარებით,  
თვალით — სავსენი სევდის კამჭამით.  
აგრე, რამდენი ღლეა, თითონვე  
ვერც კი ამოხსნა — შიში გრძნობს

სხვანაირს:

თითონ ნატისთვის ლოცებს ინდომებს,  
გული კი მისთვის ლოცულობს მაინც.  
და ამ მუდმივი ბრძოლით დალლილი,  
თუ წუთით ძილში მილულავს

თვალებს, —

მაშინაც შფოთაქს, საური თბილი  
ახრჩობს, შემქრთალი დგება, კანკალებს,  
უთრითის სხეული, უთრითის და, თანაც,  
სუნთქვაც სჭირს, თვალს კი ბურუსი  
ალბობს,  
შეხვედრა — ხვევნას ითხოეს და ღელავს,  
ბაგენი ცხელი — დამდაგველ ამბორს...

## VII.

უკვე დაისის ბინდი ულევი  
დგას საქართველოს მთებს ლაშქარში,  
უკვე ღამდება, და ჩეულებრივ  
მოპქრის დემონი ქალის საკანში.  
მაგრამ მან დიღხანს წმინდა კაშკაში,  
ამ შვილი ბინის შვება სათუთი,  
ვერ დაარღვია. და იყო წუთი,  
როცა ის სჩანდა მზადმყოფი თითქმის  
გადაეციწყნა განზრახვა მკაცრი.  
ახლა კი მაღალ კედლების გასწვრივ  
ის დადოს. მისი ნაბიჯების ხმით  
ხეზე უქართვა ფოთლებიც თრთიან...  
მან უცებ შესძრა მზერა, რომელიც  
იქ შესდგა, საღაც შუქი სჩანს გვიან,  
საღაც ასული სჩანს, სხვას მოელის!  
და ამა, ღამის მღვმარე გულშე  
ჩონგურის ქლერა გაისმა უცებ  
და ადევნებულ სიმღერის ხმები;  
და იგი ხმები, რომორც ტრემლები  
სდიოდნენ იმგვარ თანმიმდევრობით,  
იმგვარ სინაზით ფეთქდა ის კვნესა —

თითქო ძერწავდა მაღალი ზეცა,  
მერე მიწისთვის რომ გადმოეცა!  
ეს ცის ანგელოსს ქველებურ გრძნობით  
თუ მოესურვა მეგობრის ნახვა,  
მოფრინდა ჩუმალ, ფრთების ხმას აპყვა,  
და ძველ დღეებზე უმღერის ახლა,  
რომ დაუამოს გული ტანჯული!...  
ო, პირველად გრძნობს დემონის სული  
აქ სიყვარულის სევდას და ალერის  
და თუმც სურს გასცდეს ამ ჭრის და  
ვნებათ,  
ფრთებს ვერ სძრავს, თითქო ქვები აქცა  
ფრთებაღ.  
და, საოცრებავ! — მის მიმჯრალ  
თვალებს,  
დემონის თვალებს, ტრემლები  
შწყდებათ...  
ამბობენ, დღემდე იმ საკნის გვერდით  
გულამომწერარი ქვაო ქრთი,  
ქვა-ცრემლის წვეთით შვაგანაკვეთი,  
არაამჭვეყნურ, ცეცხლოვან წვეთათ!...

## VIII.

და შედის იგი. ტრიფობისთვის  
მზადმყოფს  
სიკეთისთვისაც ლია აქვს სული,  
და ფიქრობს იგი. თითქოს და ატყობის  
დადგა სხვა ყოფნის ჟამი ნატრული.  
ლოდინის თრთოლვით და გასაკვირველ  
უტყვ შიშით საგსე, არც არის გითომ  
დემონი — და სხვა, ზვიად სულს,  
პირველ

შეხვედრის შიშით ეკრძალვის თვითონ  
ავია გრძნობა წინასწარივე!  
და შედის მაინც, შედის, და თვალწინ  
ხედავს ანგელოსს სამოთხის ნაწილს,  
იმ მშვენიერი ცოდვილის შემწეს.  
დგას იგი — წმინდა და მონუეშე,  
და მტრისგან, ნათელ ლიმით ტუჩებზე,  
იფარავს ასულს თვის ფრთეთა ქვეშე,  
და ღვთიურ ბრწყინვის შუქმა დანაცრა  
ბრმალა ჰქმა უცებ დემონი იგი,  
და ალერისიან სალაშის ნაცვლად  
უვედრების ხმები გაისმა ირგვლივ:

## IX.

„სულო მშეოთვარევ, სულო შნაშისა,  
ფინ გიხმო ბნელში შუალამისა?  
ერთგულთა პოვნის იმედით ნუ ხარ,  
აქ ბოროტებას არვინ ახარებს,  
ჩემს წმინდა ასულს, ჩემს ნაზ

საყვარელს

შენ ვერ შეაწვდენ შენს ავ კვალს  
რუხად.

სოქვი, ვინ მოგიხმო?“

და მყის პასუხად  
გადიხარხარა ვერაგმა სულმა  
და თვალში ცეცხლად გამოკრთა იჭვი  
და კვლავ ალექსა მას ძველი სურვა —  
ჯოჯოხეთური სიავის ნიკი.

„ჩემია იგი“ სოქვა მან მრისხანედ,  
„ჩემია იგი, დასტოვო, ველი!  
შენ მასთან უკვე დაიგვიანე  
და როგორც ჩემთან — აღარ გაქვს  
ხელი.

მე მის გულს დალი დასაწინდავი  
დავადე, სხვას რომ არ დავანებო:  
აქ უკვე გაპქრა შენი წმინდანი,  
აქ მე მიყვარს და აქ მე  
გმრძანებლობ!“

და ანგელოსმა კაეშნიანი  
თვალით ჩაჟორნა მერთალი ტარიგი,  
და მერე ფრთხების ნელი შრიალით  
ციურ ეთერში შთანთქა იგი.

## X.

თამარი.

ო! ვინ ხარ? მავ ხმამ გული დალახერა!  
სამოთხე გგზავნის თუ ჯოჯოხეთი?  
რა გინდა ჩემგან?

დემონი.

შენ ლამაზი ხარ!

თამარი.

მაგრამ შენ ვინ ხარ? სოქვი, რად  
მოხვედი?

## დემონი.

მე ის ვარ, ვისაც შენ ყურს აპყრობლი  
შუალამეულ მღუმარებაში,  
ვის ხმასაც სულში ვერაზ აქრობდი,  
ვის დარდასაც შორით მიუახლოვდი,  
ვისაც ხედავდი ტკბილ ზმანებაში!  
მე ის ვარ, ვინაც არავის უყვარს,  
ვინც მზერით ღუპავს იმედს სანუკვარს,  
მე ჩემ მიწიერ ყმათა ჭირი ვარ,  
მეფე ცოდნის და თავისულების,  
მე ცის მტერი ვარ, შხამი ბუნების,  
და, ხედავ ახლა შენს ფეხქვეშ  
ვგდივარ!

მე შენთან მოველ ტრფობის ურიცხვი  
ტკბილი ლოცვების ახმიერებით,  
ჩემი პირველი მიწიური წვით  
და პირველივე ცრემლის ჩქერებით.  
ო! მომისმინვე სიბრალულისთვის!  
შენი ერთი თქმით ტრფობითმოსილი  
ზეციურ მხარეს და სიკეთესაც  
დაყიბრუნებდი, გჯეროდეს მეცა  
და წაზიდუას ახალ ანგელოსიცით  
და ახალ შუქში — მიცნობდა ზეცა.  
მისმინე ოლონდ, ო, გევედრები!  
მე შენი ყმა ვარ, მიყვარხარ გზნებით!

გულში, იღუმლად, როგორც კი გნახე,  
მყის შევიძახე ჩემივე სახე  
ჩემი უფლებით და ძლიერებით.

მიწიურ ყოფის ყოველგვარ ნიშანს  
აწ შურით სკვრეტენ ჩემი ფიქრები,  
მე არც შენგვარი სიცოცხლე მიჩანს  
საშიშად — თუ კი შენთან ვიქნები.

უსისხლო გული ამინთო მყისე  
ამ უცაბედი სხიებს სიცილმა.  
და მივიწყებულ ჭრილობის ძირზე  
სევდამ გველივით გასისინა.

რაა უშენოდ მარატის ფლობა,  
ან მძლეველ ძალის უსასრულობა?  
სიტყვის ჰეთე მხოლოდ,

ფუჭადგაფრენილს,  
გაძარს, ღვთაების გაზეშე შთენილს!

თაშარი.

ო დაცხი, გაპერი, ცბიერო სულო!  
გულს არ სწავს მტკრისა... ზედავ,  
გეერძალვის...

უფალო... ვაგლახ! ლოცვაც არ  
ძალმიძს...

ბოროტი შხამი გარსმოხვეული  
ღონეგამოცლილ გონებას დაგავს!  
ეს — შენ მოგვება დალუბვა მწარე  
შენი სიტყვები — შხამს და ცეცხლსა  
ჰგავს...

ო, მითხარ მაინც რად შემიყვარე?!

დემონი.

რატომ, ლამაზო? — ვაგლახ, არ ვიცი...  
საჯემ ახალი ცხოვრების უინით  
მე მოგხსენ ჩემს თავს, აღსავსეს ბიწით,  
ამაყად დავგმე ეკლის გვირგვინი,  
მე ნამყო მთელი მტკრს მივეც ოხერს:  
შენს თვალში ვხედავ ედემს, ჯოჯოხეთს,  
და გეტრფი, გეტრფი, ვით შენ

ვეროდეს

ვერ შეიყვარებ — უკვდავ ვნებებით,  
უკვდავი გზებით გეტრფი, გჯეროდეს:  
უკვდავ ფიქრებით და ოცნებებით  
ქვეყნის შექმნიდან, თვით ძველ

დროებში

შემა ხატებამ სული დაპკოდა  
და სახე იგი ჩემს წინ დაპქროდა  
მარადი სიკრცის უდაბნოებში.  
რამდენი ხანი ფიქრების კრიომით  
მე ვგრძნობ შენს სახელს, ვით ტკბილ  
ზმანებას,

ედემის ბალში, ეამსა ჭანცხრომის,  
მხოლოდ შენ აკლდი ჩემს ნეტარებას.  
ო, რომ შეგეძლოს შენ წარმოდგენა  
რა რიგ ძნელია; რა რიგ შემზარი  
მუდმივი — ყოფნა — ერთგვარი,  
მუდმივ ტანჯვა და მუდმივ მოლხენა,  
არც ბოროტისთვის ქების მოსმენა,  
არც სიკეთისთვის რამ საჩუქრი,  
ცხოვრება შენთვის, ცხოვრება შენში  
და ბრძოლა, სადაც მუდმივი შერჩი,  
საღაც არც ძლევა, არც ზევი არი!

და ოხვრა მუდამ, სურვა აროდეს,  
ჯველაფრის ცოლნა, გრძნობა და თანაც  
სწრაფვა, რომ ზიზლით სჭირეტდე  
ქვეყანას,

რომ არაფერი არ გიხარიდეს!...

როგორც კი ჩემზე ღვთის ანათემა  
აღსრულდა რისხვით, მას შემდეგ,  
დღემდის

ბუნების ცეცხლი, მისი ნათება  
სამარადისოდ ცივია ჩემთვის:  
მე ვჰვრეტდი თვალშინ ველებს  
ლაუვარიდის...

მთიებს, ქორწილის დღისთვის  
გამზადილს,

ჩემს ნაცნობ მთიებს ვჰვრეტდი,  
ვეძებდი...

შათ ოქტოს ნათლით თვალნი ამომწვეს,  
მაგრამ რა მერე? ძველს თანამოძმეს  
მაინც ვერ მცნობდა მათში ვერცერთი  
და მერე ჩემებრ კენტადმავალებს  
მე ვუწყე ხმობა განწირულებით,  
მაგრამ მათ სახეს, სიტყვებს და თვალებს  
ვაგლახ, ვერ ვცნობდი თვითვე

სრულებით.

და ბოლოს, შიშით ფრთების დარხევით  
გავურინდი, მაგრამ საითვენ? რატომ?  
არ ვიცი... ძველი ამხანაგები  
მე მგმობდნენ, როგორც ედემი ფართო,  
ქვეყანა ჩემთვის მტერს გავდა მარტო  
ო, ასე ზღვაში ბრმადმოთარეშე  
უსაჭერ და უაფრო ნავი

დაქრის, საითაც ტალღა მფრთონავი  
დაპქრაას, გარამარის — შიზნის გარეშე  
ასე რიგურავზე, ღილადრიინ,

ღრუბლის ნაფლეთი რისხვით დადიან  
ლურჯ ცაზე შავად გამომზირალნი,  
დადიან კენტად, შეოთით, მყირალნი,  
უგზოდ. უკვალოდ, ფრთების სავსავით,  
ღმერიმა თუ იცის: საიდან — საით!

და მეც ხალხს ვფლობდი მხოლოდ  
მცირებნით,

ვამეც ცოდვით გულის ძეგრებას,  
კარგის ფასს ვცემდი მათ სირევნით  
და ვამდაბლებდი მშევნიერებას,  
მცირებნით... მერე კეშმარიტების

შუქი ჩივლგარე მე მათში ბლომად,  
მაგრამ სთქვი, ღირდნენ განა ჩემს  
შრომად  
შხოლოდ ბრიყვები, შხოლოდ ფლიდები?  
და მეც მოვნახე კლდეები შორი  
და ვძრწოდი მერე, ვით მეტეორი  
გარს შუაღამის ბინდ-მოხეეული...  
და როცა გზაზე მგზავრი ეული  
ხედავდა-თითქმ წინ ცეცხლი ელავს—  
მერე ამაღდ ითხოვდა შველას  
ცხენითურთ ხრამში გადაჩეხილი  
და კვალს სტოვებდა

სისხლისზოლიანს...

მაგრამ ამგვარი გართობის ეინი  
ჩემს გულს დიდინით არ გაჰყოლია!  
მძლავრ ურაგანთან ბრძოლისმოსურნეს  
რა ხშირად მერე, მტვრის აყენებით  
ელვით და ნისლით გარემოული  
ლრულებში ვქუხდი მძაფრი ჭენებით,  
რომ სტიქონის ბორგვაში, იქნებ,  
ჩამებში გულის დრტვინვა ფიტხელი  
წავსვლოდი საღმე წაუვალ ფიქრებს  
და დამევიწყნა დაუგაწყელი!  
რაა მოთხრობა მძიმე ტანჯვათა,  
შრომა და ჭირი აღამიანთა,  
ყველა წარსულ და მომავალ უამთა  
თაობებისა, ჩემს შხამიან და  
შუცნობ ტანჯვის თუგინდ ერთ  
წამთან...  
ან ხალხი, მათი ყოფნა და გარჯა?  
წასულიან, წავლენ... დროს რა  
გადარჩა...

მათ აქვთ იმედიც — მართალი განსჯა  
ელით და საკარის მიავებთ, ხოლო  
ჩემს გულში მარად დუღს ჩემი ტანჯვა  
და მას ჩემსავით არა აქვს ბოლო  
და არც სამარე თვლემა-მორევით.  
ის ხან ვით გველი, ლაქუც-ზმორებით  
ცოცავს, ხან ფეთქავს, დაგავს ვით ალი,  
ხან კი ფიქრს აწევს, ვით ქვა პიტალი...  
იგი-ძველ ვნების, რწმენის, ბრძოლების  
შეუმუსკრული . მძლე, მავზოლეი!

თამარი.

მაგრამ რად სჩივი შენს დარღს ჩემთანა?  
არც მსურს ვიცოდე... მე რა ტოლი  
ვარ?

შენ სცოდე...

დემონი.

მაგრამ შენს სამტროდ განა?

თამარი.

ჩუ, გაგვიგებენ!...

დემონი.

ჩვენ მარტონი ვართ.

თამარი.

მაგრამ უფალი!

დემონი.

ის არც მოგვხედავს,  
ცა დაუბყრია მისი ფიქრები!

თამარი.

მაგრამ სასჯელი? ყრუ ჯოჯოხეთი?

დემონი.

მერე რა? შენ ხომ ჩემთან იქნები!

თამარი.

ვინც უნდა იყო, დღეს უცაბედად,  
რომ მოხველი და შეება მომისე,—  
ფარული ჯადო მათრობს — გავბედავ,  
და, წამებულო, მაინც მოგისმენ.  
მაგრამ თუ ცბიერ სიტყვებს სცდი ჩემზე,  
თუ სიტყუე გაქვს გულში ფარული...  
ო, შემიბრალე, რა სახელს შევძენს.  
იბა რად გინდა შენ ჩემი სული!  
ნუთუ მართლა ვაზ მე მოსაწონი  
სხვებზე, ზეცისოვის; და შენს

გულშიაც?

იქაც ბევრია ტურფა საცოლე  
და, ვით აქ, მათი წმინდა საწოლი  
ჯერ მომაკედავ ხელს არ აუშლია...  
არა, ფაცი მსურს, ურყევი ფიცა...

მითხარ — შენც ხედავ. წამებით ფორცი,  
შენც გესმის ქალურ ღუნების ხმები!  
სულს უნებური მაინც სწვაგს შიში...  
მაგრამ შენ ყველა გაიგე, იცი,  
იცი უთუოდ, და გებრალები!  
ო, შემომფიცე... ავ საქმეთაგან  
რომ შორს განდგები, აღმითქვი ეხლავ.  
ნუ თუ არც ფიცი, არც წმინდა აღაქმა  
დაურღვეველი არ არის ქვეყნად?...\*

### დემონი.

ქვეყნის გაჩენის პირველ დღეს ვფიცავ,  
უკანასკნელ დღეს ვფიცავ იმისას,  
დანაშაულის სირცევილს და კიცხვის  
და მაღლს სიმართლის მყარ ზეიმისას,  
ვფიცავ უმწარეს ტანჯვით დაცემას,  
წარმავალ გზებას — ლხენით რომ  
ვიცან,

შენთან შეხვედრის ტებილ გატაცებას,  
შენგან გათაშვის სიმწარეს ვფიცავ.  
ვფიცავ სულების მჭიდრო რიგს შემზარს,  
სკვებედს მოძმეთა, ჩემს ქვეშვრდომთა  
მახვილებს უვნებ ანგელოსთ ტომთა,  
დაუძინებელ მტრებს ვფიცავ ჩემისას.  
ვფიცავ ჯოჯოხეთს და ცურუ ზესკნელს,  
შენ—ვინც წმინდანად გაგზარდა მიწამ,  
შენი თვალების შექმ უკანასკნელს,  
შენი თვალების პირველ ცრემლს  
ვფიცავ,

ვფიცავ მაგ წმინდა ბაგეთა ფშევნას,  
თმებს—ხუჭუჭებად რომ გადაიწან,  
სიავით ტანჯვას, სიამით ლხენს,  
თვით ჩემს სიყვარულს, თვით ჩემ  
გულს ვფიცავ,—

მე მოვწყიდ უკვე ძველ შურისგებას,  
მე მოვწყდ უკვე ძველ ზვიად უიქრებას,  
დღეიდან შხამი ვერაგ ლიზელების  
ცაცთა გონებას აღარ აიკლებს.  
მე ზავი მინდა ზეცასთან წმინდა,  
მინდა მიყვარდეს, კილოუ მინდა.  
მწამდეს სუჟეთე ქვეყნად და ცაში,  
მე სინანულის ცრემლებით წავშლი,  
ცურუ ცეცხლის კვილს წავშლი  
მთლიანად,

რომ შენს ღირს შუბლზე აღარ  
ჰყავოდეს,  
დე, ბურუსში მთელემს მშეიღობიანად  
არ ვუმტრო მიწას აწ არაოდეს!  
ო, მენდე! დღემდე მხოლოდ მე ერთა  
გუცან, გაგიგე და ჭანუგეშე  
და ჩემი ძალა, ო ჩემო ღმერთო,  
ლხენით დავგადე შენს ფერხთა ქვეშე.  
შენს ტრტობას ველი მე ჯილდოდ  
ჩქარა,

მარადს გაძლევ და წუთი მსურს მწველი  
ტრტობაშიც როგორც ზიზღში, ო  
თამარ,  
მე ღიადი ვარ და შეუცვლელი.  
მე იქ აგაფორენ, გზა იქ შეტოპავს  
სად ვარსკვლავთა ჯარს ცა  
დაუნისლავს,

შენს — სამყაროის პირველ დეცოფავაზე,  
პირველ მეგობარს ჩემის გულისას,  
შეუბრალებლად, შეუჩერებლად  
შენ გაღმოხედავ მიწის სამყაროს—  
სად არც ნამდვილი ბედნიერება,  
სად არც ხანგრძლივი შევნება ხარობს,  
სად სივეა და დასჯა მწარე  
მეურობს მდაბალი ვნება-სურვილი,  
სადაც არ ძალურთ, სირცხვილის გარე,  
არც სიყვარული, არც სიძულვილი!  
თუ შენ არც იცი, არც გესმის, რაა  
კაცთა წარმავალ ტრტობის თვისება?  
იქ მხოლოდ ნორჩი სისხლის ღელვაა—  
მაგრამ დრო ჰქონის და სისხლიც  
კვდება!

ვინ გადაუდგეს მწარ განშორებას  
და სხვა ჯაღოთი გულის წვალებას?  
ვინ გადაუდგეს სევდის მორევას  
და ოცნებათა ღელვას ცვალებას!?

ო, არა, არა! ჩემს ტკბილ მეგობარს  
მუ სულ სხვა ბედი ამოგიდალე,  
შენს გზებს მონების წრე ვერ შელობავს,  
მათი იკვები, მათი სიტლანქე,  
ვერ დაგაჭირდენ მტერ-მოყვარენი,  
ბრიყვნი, მლიქენელნი, სულიომცირენი,  
ფუქ შრომას, იმედს და სირცხვილს  
თმენით

შენ ართოდეს შეეწირები!

არც ამ მაღალი კედლის გადაღმა  
 შენ გულს უნებოდ აღარ დადაგავ,  
 ლოცვით, რომელიც შორს სდგას  
 თანაბრად  
 აქ—თქვენგან აქ კი ღვთაებათაგან.  
 არა! სულ სხვაა ტურთა ქმნილებავ,  
 შენი მომავლის ნაოცნებარი,  
 შენ სულ სხვა ღლეთა გულის დინება  
 სულ სხვანაირი საიცრებანი.  
 გადუდექ ოლონდ სურვილებს ყოფილს,  
 დასტოვე მათი ბრძა სინათლე, და  
 სამაგიეროდ ამაყ შეცნობის  
 სიღრმეებს გაეხსნი სალხენად შენდა.  
 ჩემს მსახურს სულებს მე დავავალებ  
 კრძალეთ დაეცნენ შენს ფერხთა ქვეშე,  
 მსუბუქ ჯაღოსნურ მონა-მხევალებს,  
 ო, მშვენიერო, გაგიჩენ მე შენ.  
 აღმოსავლეთის ნაზ ვარსკვლავთაგან  
 ბრწყინავ, ოქროსფერ გვირგვინს  
 მოგიტან,  
 მერე შუაღამის ვარდებს გავთანგავ,  
 ნამს მოვპარავ და იმით მოგირთავ,  
 ტანზე ბაფთებად შემოგატოლებ  
 დამავალი მზის სხივებს მოვლემარეს,  
 ირგვლივ ნელსურნელს შემოგათოვებ  
 დავბნედ, გავბანგავ შენს არე-მარეს,  
 მუღამ ჯაღოსნურ ჰანგებს გაემებს,  
 შენას დაგიტებობს ჩემი მუსიკა,  
 აგიგებ ოქროს სრა-სასახლეებს.  
 მხოლოდ ქარვისგან და ფირუზისგან.  
 ხან დავეშვები ზღვათა ფსკერამდე,  
 ხან კი ღრუბლებში გავქრები მუქად,  
 მოგცემ მიწიურს ყველას, ყველაფერს—  
 ოლონდ გიყვარდე!

## XI

— და ის მსუბუქად  
 დააცხრა უცებ ცხელი ტუჩებით  
 ქალის მთრთოლვარე ბაგეებს ვნებით,  
 და მის ვერდებას ის აყუჩებდა  
 ჯაღოთი საქსე ტებილი სიტყვებით.  
 უძლეველ მზერით ქალის თვალებში  
 ის ცუცქლს აჩენდა. — ბინდის თარეშში  
 მსულის ფავზე ფერდა ის აღა  
 თვალისმომჭრელი, როგორც ხანჯალი.

ვაკლახ! ხარობდა ბოროტი ძალი!  
 მომკელელი შხამი მისი ამბორის  
 ასულის მკერდში მყის ჩაილესა,  
 და განწირული, ველური კვნესა  
 გაფრინდა ღამის მდუმარ ფრთებს  
 შორის.  
 იქ კვნესდა ტრფობა, კვნესდა წამება —  
 საყვედური და ვედრება კვნესდა,  
 და უიმედო გამოსალმება,  
 გამოსალმება სიყმაწვილესთან.

## XII

იმდროს, შუაღამის ბნელ სუდარაში  
 კენტად, გალვანის დამრეც ტინობთან,  
 თუჯის ფიცარით ხელში, დარაჯი  
 მიჩნეულ გზაზე დასეირნობდა.  
 ის ქალის საკის გასწვრივ იმ წამსვე  
 შედგა, ნაბიჯთა მწყობრშენელებით  
 და, სულამღვრეულს, თუჯის ფურაზე  
 შემოყინენ შიშით ხელები.  
 და ლამის მღვმარს სიკრცეებს შორის. —  
 მას მოქმედნა, — თითქო მოესმა  
 ხმა წყვილი ბაგის მწყობრი ამბორის,  
 ჭივილი მსწრაფლი, და სუსტი კვნესა  
 და ბილწი იქვით ქარის ნაჭორით  
 შეირჩა უცებ მოხუცის გული...  
 მაგრამ, წუთიც და... ხმა მისწყდა შორით  
 და კვლავ სიჩუმე გამეფდა სრული,  
 მხოლოდ ნიავი, შორით დაძრული  
 ხმაში ფოთლების დრტვინვას იჩევდა  
 და საღლაც სევდით, ბნელ ნაპირებთან  
 მიბუტბუტებდა მთის ნაკალული;  
 და წმიდა ლოცვის წასაკითხავად  
 აჩარილა უცებ მოხუცი სათნო,  
 რომ განერინა, შთაჭრილი ავად  
 მის გონებაში, ბოროტი ჯაღო,  
 გადასახა მორთოლვაზ თითებით  
 პირჯვარი მეტრზე, ღმერთი ასენა  
 და კელავ, მღვმარებ, დაბეჯითებით  
 ჩეკულებრივი გზა განაგრძელა.

## XIII

როგორც მძინარე ნაზი ფერიი,  
 კუბოში იწვა რეი ბსული;  
 მიბნეტილობა ტანს დამფურის

და თეოზ ზეშარს ჰგავს ფერგალასული.  
წამწამთ ქვეშ შუები აღარ ანთია...  
მაგრამ ო, ცაო, ვინ არ იტყოდა,  
რომ მზერა თვალთა იქ მაინც  
თრთოდა;

და, საოცარი, მხოლოდ ელოდა  
ან მსუბუქ კოცას, ანდა განთიადს?...  
მაგრამ ამაოდ — დღის ელვარება  
ამაოდ ღლიდნენ ბევრჯერ ნავეში  
მათ უმეტველო იგი ბაგნი...  
არა! სიკვდილის დაღს სამარადოს  
არ მოიშორებს იგი არასრიოს!

#### XIV

ჯერ არ ჰქონია, არც დღეობისას,  
ისე მდიდრული და მრავალფერი  
მას საზეიმო სამოსი მოელი.  
ვარდებს მშობლიურ იმ ნებისას  
(როგორც მოითხოვს აღათი ძველი)  
გადაეჭირათ მასზე სურნელი,  
და დაკმუქნული მკვდრულ ხელით  
თანაც  
ეთხოვებოდნენ თითქოს ქვეყანას  
და არაფერი აჩნდა მის სახეს  
რაც გძნსხვავებულ სიკვდილზე  
ამხელს.—

სიკვდილზე ვნების, ცეტლის მოფენით  
და სჩანდნენ მისი სახის ხაზები,  
ისეთ მშვენებით და განაზებით,  
ვით მარმარილო — სულ უგრძნობელი,  
სჩანდნენ უგონოდ, ცივი ლივლივით  
და იღუმალად, თვით სიკვდილივით  
ტუჩის შეყინული ლიმი ამკობდა —  
მსწრაფლ, სიკვდილის წინ ნაციალები,  
რა ბეკრ სევდაზე ლაპარაკობდენ  
გაშეშებული მისი თვალები:  
იქ იყო ზიზლი, ცივი და მკრთალი,  
სულის — დამკენარის უამინდობით, —  
უკანასკელი ფიქრების კვალი  
და ქვეყნისადმი უხმო „მშეღობით“.  
მის მიმქანალ სახეს უფრო თოშავდა  
მზის მოკანკალე სხივთა ბულული  
და უფრო ცივად, მკვდრულად  
მისაჩადა —

სამარადისოდ თვალმილულული.

ასეა, როცა, დღის დასავლისას  
მზე იქროს აღნობს ზღვაში გავლისას  
და შორს გადადის ელვა-ციალით —  
კავასის თოვლი ციურ მორევში,  
კვლავ შემორჩენილ სხივთა სიალით  
ანათებს ღამის ბნელ სიშორეში.  
მაგრამ ნახევრად მკვდარი, ის სხვაგან  
ვერ ქმნის, ვერ ხედავს მსგავს

ათინათებს

და ვერც ვერასრიოს გზას გაგვინათებს  
თავის გაყინულ, თეოზ მწვერვალთაგან.

#### XV

ჭირისუფლები უკვე გუნდ-გუნდად  
შემოკრებილან, გზა ელით ქუში.  
ჭაღარას იგლეჯს მწუხარე გუდალ  
და ხელებს იცემს უსიტყვოდ გულში.  
უკანასკელად აჯდება გუდალ  
დღეს თეოზეაფრიან მერანს თავისას  
და აპა, ხალხი უკვე დაიძრა.—  
სამ დღეს, სამ ღამეს იარონ უნდა:  
შორს წინაპრების საფლავთა შინა  
მზად არის მყუირო, შავბნელი ბინა.  
ერთხელ, გუდალის პაპას შორეულს  
მძარცველს სოფელთა და მოგზაურთა—  
სიკვდილის პირზე, სნებამორეულს,  
მონანების დრო როცა დაუდგა,  
წარსულ ცოდვათა გამოსასყიდად  
ალუთქვამს ღვთისთვის ტაძრის

აღმართება

ამ გრანიტოვან კლდეთა საზღვართან,  
სად მთას ფრთებს მხოლოდ ქარი  
აწყვიტავს,

სად არარა ფრენს ძელქორის ჯარდა  
და მყინვარწვერთან გაჩნდა გვიან ის —  
კენტი ტაძარი თოვლის მხარეში,  
და ძვლები ბოროტ აღამინის  
ისევ დამშვიდდენ იმ სამარეში,  
და მკვდრებს დაეთმოთ ის კლდე,  
მანაძლი

საღაც ლრუბელთა ჯარი დაპჭროდა:  
თოთქმ მწვერეალზე, ზეცის  
მახლობლად,  
უფრო თბებაო ბინა მარადი,  
თითქმ კაცთაგან თუა ფარული,

არ-რა არღვევსო ბოლო ძილს ნეტარს...  
იმათ არი! მკვდრებს წარსულ დღეთა  
არც დარღი ახსოვთ, არც სიხარული...

## XVI

ლურჯი ეთერით გაჩემოცული  
ცის ანგელოსი შორითმოსული  
მიქროდა, ოქროს ფრთხით შემკული,  
და ქვენისაგან ცოდვილი სული  
მიჰყავდა მაღლა, მკერძხე მიკრული.  
ქალს იგი, იჭვი რომ გაეფარტა,  
ნუგეშის ხმებით გაძმოცხადა  
და კვალს ცოდვათა და წამებათა  
მისგან ცრემლებით ჩამორეცხავდა.  
შორს ულერდა უკვე ტკბილ ხმით  
სამოთხე —

მაგრამ უეცრად სული მღუპავი  
ჯოჯოხეთისა, ბნელით წამოდგა  
და გზა გადასჭრა თავისუფალი —  
და ჰქუხდა იგი, როგორც გრიგალი  
ბრწყინვალე, როგორც ელვათა როგი, —  
და თან უგონო, დაურიდალი,  
რიხით ამბობდა: „ჩემია იგი!“  
და მფარველის მექრდს უფრო მიეკრა,  
ლოცვით ჩახშო შიში და ურვა  
ნორჩი ცოდვილის შემერთალმა სულმა.  
მყობადის ბედი წყდებოდა ეხლა: —  
მის წინ ისევე ის იდგა, გრძნობდა,  
მაგრამ ო, ცაო! — ვინდა იცნობდა?  
ისე ბოროტად ქალს დააჩერდა,  
ისეთ მომწამელელ, ავ გესლს აჩენდა  
უსაზღვროდ სავსე მტრობით და  
ზიზლით —

სამარისებურ სიცივეს ჰუებნდა  
გაქვავებული სახე იმისი!  
„შორს, ბნელო სულო, იჭვების  
მღვიმეე!“  
— შესძახა უცებ ციურმა სულმა, —  
„შენ ღიღი ხანი აქ იზეიმე.  
მაგრამ განკითხვის დღეც დადგა მძიმე  
და აპა, უფლის კეთილი სურვა!  
გამოკიდის დღენი წარვიზნენ, ხედავ.  
და მიწის სამკედრო სამოსთან ერთად  
ის ბოროტების სუნდაც ჭასტეხავს.

ჭყან, მოველოდით ჩვენ მას  
რამდენხანს!

იმისი სული იუმ იმათვან,  
რომელთა ყოფნა ერთ წამს შეიცავს  
აუტანელთა წვა-წამებათა  
და მიუღწეველ სასოებისას:  
მხოლოდ ნაზ ეთერს, არმქონეს ზაღის  
ცოცხალ ძაფებად მათ ღმერთი აქსოვს,  
არც თვით ისინი ამ ქვეყნისათვის,  
არც ეს ქვეყანა იმათვეის არსობს!  
და ამ ასულმაც მეაცრ ფასით მწარედ  
გამოისყიდა იჭვები მცდარი...  
ეწია, ეტრიუ — ტრიფობას კი მარად,  
მარად ლია აქეს სამოთხის კარი!“  
და ანგელოსმა სასტიკ თვალებით  
შეხედა მაცდურს, და კელავ. ნელიადა  
ფრთხების მხიარულ აშრიალებით  
ციურ ლაუვარდებს გადაერია.  
და მყის დასწევევლა დამარცხებულმდე  
დემონმა თავის ოცნება მწარე.  
ის კელავ ზეიალმა ფიქრმა შებურა  
და დარჩა კენტრად წინანდებურად —  
სასოებისა და ტრიფობის გარე!..

—  
კიაშურის ჭალების ზემოთ,  
ქვინი ქედის ცოცხალებთან  
ძველი ნანგრევის ნაშთებს გარშემო  
ადამიანი ეხლაც ჰპოებდა.  
მასზე თქმულებებს შიში ხლებია, —  
ბავშვი ფრთხებიან ეხლაც უმალვე...  
როგორც აჩრდილი, — ძეგლი  
მღუმარე —

იმ მისნურ დღეებს რომ დასწრებია —  
კვლავ ხეებს შორის შავად ელვარებს.  
გადაუჭიმავთ დაბლა აული  
და ჰყვავის მიწა, მწვანედ მღელეარებს.  
და არეული, მღვრიე ზმაური  
შორს იკარება — და ქარავანიც  
მოდის შორიდან მელერი ზარებით  
და ჰქის ნისლიდან მსწრაფლმავალი  
მდინარეც ჰაფით და ელვარებით,  
და ზარალულ ახალგაზისობით,  
ამგეარ სიგრილით, მზის და ვარდობით  
ლალობს, ერთობა ბუნება მოელი,  
როგორც უჩა ცელჭი და უზრუნველი.

მაგრამ მწუხარედ სჩანს ციხე ახლა  
ოდესლაც თავის ვალისმომხდელი,  
ის იმ მოხუცს ჰგავს, ვინაც დაჲკარგა  
მეფომჩები და ოჯახი ძევლი.  
მისი ფარული მდგმურების კრება  
დღეს მოვარის ნათელს მოელის  
მხოლოდ,

მაშინ იმათი ლხენის დროც დგება,  
ჰქერიან ზუზუნით და უთავბოლოდ.  
თმათეთზო იმობას, მწირს რომ ჰგავს  
მართლაც,  
თავისი ქელი აქ გაუხლართავს.  
მწვანე ხვლიკების ოჯახიც მთელი  
ბანზე თამაშობს სიმხიარულით,  
მერე კი ურთხილი, ცბიერი გველი  
გამოცულდება ხვრელით ფარულით  
ძველი პარმალის ხავსიან ქვაზე,  
ის ხან სამ პეჭდაღ ეხვევა წამსვე,  
ხან კი ჭრელ სხეულს მაღლა აზიდავს  
და ჰგავს ფოლადის მახვილს ელვარეს,  
მიგდებულს ძველი იმების მხარეს,  
დაცუმულ გმირს რომ აღარ დასჭირდა!...  
გარს სიველურე სუფეეს. ვერ ხედავ  
კვალს ძველ წლებისას. საუკუნეთა  
ზელი ბეჯითად შლიდა მათ სახეს  
და დღეს არარა არ ისენიებს  
მოხუც გუდალის ღიდებულ სახელს,  
მოხუც გუდალის ასულს მშენიერს!  
მაგრამ ტაძარი, ფერწობზედგმული,  
შად მათა ძვლები დევს კლდის უბეში,

ლვთიური ძალით შემონახული,  
აქამდე მოსახანს მაღლა, ღრუბლებში,  
გრანიტის შავი ლოდები ერთად  
მის კართან, როგორც ყარაულები,  
დამდგარან თოვლით დაფარულები  
და ჯაჭვავაშანის ნაცვლად მის  
მკერდთან

მარადიული ყინული ფეთქავს.

ზვავის მძინარე, მძიმე ზვინები  
ქიმიდან — როგორც წყალვარდნილები  
უეცარ ძალით ყინულად ქმნილნი  
გადმოკიდულან შუბლ-შეჭმუხვნილნი,  
და ქარიც უვლის ზვერვით იქ მთაბარეს,  
ართობს თოვლის მტკრის ირგვლივ  
სხურება,

ხან გრძელ, მოსაწყენ მღერას გააბამს,  
ხან კი დარაჯებს ეხმაურება.  
და შორი მხრიდან, თითქო ესმათო  
ხმა ამ სიოცარ ტაძარზე — ხელად,  
აღმოსავლეთით ღრუბლები მარტო  
აქარებულან ქედმოსახრელად.

მაგრამ სამარის ლოდებს მტკრიანები  
აწ აღარავინ ასევდიანებს.  
მხოლოდ მყინვარი ქუშად, ზვიადად  
დაჲკურებს ნადავლს და ხარბად იცავს,  
მარადი ღრტვინვა აღამიანთა  
ვერ ამლვრევს მარად სიმშვიდეს მისას.

1841 წ.

თარგმანი გიორგი ძიგვაზვილისა.

ა. ლერმონთვისი

## პ ი ჭ ა ლ მ

უზარმაზარი პიტალის მკერდზე  
ღამეს ათევდა პატარა ნისლი.  
დილაადრიან ის შორს გაფრინდა,  
ლაჟვარდში სჩანდა თამაში მისი.

მაგრამ პიტალის ნაოქზე დარჩა  
ნოტიო კვალის შხეფები ხშირი.  
უა უდაბნოში, ჩაფიქრებული,  
სდგას მარტოდმარტო და ჩუმად სტირის.

თარგმანი გილელ კატარიძისა

## გლედიაზორი

ზეიმობს რომი... ოლტყინებულ ტაშის გრიალით  
გრგვინავს არენა გულზეიადი, ვრცელი და ფართო.  
ის კი — მხეცებთან განგმირული ადამიანი —  
სისხლში და მტვერში პირუტყვივით გართხმულა მარტო.  
ამაღდ თხოვს შებრალებას მის მღვრიე თვალი:  
ცრუდმედიდური, წუთის მეფე, მის სენატორი  
მის დამარცხებას აგვირგვინებს სიამით მთვრალი. —  
რაა ცნობილ და მაღალ ბრძოსთვის გლადიატორი,  
ეს წუთის საზრდო, შერცხვენილი მონა-აქტორი?!

მის განგმირულ გულს, დაცემულს და სისხლით მჩქეფარეს,  
უცად განვლილმა მოგონებამ დაჭხედა თვაზე  
და თვალწინ უდგა მას სამშობლო, დუნაის მხარჯ,  
მხარე მწვანით და თავისუფალ სიცოცხლით საესე.  
ზედავს თვის ოჯახს, წამოსული აქ ბრძოლებისთვის,  
ხედავს მამასაც ხელებგაწვდილს მისეენ მღუმარედ —  
თითქო ეძახდეს სიბერის ბურჯს ნეტარებისთვის,  
თითქო აწვდიდეს თვის სიცოცხლეს შინა თუ გარეთ.  
შინ მიეღლან ნადავლითა, წასულს საგმიროდ,  
მაგრამ დაეცა, როგორც მონა ბედგანამწარე...  
მშვიდობით რომო, გარყვნილების ზღვავ უნაპირო!  
მშვიდობით ტურფავ, საყვარელო სამშობლოს მხარევ!

ასე არ არის, ევროპისა ქვეყანავ ძველო,  
ოდესლაც კერპო ალტყინებულ მეოცნებეთა?  
სამარისაკენ მიიჩქარი ჯერ უსახელო,  
ტანჯულ-გვემული, ვნებათა და ეპვების ტყვედა.  
უწმუნო, უნდო, უიმედო, ბავშვო სათრეველა,  
შენს თავს უგნური ბრძო ხარხარებს და ბნელა... ბნელა...  
და სიევდილის წინ სინანულის ამოსათქმელად  
ამოიხხევ, მიაპყარი თვალნი სიყრმესა,  
სიყრმეს, სინათლით გარემოსილს, მთშვინავს საქმელად,  
ვისი სინათლეც შენთვის იყო შევების წილ კვნესა,  
ვინც დაივიწყე ფუფუნების გულისთვის დღესა.  
რომ დაიამო ვაებანი უკანასკნელნი,  
გდიხარ წარსულის სიმღერებით დავიწყებაში:  
გართობენ უამნი რაინდთანი, ზღაპრულნი, ძველნი  
და დროს ატარებ სასაცილო სიზმრების თქმაში!..

თარგმანი ი. მარტივიშვილისა

## ბრუნანბერპის ბრძოლა<sup>1)</sup>

აქეთელსტან-კუჭნინგმა, <sup>2)</sup>  
 მხედართა თავაღმა,  
 ბეჭედომბოძებელმა  
 და მისმა ღვიძლმა ძმაშ  
 ეაღმუნდ ძლიერმა  
 მახვილთა ფოლადით  
 ოში მოხვევეს  
 მარალი დიდება მოსპეს  
 ბრუნანბურგთან  
 ფარების ზფინული; <sup>3)</sup>  
 ეაღვეარდის ძეთ,  
 უროთა ვაჟები  
 სცეს ცატხვებს ომისა. <sup>4)</sup>  
 ეს მემკვიდრეობა  
 ხვდათ წინაპართავან:  
 ბრძოლაში ყოველთვის  
 მტრად მომდგარ ლაშქრთან  
 იბრძოლონ მშობელი  
 მხრისთვის და სახლისთვის.  
 ცვილენენ დაჭრილი  
 მებრძოლი სკოტტები  
 და ზღვის ვიკინგები,  
 ცვილენენ მინდორზე;  
 ჰელვეტია ნიადაგს  
 სისხლი დაცემულთა  
 მას შემდეგ, რაც დიღით

<sup>1)</sup> ნაწყვეტი ანგლო-საქონური ისტორიული ძალისდან, დაწერილი ძევლი ილიტერიტ-  
გული ლექსით, ჩაწერილი „ანგლო-საქონურ ქრონიკაში“ (ე. წ. უინჩესტერის ხელთანაშეკრ.)  
937 წლის მახლობლად.

<sup>2)</sup> ფოლესტან — ალფრედ დილის შეილიშვილი; იყო მეფე (კუჭნინგ) უდისესისა, შერ-  
სოისა და ნორთუმბრიის (924 — 940 წ.წ.). ის ლექსიში აღწერილია მისი ბრძოლი იჩლიანის  
წიეინგების მეფის ანლაფის და სკოტტების მეფის კრისტიანების III-ის გაერთიანებულ  
შეცდობასთან 937 წლის, ბრუნანბურგის აბლოს, ნორთუმბრიაში (ძევლი ინგლისის ერთ-  
ერთი სამეფო).

<sup>3)</sup> ფარების ზეინული — ანგლო-საქონური მეტაურია: მხედართა შემცირებული რიგის

<sup>4)</sup> ურის ვაჟი — მახვილი; ოში ცატხვები — ფარები.

ღიადი მნათობი  
 მზე ცაზე ავიდა  
 და ხმელეთს დახედა  
 ღვთის ნათელ სანთელად,  
 მარადი ღვთის ნებით,  
 და ისევ მაგიდას  
 მიუჯდა საკუთარს.<sup>1</sup>  
 ასობით დაეცნენ  
 შუბითგანგმირული  
 ჩრდილელი მხედრები  
 და სკოტტთა ტედრები,  
 ფარებზე დაყრილნი,  
 ბრძოლაში დალლილნი.  
 მაშინ ვესტ-საქსები  
 მთელი ეს ვრცელი დღე,  
 ვსდევნიდით მათ ლაშქარს,  
 მრისხანე ყიჯინით  
 ვსდევნიდით დამხვდურებს  
 და ზურგში ჩავსცემდით  
 შახვილებს გაქცეულთ.  
 ელავდნენ მახვილნი  
 მერსის ვაჟები  
 მკლავების ნადიმით<sup>2</sup>  
 უმასპინძლდებოდნენ  
 ანლაფის მხედრობას,  
 წყლებით რომ მოცურდა,  
 წავების წიაღით,  
 მოსურნე მიწისა,  
 სად დახვდა სიკვდილი.  
 აქ ხუთი დაეცა  
 კაბუკი კდუნინგი  
 ხმალით აჩებილი  
 ველზე მიწოლილი,  
 და შეიდიც იმასთან  
 ანლაფის თავადი,  
 ურიცხვი რიცხვები  
 სკოტტთა და ვიკინგთა.  
 შორს იქმნა დევნილი  
 ჩრდილელი ბელადი,  
 არც ნებისმიერად,  
 არც დიდის დიდებით  
 ხომალდის წამყვანი.

<sup>1</sup> ე. ა მზე ჩავიდა.

<sup>2</sup> მკლავების ნადიმი — ომი.

ზღვას გაჰყვნენ ნაეები.  
 გაცურდა კონინგი  
 ცვითელი ზეირთებით  
 და იხსნა სიცოცხლე.  
 ამგვარად ლტოლეილი  
 იყო კონსტანტინუს,  
 ოდეს შორ ჩრდილოეთს  
 ამ ჭროლა მოლაშქრებ  
 ბრძნულად მიაშურა;  
 ვერ დაიკვეხნიდა  
 ის მახვილთ ყრილობას; <sup>1</sup>  
 ფაუ საკუთარი  
 და თავისიანი  
 საომარ ტაძარზე, <sup>2</sup>  
 ბრძოლაში დაჭრილნი  
 დასტოვა ყველანი,  
 დასტოვა ყრმა ვაუ,  
 ლრმა ჭრილობათაგან  
 ველზე გარდაცვლილი.  
 ვერ დაიკვეხნიდა  
 ფოლადის უღერებას <sup>3</sup>  
 ჭალარა მოხუცი,  
 მხდალი და ბოროტი.  
 არც ანლაფს ჰმართებდა  
 გამტყდარი ლაშქარით  
 ფიტხელი ტრაბახი,  
 თითქოს ის ბრძოლაში  
 მძეინვარე ყოფილა  
 და ლროშის ცახუაზე  
 მებრძოლთა რიგებში  
 ხელშუბთა რეკაში  
 გაბედულთ შეყრაზე, <sup>4</sup>  
 იარაღთ უღარუნში  
 მრისხანედ გასულა,  
 რომ ეაღვეარდის  
 თესლს ძალა უზომოს.  
 ჩასხდნენ ვიკინგები  
 ლურსმნებით დაკედილ  
 ხომალდში ცოცხლები.  
 და დინგის წყლების გზით  
 უფსკერო ზღვების გზით  
 გაიქცნენ დიფლენში, <sup>5</sup>

<sup>1, 2, 3, 4</sup> — მეტაფორები, გამომსატველი ცნებისა ყბრძოლა;

<sup>5</sup> დიფლენი — დუბლინი, ირლანდის დედაქალაქი.

ქვლავ იწთა ქვეყანას<sup>1</sup>  
 მიადგნენ აუგით.  
 და ძმები მოლაშქრე,  
 კდუნინგ და ედელინგ,<sup>2</sup>  
 მცინარნი ბრძოლიდან  
     ამგვარად დაბრუნდნენ  
 ვესტ-საქსთა ბანაქში,  
     სამშობლო მხარეში.  
 ცხედრებზე დასტოვეს  
     შაგსამოსიანი  
 ბნელი ყვავ-ყორნები,  
     მაგარ ნისკარტით  
 მტრის ხორცი რომ იყოფდნენ,  
     და ველის არწივნი  
 ლეშისმოყვარულნი,  
     მძიმე შევარდნები,  
 და მგელი მსუნაგი,  
     მხეცი ნაცრისფერი  
 ველური ტეჭრისა.  
     აროდეს ყოფილა  
 კუნძულზე დაყრილი  
     ამდენი მებრძოლი  
 პირბასრი ფოლადით  
     ბრძოლაში ნაკაფი,  
 ჯაე სოქვეს ბრძენ კაცთა,  
     რომელთაც ჯერ კიდევ  
 ახსოვდათ წარსული),  
     რაც ანგლო-საქსები  
 აღმოსავლეთიდან  
     ბრიტტების თემებში  
 ზღვის ლალი ზეირთებით  
     გაბედვით მოსკურდნენ  
 და ვეალთ მხედრები,<sup>3</sup>  
     დასძლიეს დიდებით,  
 სამშობლო იშვებეს  
     ლირსსახელოვანთა.

თარგმანი ინგლისურიდან გივი გამოჩენაშისა

<sup>1</sup> ორთა ქვეყანა — ორლინდი.

<sup>2</sup> კდელინგ — შალალგვაროვანი, კუთილშობილი გეპის შეილი.

<sup>3</sup> ვალები — weales, walas — საერთო სახელწოდება კელტი, და ხანდახან საქოთოდ უქმნა ტომებისა.

ვანო შავშერი

## ლერმონთვის ხეოვნება კავკაციაში

1.

1837 წლის 29 იანვარს დღის 2 საათსა და 45 წუთზე გარდაიცვალა დანტესის ტყვიით გულგანგმირული კარის ინტრიგანებისაგან სიცოცხლემოშხამული პუშკინი.

ეს ამბავი ელეის სისწრაფით მოედო მთელ პეტერბურგს. ხალხი აღელდა. მოსახლეობა და წერილი მოსამსახურეები, სტუდენტობა და „რაზნოჩინებული“ მოკის სანაპირო ქუჩისკენ დაიძრენ. ქალაქის ყველა კუთხიდან მიისწრაფოდნენ ეკიპაჟები პუშკინის სახლისკენ... ზღვა-ხალხმა ქუჩა დაჭარა. ყველა პუშკინის ცხელრისკენ მიიწევდა, მას დასტიროდა და წყევლა-კრულვას უგზავნიდა ხალხის გენიალური შეილის მკელელ ჯალათებს...

„ეს უკვე მიაგავდა ხალხის მანიფესტაციას, უცად გამოლეიძებულ საზოგადოებრივ აზრის“. — სწერდა ამ ამბების შესახებ ი. პანაევი. გერმანიის ჩრდილოებულმაც კი შენიშნა ეს და თავის მთავრობას სასწრაფო ცნობა გაუგზავნა რუსეთში მოსალოდნელი სერიოზული მღელვარების შესახებ.

... და მთავრობის წინაშე უცად წარმოიშალნენ დეკაბრისტებისა და გლეხთა აჯანყებების საშინელი არდილები, ნიკოლოზის მთავრობა შეაშინა ქარიშხლის სისწრაფით ამოვარდნილმა ხალხის რისხვამ; დაფეთდა თვით მეუკე; შიშის ზარმა მოიცავ არისტოკრატიული წრეებიც....

მიღებულ იქნა სასწრაფო ზომები „სარული სიწყნარის“ დასამკედრებლად. ჯაშუშებმა სმენა გაამახვილეს. პუშკინის სახლი უანდარმებით აიგსო. დაიწყო დაბეზღება და დევნა ყოველ უმნიშვნელო „გაუფრთხილებულ“ სიტყვაზეც კი.

სახალხო განათლების მინისტრი ს. უვაროვი მთელ თავის დროს ანტონ გებდა „პუშკინის სიკედილით გამოწვეულ ხმამაღლი გოდების დაშოშმინებას“. უურნალისტ ა. კრაევსკიმ სასტიკი საყვედური მიიღო მთავრობისგან — გაზეთში შემდეგი ცნობის დაბეჭდვის გამო: „ჩევნი პოეზიის მწე ჩაესვენა. გარგაზეთში პუშკინი, გარდაიცვალა სიცოცხლის აუგავების წლებში, თავისი დაიცვალა პუშკინი, გარდაიცვალა სიცოცხლის აუგავების წლებში, თავისი დიდი მოღვაწეობის ასპარეზის შუა გზაზე“. უურნალებს მიეცათ სასტიკი მითითება, რომ პუშკინის შესახებ დაბეჭდილ ცნობებში დაეცვათ „სათანადო ზომიერება და ზრდილობისინი ტონი“.

\* ერთი თავი ნაშრომიდან „Лермонтов и Кавказ“.

ხალხის დემონსტრაციების თავიდან ასაცილებლად, საიდუმლოდ შეცვლილი იქნა მიცვალებულის წესის აგების ვადა და ადგილი. პუშკინის ცხედარი ფანდაზმებმა ჭურულად გააპარეს ბნელ ღამეს პეტერბურგიდან, რათა „ხმაურისა“ და „ცერემონიების“ გარეშე მიებარებიათ იგი მიწისთვის — პსკოვის გუბერნიაში.

და უბად, „ვით ვეჩეს კოშკზე ზარის დარეკვა“, ისე გაისმა უცნობი ახალგაზრდა ლერმონტოვის ლექსი „პოეტის სიკვდილი“. ოცდაორი წლის წაბუქმა თითქოს ლექსი კი არა, არამედ მგზნებარუ პროკლამაცია გადმოისროლა ხალხში. მისი ყოველი სიტყვა, ვით საბრძოლო ძალი, ხალხს აჯანყებისკენ მიუწოდებდა. ამ ლექსში გასაოცარი გამშედაობითა და ენერგიით იყო გამოსახული ხალხის შეგუბებული გრძნობა, მისი ზიზლი პუშკინის შევლელებისადმი და თავისუფლების ჯალათებისადმი.

ლექსი იწყებოდა სამწუხარო ცნობით „მოკვდა პოეტი!“ და იქვე ლერმონტოვი ასახელებდა სიკვდილის მიზეზს, ინტრიგის იმ ქსელს, რომელშიც ჩათრეული იყო პუშკინი ცილისმწამებელთა, მაცდურთა და ბრიყვ კარის კაცთა მიერ.

აღმფოთებული ლერმონტოვი პირში ახლიდა ინტრიგანებსა და „მაღალწრის“ ორპირ ფარისევლებს დაუზოგავ მამხილებელ სიტყვებს:

ლერმონტოვი ჰსწყვევლიდა დანტეს, ამ საზიზლარ ჯალათს, მეფისა და მთელი „მაღალი საზოგადოების საყვარელ რევენენს“, მათი შავი ზრახებისა და პუშკინის მოკვლის სურვილების ფიზიკურ შემსრულებელს.

ოცდაორი წლის პოეტი შესწევდა გამშედაობა, რომ მეფის საყვარელი დანტესისთვის ლტოლვილი, კარიერისტი და ხარისხებისმაძიებელი ეწოდა, ხოლო მთელ სასახლეს — მეფიდან მის ქედმოხრილ ლაქიებამდე — უყენებდა საბრალმდებლო აქტს გენიალური პუშკინის ჯალათურად მოსპობაში.

ლექსი მეხის გრგვინვასავით გამაურდა. იგი ისეთი სისწრაფით გავრცელდა, რომ ახალგაზრდა ლერმონტოვი მაშინვე ყველასთვის ცნობილი შეიქმნა.

ლერმონტოვმა „დიდი სახელი მოიხვეჭა პუშკინის სიკვდილზე დაწერილ ლექსის გამო“ — სწერდა ა. ნ. მურავიოვი. ყველასთვის ნათელი გახდა, რომ „აუშკინი მექვიდრის დაუტოვებლად არ მომკვდარა“ (ბელინსკი), რომ ცუდუბრალოდ არ ჩაივლის მის „ფიქრთა მაღალი მისწრაფება“. რომ ახალგაზრდა ლერმონტოვმა ვაუკაცური გამშედაობით ჩასჭიდა ხელი და მაღლა ააფრიალ ტყვით განგმირული პუშკინის ძრადახრილი ღროშა.

ვიღაცამ ასლი გადაიღო ლერმონტოვის ლექსიდან და ნიკოლოზ პირველს გაუგზავნა წარწერით: „მოწოდება რევოლუციისკენ“. აქედან დაიწყო გუსართა პოლეს ლეიბ-გვარდიის ახალგაზრდა კორნეტის მიხეილ იურის-ძე ლერმონტოვის მიერ დაწერილ „დაუშვებელ ლექსთა საქმის“ გამოძიება. ლერმონტოვი დაუყოვნებლივ დაპატიმრეს. იგი მხოლოდ ნაცნობთა და ნათესავთა ცდების შედეგად გადაურჩა რილევესის ბედს. უმაღლესი ბრძანებით „დაუშვებელ ლექსთა“ წერის გამო ლერმონტოვი გადაასახლეს კავკასიაში — ნიუეგორიოს დრაგუნის პოლკში. ეს შემთხვევითი მოვლენა როდი იყო, კავკასიას იმ დროს „იოლ ციმბირადა“ სთვლილენენ. აქეთ ხშირად ასახლებლნენ ლერმონტოვის მაგვარ „დაუდეგარ“ აღამიანებს, დეკაბრისტებს და სხვა.

ლერმონტოვი კავკასიაში წამოსასვლელად ემზადებოდა, ეთხოვებოდა მეგობრებს... სამხედრო სამსახურის ხაზით ამხანაგები მას გამოსათხოვარ ხადი-

ლის გამართვას უპირებდნენ, მაგრამ პოლკის უფროსმა ისიც აკრძალა, ჩადგან ასეთი საღილი შეიძლება გაგებულ ყოფილიყო, როგორც პროტესტი ლერწმონტოვის კავებასთაში გადასახლების წინააღმდევ. ა. ნ. მურავიოვი თავის მოგონებებში სწერს, რომ ლერწმონტოვის გადასახლებამ დიდი ხმაური ვამოიწვია პეტერბურგში, მას უყურებდნენ როგორც შესვერპლსა.

2.

1837 წლის აპრილში ლერმონტოვი უკვე კავკასიაში მოემგზავრებოდა. ძნელია იმის წარმოდგენა, თუ რამდენად ერთი-მეორის საწინააღმდეგო გრძნო-ჯებით იქნებოდა შეკურობილი იგი მაშინ. ის შორდებოდა მთელ თავის პეტერ-ბურგელ მეგობრებს და ნათესავებს; სწყდებოდა ავრეთვე ახლადაწყებულ სამწერლო მოღვაწეობას. იგი იდევნებოდა შობოლიური რუსეთიდან ბრძოლის ფრონტისკენ. მას ავალდებულებდნენ ებრძოლნა საბავლი დესატოტური დიდ-შპირობელობის ინტერესებისთვის, თავისუფლებისმოყვარეულ კავკასიელთა წინააღმდევ; იმ ხალხის წინააღმდევ, რომელიც მთელი თავისი ასევებით უკარ-და პოეტს ბავშვობიდანვე. ეს აუტანელი იყო, მაგრამ ამავე დროს ლერმონ-ტოვს შეეძლო ეამაყნა ამ გაღმოსახლებით, რადგან თავისი სამშობლოდან მას სდევნიდნენ არა მეგობრები, არამედ მოძალადები. მთავარი კი ის იყო, რომ იგი მიემგზავრებოდა ბავშვობიდანვე საყვარელ და საოცნებო კავკასიაში.

პატარა ლერმონტოვს ხიბლავდა კავკასიის ბუნება და კავკასიელთა შემო-  
ძოლი და უბრალო ხასიათი. იგი სიკედილის უკანასკნელ საათა მდე გამსცვა-  
ლული იყო კავკასიისადმი უღიერესი სიკედილით. კავკასიიდან დაბრუნების  
შემდეგ ლერმონტოვის აზრი და ოცნება ყოველთვის დაკავშირდებული კავკა-  
სიასთან იყო; იგი ამ მოგონებებით ცხოვრიდა, კითხულობდა და სწერდა.

უნდა ვითიქროთ, რომ უმთავრესად კავკასიისადმი უსაზღვრო სიყვა-  
რულმა გაულვიძა ლერმონტოვს პოეტური მოღვაწეობის სურვილი, პოეტური  
აღმაფრენა. კავკასია თავიდანვე მისი პოეტური შემოქმედების დაუშეკრის-  
ტიუროდ იქნა. 1828 წელს იგი სწერს პოემებს: „ჩერქეზები“ და კავკასიის  
ტყითა ბაზარი“ (1831), „იზმალ-ბერი“ (1832) ტყევ“, „შემდეგ — „კალი“ და „აულ-ბასტუნჯი“ (1833 — 34); აგრეთვე ლექსებს „ჩერქეზის ჭალი“ და „ქარ-  
და „ჰაჯი-აბრეევი“ (1833 — 34); აგრეთვე ლექსებს „ჩერქეზის ჭალი“ და „ქარ-  
და „ჰაჯი-აბრეევი“ (1833 — 34); აგრეთვე ლექსებს „ჩერქეზის ჭალი“ და „ქარ-

თული სიმღერა“ (1829) „კავკასია“ და „კავკასიაში“, „დილა კავკასიაში“ და „ჯვარი კლდეზე“, „კავკასიის ლურჯო მთებო“ და სხვა.

ყოველივე ეს ლერმონტოვის შექმნა კავკასიაში გაღმოსახლებამდე, თოთქ-შის ბავშვობის პერიოდში. ტყუილად კი არ ამბობდა ბელინსკი, რომ კავკა-სია ლერმონტოვის პოეტური სამშობლოა. იგი თავიდანვე თითქოს გაორებულ ცხოვრებას ეწეოდა: სინამდვილეში ტარხანში ცხოვრობდა, ხოლო ოცნებებით კავკასიაში. 1830 წელს ლერმონტოვი სწერდა: „კავკასიის ლურჯო მთებო, მოგესალმებით! თქვენ აღმზარდეთ მე, თქვენ მატარებდით საკუთარი ველური მხრებით, ღრუბლებით მმოსაჯდით, ზეცას მიმაჩიეთ და მას შემდეგ მე სულ თქვენზე და ზეცაზე ვოცნებომ“.

### 3.

ლერმონტოვის კავკასიაში ცხოვრების შესხებ ჯერჯერობით ძალიან მცირე და ერთმანეთის საწინააღმდევო ცნობები მოიპოვება. ცნობილია, რომ პოეტი გამოგზავნილი იყო ნიუეგორიოდის პოლკში, რომელიც ყარალაჯში (სიღ-ნალის რაიონში) იდგა.<sup>1)</sup> თავის პოლკში იგი დაგვიანებით ჩამოვიდა (შემო-გომაზე), რაღაც მოგზაურობის-ღროს გაცივდა, რევმატიზმით დაავადმყოფდა. და პიატიგორისკში სამუშანალოდ დარჩა.

ამრიოს პიატიგორისკში დასასვენებლად იმყოფებოდა ბელინსკიც. ნ. მ. სატინი, რომელიც კარგად იცნობდა ბელინსკის და მეგობრობდა ლერმონტოვ-თან, ოგარიოვთან და გერცენთან, სწერს თავის მოგონებებში, რომ ლერმონტო-ვი და ბელინსკი ჩემი შემწეობით გაცნობის შემდეგ ერთმანეთს არ დაუახლოვ-დნენ, რაღაც ლერმონტოვი ქარაფშუტა აღამიანის შთაბეჭდილებას სტოვებ-დაო; იგი „მუდამ ქირდვისა და დამცინაობის“ ხასიათზე იყოვო. სატინი იმასაც კი ამტკიცებს რომ ლერმონტოვი ხშირად „აჯავრეტბლა ბელინსკის“<sup>2)</sup>, ხოლო ბელინსკი ლერმონტოვს ყოველთვის უშვერ აღამიანს უწოდებდაო. მაგრამ იგივე ბელინსკი 1840 წელს დებარანტთან დუელის გამო პეტრებურგში დაპა-ტიმრებულ ლერმონტოვთან საუბრის შემდეგ ასეთი აღფრთვებანებული სიტყ-ვებით ახასიათებს პოეტს: „ამ მოკლე ხანში ლერმონტოვთან ვიყავი საპატიმ-როში და პირველად გავაბი მასთან გულახდილი ლაპარაკი. ღრმა და მძლავრი სულია! რა სწორი შეხედულება აქვს მას ხელოვნებაზე, რა სუფთა და უშუა-ლო გემოვნება აქვს სიტყვაკაზმული სიმშვენიერის! ო, ეს იქნება რუსი პოეტი ითანე დოდიდან! საუცხოო ნატურა! პუშკინის სახელს იგი მოწიწებით ეპუ-რობა... მე მასთან დაკამათობდი და მის გამჭრიას, ცივ და ბოროტ შეხედულე-ბაში ცხოვრებაზე და ხალხზე დავინახე ღრმა ჩრდენისა და ღირსების ჩანასახი, როგორც პირველის, ისე მეორის მიმართ“...

შიუხედავად დიდი სკუპტიციზმისა, მოჩვენებითი ფუქსავატობისა და უხა-ლისობისა, ლერმონტოვი კავკასიაში ძალიან დაუახლოვდა სწორედ მაშინ-დელი ღროვის მოწინავე აღამიანებს, გადასახლებულ დეკაბრისტებს და მათ მეგობრებს, რაღაც გრძნობდა შინაგან ნათესაობას მათთან, რაღაც იგი, ლუ-

<sup>1)</sup> ყარალაჯში მისი ცხოვრების შესხებ ჯერ არავითარი კონკრეტული ცნობები არაა ჩაპოვნა.

<sup>2)</sup> „Писатели“ — Сборник общ. любит. Российской словесности 1895 г.

ნაჩარსკის გამოთქმით, დეკაბრისტების უკანასკნელი, გულშროფელი გამოძახილი იყო.

რამდენიმე წლის შემდეგ ლერმონტოვი, ნათესავების ცდათა შედეგად კავკასიიდან ნოვგოროდში — გრიბინის გუსართა პოლკში გადაიყვანეს. მაგრამ ნოვგოროდს პოეტი ჩავიდა მხოლოდ 1838 წლის 28 თებერვალს, ზამთარი კი — სატინის მოვონებათა თანახმად — გაატარა სტავროპოლიში, ისეთ მეგობართა გარემოცვაში, როგორიც იყვნენ მეფიქო, სატინი (ისინი პისტიგორსკიდან სტავროპოლიში გადავიდნენ მთელი ზამთრით) და დეკაბრისტები: ვ. მ. გოლიცინი, ს. ი. კრივცვი, ვ. ნ. ლიხარიოვი, მ. ა. ნაზიმოვი, მ. მ. ნარიშკინი, ი. ა. ოდოევსკი და სხვ.

სამწუხაროდ დღემდე გამოურკვეველია ლერმონტოვის კავკასიელ შე-  
გობრებისა და ნაცნობთა საკითხი. თავის გადასახლებულ მეგობარ რაევსკის-  
თან მოწერილ ერთ წერილში ლერმონტოვი ამბობს: „კარგი ბიჭები აქ ბლო-  
მად მოიპოვებიან, განსაკუთრებით ტფილისში არიან ძალიან წესიერი ადამი-  
ანები“, მაგრამ არავითარ კონკრეტულ ცნობებს მათი ვინაობის შესახებ ლერ-  
მონტოვი არ იძლევა წერილში. სრულიად დასაშვებია. რომ ეს „წესიერი ადა-  
მიანები“ მიეკუთვნებოდენ კავკასიელთა მოწინავე რიგებს, მთავრობისა და  
„მაღალ საზოგადოების“ მიმართ ოპოზიციურად განწყობილ წრეებს. მათი და-  
სახელება რაევსკისთან მიწერილ წერილში სახიფათო იყო და შეიძლება ამით  
აიხსნება ლერმონტოვის დუმილი მათზე.

პეტერბურგის ფუქსსავატ საზოგადოების შემდეგ კავკასიაში მყოფ დეკაბ-  
რისტების და სხვა „წესიერ ადამიანებთან“ ნაწილ — ურთიერთობას არ შე-  
ეძლო დადებითი გავლენა არ მოეწონა ლერმონტოვის „გამოცუხლებაზე“,  
მის განვითარებაზე და ტალანტის მომწიფებაზე. ახალ მეგობრებთან ურთიერ-  
თობით ლერმონტოვს აუარებელი მასალის შეძენა შეეძლო თავისი გონიერისა  
და პოეტური შემოქმედების გასამდიდრებლად, მაგრამ ცველაზე უფრო მდი-  
დარი, უშუალო და ღაუშრეტელი წყარო იყო თვით კავკასია, მისი საუცხოო  
ბუნება, მდიდარი ფოლკლორი და თავისუფლებისმოვარე კავკასიელთა უბ-  
რალო და შეუბილწავი ცხოვრება. კავკასიაში მოსვლისთანავე ლერმონტოვი  
საჩხად დაწავა ამ სიმღიღრის შესწავლას. იგი ცდილობდა ცველაფერი ქნა-  
ხა. აღიოდა მაღალ მთებზე, რათა იქიდან უკეთესად დამტკბარიყო კავკასიის  
ბუნების სიღიადითა და სიმშევნიერით; შედიოდა გლეხების ქოხებში, ტქამდა  
შვადა; ცველა საგანს საკუთარი ხელით სინჯავდა, ცველაფერის ყურადღებით  
აკვირდებოდა, უსმენდა; ცხოვრობდა ისე, ოფორტუ ცხოვრობდნენ უბრალო კავ-  
კასიელები, რათა შეეგრძნო მათი გრძნობანი, გამოცალა მათი ჰირვისამი და  
სიხარული.

რუსეთის კოლონიურ მთავრობისგან კავკასიელებთან საბრძოლებელი  
გადმოსახლებული ოფიცერი-პოეტი ყოველგვარ საშუალებას მძიმობს, რათა მთე-  
ლი თავისი დრო მოაწოდოს არა კავკასიელთა დაყრიცხას, არამედ შემთ ცხოვ-  
რების ღრმაღ შესწავლას, რისთვისაც იგი გამუდმებით მოგზაურობდა სხვადა-  
სხვა აღგილებში, სწავლობდა თაორულ ენას და აგრძელებდა კავკასიის ხალ-  
ხეები გადმოცემებს და ლევენდებს. ეს ნათლად სხანს ჩენენამდე მოღწეულ უძ-  
ხურ გადმოცემებს და ლევენდებს. ეს ნათლად სხანს ჩენენამდე მოღწეულ უძ-  
ხურ გადმოცემებს და ლევენდებს. ეს ნათლად სხანს ჩენენამდე მოღწეულ უძ-

თოთ”, შემოვიარე მთელი ზაზი ყიზლარიდან — ტამანამდე, გადავიარე მთე-  
ზი, ვიყავი შურაში, ყუბაში, შამახიაში, კახეთში, ჩერქეზულად ჩაცმული,  
მხარზე გადაკიდული თოთით, ღამეებს ვათევდი სუფთა მინდორზე, ვიძინებდი  
ტურების ჩხვილში, ვჭამდი მწეალს, ესვამდი კახურსაც კი... კარგი ბიჭები აქ  
მრავლად მოიძოვებიან, განსაკუთრებით ტფილისში არიან ძალიან წესიერი  
იღამიანები, ხოლო აქ ჭეშმარიტი სიამოვნება — ეს თათრული აბანოებია. — შე  
სახელდახელოდ გადავილე კველა იმ შესანიშნავ აღილთა სურათები, რომ-  
ლებიც ვინახულე, და თან მომაქვს მნიშვნელოვანი კოლექცია... დავიწყე თათ-  
რულის შესწავლა — ენა, რომელიც აქ, და საერთოდ აზრი ისევე აუცილე-  
ბელია, როგორც ფრანგული ევროპაში, — მაგრამ სამწუხაროდ, ახლა ვერ მო-  
ვასწრებ ბოლომდე შესწავლას, ბოლოს კი შეიძლება გამომეუყენებინა”...

ლერმონტოვი განსაკუთრებულ აღტაცებაში მოიყვნა ყაზბეგის ბუნებაშ.  
რმავე წერილში ლერმონტოვი სწერს რაევსკის:

„როგორც კი გადომოვცდი ულელტეხილს საქართველოსკენ, მაშინვე მივა-  
ტოვე ურემი და დავიწყე უნაგირიანი ცხენით მოგზაურობა; ავედი თოვლიან  
მთაზე (ჯვრისაზე), სულ მაღლა — მწვერვალზე, რაც არც ისე იოლია, იქიდან  
ნახევარი საქართველო მოსჩანს, როგორც ლამბაჭეზე და, სიმართლე გითხრა,  
მე ვერ შემიძლია აგიხსნა, ან აგიწერო ის გასაოცარი გრძნობა; ჩემთვის მთის  
ჰავა — მაღამოა; ნაღველი ეშმაკებს ჩერება, გული სცემს, სუნთქვა ძლიერდე-  
ბა, — არაფერი არ მინდა ამ წუთას; ასე ვიჯდებოდი და ვიყურებოდი მთელ  
სიცოცხლეში”. ყაზბეგის მხარემ ტყუილად კი არ დაიკავა განსაკუთრებუ-  
ლი აღგილი ლერმონტოვის პოეზიაში.

#### 4.

ლერმონტოვს არ სურდა ფუქსავატ და სულისშემხუთაც პეტერბურგის  
ყაზარმულ ატმოსფეროში დაბრუნება. ის ოცნებობდა სამხედრო სამსახურის  
შიტოვებაზე და აღმოსავლეთში მგზაურობაზე. ამის შესახებ იგი არაერთხელ  
სწერს რაევსკის.

კავკასიას ლერმონტოვი ეთხოვებოდა რაღაცა შემაშთოთებელი წინათ-  
გრძნობით. თავის (პეტერბურგში) პოლკში გადასახლებიდან დაბრუნებისას (1838  
წელს) მან განსაკუთრებული სიძლიერით იგრძნო, თუ რა დიდი მნიშვნელობა  
ჰქონია მისთვის კავკასიას და კავკასიელ მეგობრებს. პეტერბურგის უსულეუ-  
ლო საზოგადოება „ცერემონიანი გაზიტები“, „ყველა ეს საყვარელი ნათესავები“,  
კორიეანბის მთელი ქსელი, დაუსრულებელი ისტორიები, ჩივილი, საყვედუ-  
რები, ექვები და დასკვნანი — „ყოველივე ეს აუტანელია, განსაკუთრებით ჩემ-  
თვის, იმიტომ რომ მე გადავეჩვიე ყოველივე ამას კავკასიაში“. „მე ისიც კი  
მინდოხდა, რომ რაც შეიძლება მაღე დამეტოვა პეტერბურგი და წავსულიყავი  
საითაც არ იყოს, პოლკში, თუ გინდ ეშმაკებთან“... სწერდა ლერმონტოვი მ.  
ლოპუხინას პეტერბურგიდან.

პოეტი დაბეჯითებით ეძებს სერიოზულ ხალხს, თავისი აქტიური ნატუ-  
რის ერთგვარ დასაყრდენს; იგი უახლოვდება ლიტერატორებს უუკოვსკის, ვია-  
ზემსკის, ვ. ოდოვესკის, ა. ტურგენევს, ა. მურავიოვს, სოლოვებს, ურჩანალისტ  
კრავესკისა და სხვებს. ესწრება არალევალურ „თექვსმეტთა წრეს“, მაგრამ  
მისი ნაქობთა უმრავლესობა, როგორც ამას მოწმობს ი. პანაევი, შესდგებო-

„თავგასული მელექსის“ ამგვარი დამოკიდებულება აოიცოვებულ წრეებთან ბრაზს ჰერიდა მრავალ „უაგალექს“, და ერთმა მათგანმა, საფრან- გეთის ელჩის შეიღმა დე-ბარანტრმა ლერმონტოვი დუელში გამოიწვია. დუელი

შესღა 1840 წლის 18-თებერვალს.

5.

1840 წლის ივნისს კავკასიაში ჩამოსულისთანავე, ლერმონტოვი მონაწილეობას იღებს გენერალ გალაფეევის მიერ მოწყობილ ლაშქრობაში მცირე ჩეჩენეთის ასაოხრებლად. 11-ივნისს მღინარე ვალერიეთან მოხდა სისხლისმღვრელი შეტაკებანი. ტაჟში მყოფ ჩეჩენელებს გალაფეევის მრავალრიცხვოვანმა რაზმა აღყაშება შემოარტყა და რამდენიმე საათში გაულიტა. ბრძოლის დასაწყისში თოფის გრიალი აყრუებდა ტყეს, ხოლო შემდევ — ხმალ-ხანჯლების ჩახა-ჩუნი, ხელჩართული ჭრილი, ცოცხალ ადამიანთა კაფვა და დაჭრილთა უმწეო გმინვა... ამ ბრძოლის დროს ლერმონტოვს დავალებული ჰქონდა გენერალ გალაფეევის ბრძანებათა გადაცემა გაცხარებული „ბრძოლის შუაგულში“, „თვალურის დევნება მოწინავე მოიერიშე რაზმეულის მოქმედებისთვის და ცნობათა მიწოდება უფროსისთვის რაზმეულის წინწარვეის შესახებ. ამ მოვალეობათა შემსრულებელს უდიდეს საფრთხეს უქმნიდა ტყეში მყოფი, ხევბსა და ბუჩქებს უკან ამოფახებული მტერი, მაგრამ ეს ოფიცერი, მიუხედავად ასეთი საფრთხეებისა, დაკისრებულ მოვალეობას დიდი გამბედაობითა და სიმშვიდით ასრულებდა, და მამაცთა პირველ რიგებთან ერთად შევარდა მტრის ნამზღვლებში“, სწერდა გენერალი გალაფეევი თავის თხოვნაში ლერმონტოვის ორდენით დაჯილდოვების შესახებ. პეტერბურგში, როგორც მოსალოდნელიც იყო, ლერმონტოვის დაჯილდოებაზე უარი განაცხადეს.

პიატიგორსკში ცოტა ხნით შესვენების შემდეგ, 1840 წლის სექტემბერ-ოქტომბერში ლერმონტოვი მონაწილეობას იღებს დიდი ჩეჩენეთის დასაბურობად მოწყობილ გენერალ გალაფეევის მეორე ექსპედიციაში. ამ დროს იგი მეთაურობს პატარა რაზმს, „ლერმონტოვის რაზმად“ წოდებულს, რომელიც შესდგებოდა მოხალისე ყაზახთა, თათართა და სხვა ეროვნებათა თავზეხელალებულ წარმომადგენლებისგან.

ამ ბრძოლის დამთავრების შემდეგ ლერმონტოვი კვლავ კარგი დახასიათებით წარდგენილ იქნა დასაჯილდოვებლად. მაგრამ 1841 წლის 30-ივნისს პეტერბურგიდან გამოიგზაუნა იმპერატორის უარყოფითი პასუხი და ბრძანება — ლერმონტოვი მუდმივად ფრონტზე ამყოფეთ.

ლერმონტოვის ჩშვიათი გამბედაობა კავკასიელებთან ბრძოლაში აიხსნება არა სამხედრო კარიერითა და კავკასიელთა დაპყრობის სურვილით, რომელთა თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას იგი უდიდესი ძალითა და სიყვარულით უმღეროდა თავის ნაწარმოებებში, არამედ იმ ტრაგიკულ ჩიხში მომწყვლევით. რომელშიც იგი აღმოჩნდა დესპოტური თვითმპყრობელობის მიერ მუდმივი დევნისა და შევიწროების გამო.

გენერალმა ქ. მამაცაშვილმაც კი, რომელიც ლერმონტოვს კარგად გაეცნა ჩეჩენეთში ლაშქრობისას, შენიშვან რომ ლერმონტოვი „იყო თავგანწირული გამბედობის აღამიანი; თავისი სიმამაცით აოცებდა ძველ კავკასიელ ჯიგორებსაც კი, მაგრამ ეს არ იყო მისი დანიშნულება“... \*).

კავკასიელებთან სისხლიან შეტაკებებში ლერმონტოვმა ვერ ჰპოვა ვერც დროებითი თავდავიწყება და ვერც სულიერი სიმშვიდე. მან მხოლოდ რასი კოლონიზატორებისგან კავკასიელთა მხეცური დაპყრობის შემაძრწუნებელი სურათები იხილა და ვალერიეთან ბრძოლის დამთავრებისთანავე დასწერა ანტიკოლონიური პოემა „მე თქვენ გწერთ“, („ვალერიკი“), რომელშიც დაგმო-

\*). „კანკაზ“ 1897 წ. № 235.

ბილია ცარიშმის კოლონიური პოლიტიკა, ხოლო ქავეკასიელების მიმართ გა-  
მოთქმულია მეგობრული სიყვარული. თუ აამდენად ეწინაღმდეგებოდა სისხ-  
ლიანი ომები თავისუფლებისმოვარულ ლერმონტოვს, სჩანს არა მარტო  
მისი შეატვრული შემოქმედებიდან, არამედ იმ მტკიცე გადაწყვეტილებიდანაც,  
რომელიც მან გამოიტანა ჩეხნელებთან ბრძოლის შემდეგ: რადაც არ უნდა  
დაშიჯდეს, უნდა მივატოვო სამხედრო სამსახური და წავიდე პეტერბურგს.  
ლიტერატურული მუშაობისათვისო, — ამბობდა იგი. მაგრამ ლერმონტოვმა  
არ იყოდა, რომ მეფემ პოეტის მუზიკი ფრინანტზე ყოფნის ბრძანება გასცა,  
რომ პეტერბურგში ადგილი არა აქვს ისეთ დაუდევარ პროტესტორატ-პოეტ-  
როგორიც იყო ლერმონტოვი, როცა იგი 1841 წლის იანვარში სტატოროლიანი  
(სადაც უკანასკნელ ხანებში მსახურობდა) პეტერბურგს ჩავიდა შვებულებაში,  
მეორე დღესვე, „მაღალ პირთა“ წყრომა გამოიწვია გრ. ვორონცოვა-დაშვი-  
ვის ბალზე დაწრებით. როგორ თუ უბრალო ოფიციერმა-პოეტმა იმ საღა-  
მოზე მოსვლა გაძედა, სადაც მხოლოდ დიდებულია გართ თავმოყრილი! ლერ-  
მონტოვმა ასეთი „დანაშაულის“ გამო სასტიკი ბრძანება მიიღო: 48 საათში  
დასტოვე პეტერბურგი და კავკასიაში გაემგზავრეო.

მთელი თავისი სიმწარე და ბოლმა, მთელი თავისი აღშფოთება და რჩსხდა ამ არნაბულ საძაგელთა წინააღმგედ ლერმონტოვმა გადმოაწიხა კავკასიაში უკანასკნელად გამგზავრების წინ დაწერილ ცნობილ პატარა ლექსში: „გემშვიდობები, ჰუკებიან რუსეთი“.

მაგრამ დესპოტური მეფის მიერ დევნილმა ლერმონტოვმა ვერც კავკასიის მთებში შეაფარა თავი. საბრძოლო ფრონტზე ლერმონტოვის მუდმივი მიჯაჭვით სურდა ნიკოლოზს კავკასიელთა ტყვიით განეგმირა თვითმისყრობელის წინააღმდეგ აჯანყებული პოეტი. მაგრამ კავკასიის მომღერალ მეოსანს სიკალილი მოელოდა არა კავკასიელთა ხელით, არამედ ისეთივე ავანტიურისტ კარიერისტისგან, კავკასიაში ხარისხების ისეთივე მაძიებლისგან, როგორიც იყო რომელსაც ში დანტესი, პუშკინს მკვლელი.

პეტერბურგიდან განლევნილი ლერმონტოვი თავის ნათესავ, ძველ მეცნ-  
ბარ სტოლიპინთან ერთად ჩამოვიდა პიატიკორსკში 1841 წლის 23-მაისს, რა-  
თა აქ დაისვენა, ემკურნალა და შემდეგ საკუთარ პოლკში გამგზავრებულიყო.  
პიატიკორსკში ისინი შეხვდნენ ძველ ნაცნობებს: ა. ი. ფილონიკიკვეს, გ. ი. ვლა-  
შოვს, ს. კ. ტრიტბეკისოს, და ნიკოლოზ სოლომონის-ძე მარტინვეს.

შესდგა 1841 წლის 15 ივნისს, საღამოს 7-ხაათზე, პიატიგორსკიდან 4-ვერსის დაშორებით, მაშუცის მთის ახლოს, გერმანულ კოლონიისკენ მიმავალ შუა გზაზე. დუელს ესწრებოდნენ სტოლიპინი, ვასილჩიკოვი (ლერმონტოვის სეკუნდანტი), გლებოვი (მარტინოვის სეკუნდანტი) და ტრუბეციო. დუელში მოკლული იქნა ლერმენტოვი.

ვასილჩიკოვი მარტინოვის კამპანიონი იყო და ლერმონტოვთან მაინცდამა-ინც კარგ დამკიდებულებას არ აჩნედა. ლერმონტოვის ზოგიერთი ბიოგრა-ფები, ვ. ჩოლიავეის, და სხვათა ცნობებზე დაყრდნობით, იმასც კი ამტკიცებ-დნენ, რომ ვასილჩიკოვი იმ მცირეოდ შეკავშირებულ შაიკის სათავეში იდ-გა, რომელმაც პოეტის თავიდან მოცილება იღო თავსო.

მარტინოვი იყო შეგენებული, თუ შეუგნებელი ფიზიკური შემსრულებელი შთავრობის და მთელი „მაღალ საზოგადოების“ ჯალათური სურვილებისა — თავიდან მოეშორებინა თავისუფლებისმოყვარული მებოხე პოეტი, ისევე, რო-გორც თხი წლის წინ თავიდან მოიშორეს ალექსანდრე პუშკინი.

როგორც პუშკინის ცხედრის მიმართ თხი წლის წინათ, ისე ახლა, მკვდარ ლერმონტოვზე გამეორებულ იქნა აღმაშევოთებული ამბები. ვიაზემსკისა და სხვათა მოგონებების თანახმად მეფე დიდად კმაყოფილი დარჩა ლერმონ-ტოვის სიკვდილით და განაცხადა: „ძალს ძალური გზა აქვსო“. ასეთივე და-მოკიდებულება გამოიჩინა გენიალური პოეტის მიმართ მთელმა „დიდკაცობამ“ უტვინო და ყეყეჩა „წარჩინებულმა“, რომელთა ნაწილი ლერმონტოვის წინაშე გველურად იკლავნებოდა, პირმოთხოვობდა და მლიქვნელობდა — პოეტის სიკ-ვდილის შემდეგ ხმამაღლა განაცხადა, რომ „იგი არ იყო კეშმარიტი სიმპატიის შთამგონებელიო“, რომ იგი იყო „უმნიშვნელო, უშინაარსო აღამიანი... თავ-ხელი, დაუდევარი ოფიცირი, არასასიამოვნო ამხანაგი“.

პიატიგორსკის ერთერთ ეკლესიის მღვდელმა „ვასილ ერისტოვმა არა მარ-ტო უარი სოქვა დასაფლავებაში მონაწილეობის მიღებაზე, არამედ ეკლესიის გასალებიც კი თან წაიღო“ და დასაფლავებისთვის შეგროვილი ხალხი იძუ-ლებული იყო ორი საათი გარეთ გაეტარებინა. ამავე ეკლესიის მეორე მღვდელ-მა პავლე ალექსანდროვისკიდ ლერმონტოვის ცხედრის მხოლოდ სასაფლაომდე გაცილების თანხმობა განაცხადა, რადგან დაინტერესდა ორასი მანეთის საკუ-თარ ჯიბეში (და არა ეკლესიის სალაროში) ჩაურით.

ეკლესიის ხელისუფალთა მიერ ალექსანდროვსკი დაჯარიმებული იქნა და თანაც სასტიკი გაფრთხილება მიიღო: მომავალში ლერმონტოვისთანა „თვითმკვლელებს“ საკულესო წესი არ აუგონ.

მოსკოვის გუბერნიაში, პოდოლსკის მაზრაში, პოდმოკლოვის ეკლე-სიის კედელზე გაკრულ „საშინელი განკიცხვის“ სურათზე ცეცხლის აღმოკიდე-ბულ ცოდვიანთა შორის ლერმონტოვიც იყო მოთავსებული.

ასე გაუსწორდა ნიკოლოზის მთავრობა, სამღვდელოება და მთელი „მაღა-ლი საზოგადოება“ მიხეილ ლერმონტოვს.

საზოგადოების დემოკრატიულმა ნაწილმა კი, თავისი სახელოვანი ბელადის ბელისკის პირით საქვეყნოდ განაცხადა, რომ: ლერმონტოვის სახით ჩვენ დავ-კარგეთ პოეტი, რომელიც შინაარსით პუშკინზე შორს წავიდოდა.

## კოსმიკური მეცნიერება

ოსეთის საზოგადოებრივი და მთელი საბჭოთა კავშირი მიმდინარე წლის ნოემბერში დიდი ზეიმით აღნიშნავს ოსეთის სახალხო პოეტის, ნაციონალური თავისუფლებისთვის მებრძოლის, პოლიტიკური და საზოგადოებრივი მოღვაწის, ნიჭიერი მხატვრის, პუბლიცისტის — კონსტანტინე ლევანისე ხეთაგუროვის დაბადებიდან 80 წლისთავის.

ხეთაგუროვი, მწერლობაში კოსტას სახელით ცნობილი, დაიბადა კავკავის მახლობლად სოფელ ნაჩში 1895 წლის 5 ნოემბერს. პოეტს დედა აღრე გარდაეცვალა და ბავშვობიდანვე დიდ სიღარიბეში მოუხდა ცხოვრება. პირველ-დაწყებითი განათლება მიიღო სოფელ ნარის სკოლაში, შემდევ სწავლობდა კავკავის რეალურ სასწავლებელში და სტავროპოლის გიმნაზიაში. კოსტა ჯერ კიდევ მოწაფე იყო, როდესაც ძალზე გაიტაცა მხატვრობამ. სიღარიბის გამო მეექვსე კლასიდან სწავლას თავი დაანება და მუშაობა დაიწყო თეატრში, ხატავდა დეკორაციებს, ხატავდა სტავროპოლის მეშჩანთა სურათებს, მაგრამ ამ შრომით დიდხანს ვერ გაიტანა თავი და გადასწყვიტა სამხატვრო დარგში სწავლის გაგრძელება.

20 წლის ხეთაგუროვი ახერხებს მთიელთა სტიპენდიის მიღებას, მიემგზავრება პეტერბურგში და ეწყობა სამხატვრო აკადემიაში. სტიპენდიია იყო მისი არსებობის ერთადერთი წყარო და ეს სტიპენდია მას მაღვე მოუსახეს იმ მიზეზით, რომ ბატალიაშინის მაზრის უფროსიმა გაფლანგა სტიპენდიის თახები. უსტიპენდიოდ დარჩენილი ხეთაგუროვი, არსებობის ყოველგვარ სახსახს მოქლებული მაღვე სწავლას იქაც თავს ახებებს და სუვ კავკავში ბრუნდება.

კავკავში ის იწყებს საზოგადოებრივ მუშაობას და ადგილობრივ განეთებში თანამშრომლობს. სწერს მახვილ შენიშვნებს და წერილებს ოსეთის საჭირობოების საყითხებზე, ირონია-სატირით შეზავებულ თავის წერილებში ნიღაბს ხდის თვითმკრძალებულობის მოხელეებს, ამეღავნებს მათ მუქთახრობას და ოლგარაბენილ ფარისაში.

კოსტა ხეთაგუროვი თავიდანვე ახლოს იდგა ისეთის მშრომელი ხალხის ცხოვრებსთან, კარგად იცნობდა ამ ხალხის გაქირვებას და ცხოვრების დუხვის პირობებს. კარგად ესმოდა ისიც, თუ საიდან მოღიოდა ეს მისი გაქირვება. ამიტომ ის თავიდანვე ჩადგა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის როგორი და კალმითა და საქმით ემსახურებოდა თავისი ხალხის გათავისუფლების საქმეს.

კოსტას სამწერლო და სამოღაწეო ასპარეზზე გამოსვლა მოუხდა გასული საუკუნის 80-იან წლებში, რომელიც ცნობილია შავბნელი ხევურის ხანად. კო-

ველივე, ჩადაც კი მაშინ პროგრესიულობის შინანწყალი ემჩნეოდა, სასტიკად იდევნებოდა. თვითმპყრობელობის კოლონიური და გამარტინებელი პოლიტიკა ნაციონალურ უმცირესობაში და კერძოდ ოსეთში საშინელ ფორმებში ტარდებოდა. ოსების მიმართ თვითმპყრობელობას იმ ხანებში განსაკუთრებული პოლიტიკა ეკავა. ეს იყო ერთგვარი დაყვავებისა და მოსყიდვის პოლიტიკა. ამ პოლიტიკით ის კრიტიკადა ოსების თვეის მხარეზე გადაბირებას და ამიერგავების სხვა ერებზე გადაკიდებას. თვითმპყრობელობა მაშინ აღვენდა მეფის დამცველ რაზმებს ასებისან, ასახლებდა და ქმნიდა ოსთა ახალ სოფლებს. მეფის მთავრობაშ შექმნა ხიზნობის ინსტიტუტი ოსთათვის. დიდი მამულები მიეცათ ოსთა არისტოკრატებს იმ მიზნით, რომ არისტოკრატები ხალხზე იმოქმედებონ და ოსეთის ხალხს თვითმპყრობელობის ერთგულად გახდიდნენ.

თვითმპყრობელობის ასეთ ვერაცულ პოლიტიკაში კარგად ერკვევოდა კოსტა ხეთაგუროვი. ის მთელი თვისი ასებით ებრძოდა ამ პოლიტიკას.

კოსტა ხეთაგუროვს ოსურ მწერლობაში განსაკუთრებული აღგილი უკავია. ისაა თანამედროვე ოსური ლიტერატურის ფუძემდებელი. ხეთაგუროვმა თავიდანვე ორიენტაცია აიღო ოსეთის მშპომელ ხალხზე, გახდა მისი გულის მესაიდუმლე და მისი აზრებისა და ოცნების გამომსახულები. ხეთაგუროვის შემოქმედება ამ მხრივ კარდინალურად განსხვავდება ოსეთის აღრინდელ მწერლებისან. პოეტი გამოვთიშა და ზურგი შეაქცია თავადაზნაურთა წრეებს, დაუპირდაპირდა მათ და მთელ ჩივ ლექსებში დასკინა და გაამასხარავა ისინი. ასეთი შინაარსისაა მისი ლექსები: „ბატები“, „ხეთაგი“, „მევობარ-კეთილებს“ და სხვა. განსაკუთრებით დამახასიათებელია მისი უკანასკნელი ლექსი „მევობარ-კეთილებს“. ამ ლექსში პოეტის სოფლმხედველობა რელიეფურადაა გამომჟღავნებული, ის ემიჯნება სულწასულ და ამოებით გატაცებულ თავის ამხანაგებს. თქვენი ბედნიერება მე არ მინდა, თქვენს ბრწყინვალე სასახლეებში მე სული მეხუთვის, ვინაიდნ საუკუნეების მონობას შეუქმნია ისინი და მასში ჩაქსოვილია ობლების გოდება და კურემლიო, — უცხადებს პოეტი მათ. ის იქ ვერ გრძნობს თავს ბედნიერად, სადაც ხალხი დაჩაგრული და შევიწროვებულია.

ცნობილია, რომ კოსტა ხეთაგუროვი თავის ლროზე რუსეთის დიდი მთაზროვნების ჩერნიშვილისა და დომბროლუბოვის ძლიერი გავლენის ქვეშ იმყოფებოდა: მათს რევოლუციურ იდეებზე აღზრდილი პოეტი სთესდა ხალხში კლასობრივ შეგნებასა, ის მთელრიგ ლექსებსა და პოემებში იცავს ლარიბებსა და დაჩაგრულებს და ებრძვის მხავრელებსა და მდიდრებს. მისი ლექსები სავსეა დატანჯული და წამებული ხალხის გულიდან ამოხეთქილი გრძნობებით. ამ მხრივ საინტერესო ლექსი სასამართლოს წინაშე.

კოსტა ხეთაგუროვის მდიდარ ლიტერატურულ მემკვიდრეობაში განსაკუთრებით აღსანიშნოვია პოემა: „ვინ ცხოვრობს მხარულად“. ეს პოემა დაწვრილია ნეკროსოვის მიბაძვით. საერთოდ პოეტი ნეკროსოვის დიდ გავლენას განიცილა, ნაწარმოების არქიტექტონიკა და ფანტასტიკული განვითარება თითქმის ურთიდაიგვევა, მხოლოდ ხეთაგუროვი მას აქვებს ოსეთის ცხოვრების ფაქტებით. ნაწარმოებში გამათარებულია მექანიზე მოხელეები, მასში მოცემულია მრავალფროვანი და ერთმნიერისგან გათამაშული კავკასია თავისი დაბეჭავებული ცხოვრებით.

განსაკუთრებით სახელი გაითქვა პოეტმა და რუსეთის მოწინავე საზოგადოების უკრადღება მიბაყრო ლერმონტოვის ხსოვნისადმი შიდლვნილი ლექ-

სით. ეს ლექსი დაწერილი იყო პიატიგორსკში ლერმონტოვის ძეგლის გახსნასთან დაკავშირებით. პოეტი ლერმონტოვის დალუპვაში აშენად ბრალს სდებდა თვითმპყრობელობას. ამ ლექსმა თავის დროზე სამართლიანად მიიქცა შეითხველი საზოგადოების დიდი ურაღლება, მაგრამ უყურადლებოდ არ დასტოვა ის არც თვითმპყრობელობამ. ამის შემდეგ თვითმპყრობელობა ამ გაბედული ლექსის ავტორს ჩიცხავს არა კეთილსამედოთა სიაში და ხუთი წლით ასახლებს ხერსონის გუბერნიაში. იწყება პოეტის ცხოვრებაში ახალი ხანა, ხანა ტანჯვა-შვალებით აღსავსე. თავის ქვეყნიდან განდევნილი პოეტი სწუსს საყვარელ სამშობლოზე. სამშობლო მისთვის წმინდათა-წმინდაა. სამშობლოს სიყვარული, სამშობლოს წინაშე თავის მოვალეობის მოხდა მისი მოქალაქეობრიობის. საგანია. პოეტი ცხოვრების გამართლებას მხოლოდ სამშობლოს სამსახურში ხედავს. სამშობლო — ეს მისი ქვეყანაა, მისი ჩაგრული და დევნილი ხალხი, რომელსაც გადასახლებაში მყოფი პოეტი ასე მიმართავს:

„შემინდე! ჩემს ყურს აღარ მისწვდება  
შენა კრილობის ნაკუნები მწარე.  
ვეღარ ვიყურებ.. ვული მიკვდება..  
შემინდე, ჩემი სამშობლო მხარეევ!..“

კოსტა ხეთავუროვს დაწერილი აქვს „ამდღნიმე“ პოემა. პოემებს შორის გამოირჩევა პოემა „ფატმა“. ეს პოემა ავტორმა დასწერა რუსულ ენაზე და დაიბეჭდა ცენზურის მიერ დამახინჯებულად. პოემაში მშენიერი უკრებითა და მაღალი მხატვრული ოსტატობით არის მოცუემული მთის ცხოვრების სურათები. მასში ერთმანეთს უპირდაპირდება ორი ადამიანის ცხოვრება, ერთ მხარეზე სდგას მუქთახორა და პარაზიტი თავადი ტამბულატი და მეორე მხარეზე შრო-მისმოყვარე ღარიბი, მთიელი იბრაგიმი. იბრაგიმი თავის სიღარიბის გამო სულით არ ეცემა, სინდისა და პატიოსნებას ან ღალატობს, ძლიერის წინაშე ქვედს არ იხრის და ბრძოლით გააქვს თავი. პოეტის მთელი თანაგრძნობა ლა-ქედთა მხარეზეა... ფატმა მდიდარი თავადიშვილის სიყვარულზე უარს ამბობს და იბრაგიმს შეიყვარებს.

კოსტას ლექსები მგზნებარე საბრძოლო განწყობილებას ქმნიდა ხალხში და კლასობრივი ბრძოლისთვის რაზმავდა მას. კოსტას ლექსებს მღეროდა და დღესაც მღერის ხალხი.

კოსტას ლექსებს მღერიდა ხალხი 1905 წლის ბრძოლის დროს.

კოსტა სულ 11 წლის განმავლობაში სწერდა ლექსებს, მაგრამ მან მრავალი ძვირფასი ნაწარმოები დასტოუ.

# ტიტლით გაფირ

იონა მეუნარგია:

„სახელმძღვანი დავით დადიანის დროს“.

მასალები და დოკუმენტები სოლ. ცაიშვილის ამდაჭილით. სა-  
ქართველოს სამხარავთა და საზოგადოების გამოცხადა, 1989 წ.

სარეცეპტო ნაწარმოები, მუხედავად იმსა, რომ დაიდი ნინათ დაწერილია და  
დაუს მსოფლმხედველობრივად მოძველებული, მანც საინტერესოა ფაქტიური მასალების  
შესრულების დავით დადიანის ბოვებითი ურთად მოცემულია სამეცნიელოს იმდრო.  
ინდული ცხოვრება თავისი კუნძომიური, პოლიტიკური და კულტურული მდგომარეობით.

ვანძალურებით სანტერესოა და ნალისით იკითხება თავები საგარეო საქმეების, სასა-  
ხლის წყობილების, გადასახლებისა და სამთავროს ფინანსების, მიწის მეურნეობის, გზების და  
არხების, სამთავროს აღმინისტრატულ დაყოფის, სასამართლოებისა და სხვათა შესახებ.  
წიგნის ლიტერატურულ ღირებულებას და მეთხველთა ინტერესს აძლიერებს მასში.  
მრავლადმოყვანილი ცალკეული შემთხვევები, ფაქტები და ფოლკლორული მასალა. წიგნი  
იმასთანავე შეიცავს მეგრელი ხალხისა და მისი ზეჩენებულების შესახებ მეტად საინტერესო  
ეთნოგრაფიულ ცნობებს.

შემო დაწერილია დავით დადიანისადმი ყოველგვარი კრიტიკულ მიდგომის გარეშე. აქ  
არ გვაქვს საქმე ფაქტებისა და მოვლენების სოციალურისტორიულ ანალიზთან, რაც შრო-  
მის განსაკუთრებულ ნაკლებ წარმოადგენს.

წიგნში არის მრავალი ფაქტი დავით დადიანის ბატონიური მოქმედების უსაფუძვლო  
გამართლებისა. ავტორი დაპყრობილი ყავს დადიანის ნიჭისა და განათლებას. ამიტომ, ყოველ  
მის მოქმედებას, როგორიც არ უნდა იყოს იგი; ამართლებს. მაგალითად, გორდის გლეხების.  
დასჯის ფაქტის იმსახურის, რომ ერთი შესვენების დროს სიმღერა „შემოუწყდათ, ინდო-ვენის  
ება სწინ დავით დადიანის ბატონილად ზარაცობისა და უშმიდ დაროს ტარების წინაომდევ-  
გეორე ფაქტის იმს შეგნება, რომ მალე სამეცნიელოში რესუთის წყობილება დამკიცირდე-  
ბოდა. დავით დადიანის ეს კარგად გაუთვალისწინებისა და დარწმუნებული ყოფილა, რომ  
მას და მის შეიღების მარტო ის დაჩიხებოდა, რაც ექნებოდა ხელში სამეცნიელოს სამთავროს  
გაუქმების დროს. ამიტომ ამ ხალხისთვის მზრუნველ მთავარის მამულისა და სხვა ქონების შე-  
ცნოსთვის, ან უკეთ რომ ვსტევთ, უატაცებისთვის მიუსვია ხელი, რასაც დაუქარებია  
გლეხთა აჯანყება, როგორც ამს სამართლიანად შენიშვნას რედაქტორი.

სუდაქტორი სოლომონ ცალშვილი, რასაკარგელია, არ იზიარებს ავტორის ასეთ არა-  
კრიტიკულ მიდგომას დავით დადიანისადმი, მაგრამ ამ წიგნის წინასიტყვაობაში მოცემული  
წევადი შენიშვნები ვერ აესქმას წიგნის ნაკლებს.

სუდაქტორის შრომისთვის თან დაურჩავთ იონა მცუნაბგის ანქიფში ნაპოვნი „სამეცნიე-  
ლოს მთავართა სავარუულოს ნუსხა“ და „რასატომ ჩიქვანი“, რაც ჩვენის აზრით ასეთი  
გმოცემისთვის ზედღებები იყო. ამასთან არაა მოსაწონი ისიც, რომ ვართულ შრომის ქა-  
თულ წინასიტყვაობასთან ერთად რესული წინასიტყვაობაც აქვს დართული.

მოუხედავად ზოგიერთი ნაკლია — ნაშრომის გამოცემა საჭირო იყო, იგი სასარგებლო  
წიგნის.

მკითხველი

1939 წ. იანვრიდან „ჩვენი თაობა“ გამოღის  
კოველთვიურად.

ხელის მოწოდების პირობები:

|                     |            |
|---------------------|------------|
| წლიურად . . . .     | 18 მან.    |
| ნახევარი წლით . . . | 9 კ.       |
| ცალკე ნომერი . . .  | 1 მ. 50 კ. |

ხელის მოწერა მიიღება სახელგამის ყველა მაღაზიაში, სოფუბერატის  
რაიონუროებში და სახელგამის პერიოდ-სექტორში.

რედაკციის მისამართი:

ფილისი, მაჩაბლის ქ. № 13, მწერალთა კავშირი.

356018.50 д.



Ежемесячный журнал  
„ЧВЕНИ ТАОБА“  
Сахелгами 1939 г. Тбилиси